განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

ქართული ენა 9

მასწავლებლის წიგნი
პირველი ნაწილი



ISBN 978-9941-8-1234-5

ავთანდილ არაბული, დალი ბენაშვილი

ქართული ენა 9

მასწავლების წიგნი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

ქართული ენა
IX კლასი
მასწავლების წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორი:
ავთანდილ არაბული
თანაავტორი:
დალი ბენაშვილი

სამეცნიერო რეცენზენტი: გიორგი ალიბეგაშვილი
ფსიქოლოგი-მეთოდისტი: თეონა ლოდია
რედაქტორი: ნანა ქირია
დამკაბადონებელი: ოთარ კიკილაშვილი
ყდის დიზაინერი: ნინო ხვინგია

IX კლასის ქართული ენის მასწავლებლის წიგნი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენის სტანდარტის შესაბამისად და წარმოადგენს დამხმარე ინსტრუმენტს ქართული ენის სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, მისი დანიშნულება მოსწავლის წიგნის დანერგვის ხელშეწყობაა. იგი კვალდაკვალ მიჰყვება მოსწავლის წიგნს და ასევე მასწავლებლებს სთავაზობს მრავალფეროვანი მეთოდებით წარმოდგენილ დამატებით აქტივობებსა თუ რესურსებს. აქტივობები წარმოდგენილია თავებისა და პარაგრაფების მიხედვით, რაც აადვილებს მათს დაკავშირებას საგაკვეთილო მიზნებსა და ამოცანებთან. თითოეულ თემაში მოცემულია ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებაც. მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები. გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ტიპის აქტივობას, დავალებასა თუ შეფასების რუბრიკას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი I და II ნაწილები;
მასწავლებლის წიგნი I და II ნაწილები.

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სარჩევი

შესავალი..... 4
საგნის -ქართული ენა და ლიტერატურა - სწავლა-სწავლების მიზნები..... 7
ქართული ენა - საბაზო საფეხურის სტანდარტი 8
საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუში 11
თემატური ერთეული და შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალებები. 13
I. თემატური საკითხები და მათი კავშირი სასწავლო მიზნებთან და შედეგებთან
II. ალტერნატიული და დამატებითი დავალებები კონკრეტული საკითხის შესასწავლად
III. შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალებების სცენარები
IV. შეფასების რუბრიკები
შემაჯამებელი დავალების ნიმუში და შეფასების რუბრიკა 66
მოსწავლის შეფასების პრინციპები, შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები.... 71
მასწავლებლის წიგნში მოცემული დამატებითი სავარჯიშოების პასუხები 73
ენის სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების პასუხები 79

შესავალი

ძვირფასო მასწავლებლებო,

უწინარესად, მინდა სასიხარულო ინფორმაციით დავიწყო და გაუწყოთ, რომ ქართულმა ენამ, როგორც სასკოლო სასწავლო დისციპლინამ, დაიბრუნა დამოუკიდებელი საგნის სტატუსი და საბაზო საფეხურზე მისი შესწავლა წარიმართება როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსისა. ვფიქრობ, ეს მოსწავლეებში გაზრდის საგნის შესწავლის მოტივაციასა და პასუხისმგებლობის გრძნობას მშობლიური ენის გაფრთხილებისა და მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით.

IX კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოს კომპლექტი აგებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ქართული ენის, როგორც დამოუკიდებელი საგნის, სწავლებისთვისაა განკუთვნილი. კოპლექტი ოთხი ერთეულისაგან შედგება. ესენია: ქართული ენა - I ნაწილი; ქართული ენა - II ნაწილი; ქართული ენა, მასწავლებლის წიგნი - I ნაწილი; ქართული ენა, მასწავლებლის წიგნი - II ნაწილი.

საბაზო საფეხურზე მიმდინარეობს ქართული გრამატიკის კურსის სისტემური შესწავლა ტრადიციულად დამკვიდრებული თანმიმდევრობით. VII-VIII კლასებში ისწავლება მორფოლოგიის საკითხები და IX კლასში კი - სინტაქსი. მოსწავლის წიგნი შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის ქართული ენის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. სტანდარტით საგნის სწავლა-სწავლების საფეხურის ბოლოს მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები განსაზღვრულია სწავლის შედეგისა და სამიზნე ცნებების სახით. სტანდარტით ასევე განსაზღვრულია სამიზნე ცნებების მოცულობა, ანუ რა უნდა გააცნობიეროს მოსწავლემ კონკრეტულ გრძელვადიან მიზანთან მიმართებით.

სტანდარტის შინაარსი აღიწერება თემატური ბლოკებისა და თემების სახით, რომელთა კონტექსტში მიმდინარეობს მუშაობა სამიზნე ცნებებზე საფეხურის შედეგების მისაღწევად. საბაზო საფეხურზე მიმდინარეობს ქართული გრამატიკის კურსის სისტემური შესწავლა, შესაბამისად, თითოეულ კლასში არ ხდება ყველა თემატური ბლოკით განსაზღვრული საკითხების შესწავლა. მე-9 კლასში, საგანში - ქართული ენა - სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია სამ თემატურ ბლოკზე, ესენია: II. წინადადება და მისი სტრუქტურა; III. ენის ისტორიის საკითხები და IV. წინადადება და სტილი.

სტანდარტით განსაზღვრულ საფეხურის შედეგს ახლავს შეფასების ინდიკატორები, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების მიღწევების გაზომვის ინსტრუმენტია და მიანიშნებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში.

საგნის - ქართული ენა - სტანდარტი შედგება ორი ნაწილისაგან: ა) სწავლის შედეგები - წარმოდგენილია სამსვეტიანი ცხრილის სახით და მოიცავს სწავლის შედეგს, შეფასების ინდიკატორსა და სამიზნე ცნების მოცულობას. ბ) სასწავლო თემები: სავალდებულო თემატურ ბლოკებსა და სასწავლო თემების ნიმუშებს.

საშუალო განათლების სრული კურსის 11-წლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ქართული ლიტერატურის ქრონოლოგიური შესწავლა მე-9 კლასიდან იწყება. ამ ცვლილებამ, გარკვეული თვალსაზრისით, ქართული გრამატიკის სწავლა-სწავლებაზეც იქონია ზეგავლენა. ამის გათვალისწინებით IX კლასის სახელმძღვანელოს 1-ლი თავი ძველი ქართული გრამატიკის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს ეთმობა (6 პარაგრაფი), თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ თავში წარმოდგენილი საკითხების შესწავლა განსხვავებულ მიზანს ემსახურება, მისი ძირითადი ფუნქციაა, დაეხმაროს მოსწავლეს ძველი ქართული ტექსტების სწორად გაგებაში. სწორედ ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესშიც მასწავლებლებს განსხვავებული მიდგომა მართებთ და ძირითადად მის პრაქტიკულ გამოყენებაზე უნდა იყვნენ ორიენტირებული და არა მასალის დეტალურ ათვისებაზე.

IX კლასის სახელმძღვანელოს მე-2 თავი სინტაქსის საკითხების შესწავლას ეძღვნება -

თემა: სინტაქსი. შესიტყვება და წინადადება. თითოეული თავი პარაგრაფებად (ქვეთემებად) იყოფა, ყველა თავს (შესაბამისად, ცალკეულ პარაგრაფსაც) წინ უძღვის თემის სწავლების მიზნები და თემატური შეკითხვები. მოსწავლის წიგნი შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის ქართული ენის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. სახელმძღვანელო ინტერაქტიური სწავლების პრინციპზეა აგებული და ეფუძნება ისეთი მნიშვნელოვანი სააზროვნო უნარების განვითარებას, როგორებიცაა ვარაუდების გამოთქმა, დაკვირვება, დასკვნის გამოტანა... წიგნში თეორიული მასალა წარმოდგენილია ისე, თითქოს იგი მოსწავლის თანამოსაუბრეა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ხელიხელ ჩაკიდებულები მიდიან რთული გრამატიკული საკითხების ათვისებისაკენ, ერთად იხსენებენ, ფიქრობენ, მსჯელობენ, სვამენ შეკითხვებს, სცემენ პასუხებს, გამოაქვთ დასკვნები და ბუნებრივად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე თავადვე აყალიბებენ ამა თუ იმ გრამატიკულ წესს. წიგნი ხელს შეუწყობს ფუნქციური და ცხოვრებისეული კომპეტენციების, ასევე კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

მასწავლებლის წიგნი კვალდაკვალ მიჰყვება მოსწავლის წიგნს და წარმოადგენს ერთგვარ პრაქტიკულ პროფესიულ გზამკვლევს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს IX კლასის ქართული ენის მოსწავლის წიგნის დანერგვას. ასევე მასწავლებლებს სთავაზობს მრავალფეროვანი მეთოდებით წარმოდგენილ დამატებით აქტივობებს. ვფიქრობთ, წიგნი დაგეხმარებათ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში. ამ მიზანს ემსახურება თითოეულ თემის შესასწავლად მითითებული რესურსები, სამუშაო ტექსტები, სავარჯიშოები, გრაფიკული მაორგანიზებლები, შეფასების სქემები, თემატურ ერთეულებთან თუ მითითებული ბმულები. კურიკულუმის ჩარჩოში დაფიქსირებულია თემისათვის საჭირო რესურსები, რომლებიც ათვალსაჩინოებს სახელმძღვანელოს შესატყვისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ეს რესურსები ასევე მეორდება თემატური ერთეულის აღწერაშიც. მასწავლებლის წიგნში თითოეული თემა აგებულია ლოგიკური ჯაჭვის - მიზანი/შედეგი/აქტივობა/შეფასება - მიხედვით და დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე. თემატურ ერთეულში აქტივობები დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: წინარე ცოდნის გააქტიურება - დაკვირვება/ანალიზი - ახალი ცოდნის დაშენება/განმტკიცება - ახალი ცოდნის შემოქმედებითად გამოყენება. თითოეულ თემაში მოსწავლეები ასრულებენ 1-2 შემოქმედებითი ბუნების კომპლექსურ დავალებას, რაც მოსწავლეს დაეხმარება, გრამატიკული საკითხები გაიაზროს ფუნქციურ კონტექსტში; თითოეული შემოქმედებითი ბუნების დავალება გაწერილია ნაბიჯ-ნაბიჯ, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული აქტივობებითა და მრავალფეროვანი მეთოდებით, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ აქტივობებსა და მეთოდებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და მასწავლებელი, კლასის საჭიროების გათვალისწინებით, თავად განსაზღვრავს, რომელი მეთოდი და აქტივობა უფრო უკეთ დაეხმარებათ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაში.

თითოეულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია საკმაოდ ბევრი და განსხვავებული აქტივობა და დავალება, როგორებიცაა: გრაფიკული მაორგანიზებლები, თავსატეხები, კროსვორდები, დიფერენცირებული სწავლების მეთოდი „სასწავლო მენიუ", სახალისო ლოგიკური სავარჯიშოები თამაშის ელემენტებით, მინი დისკუსიები, საკითხის შემაჯამებელი ტესტები და სხვ. რა თქმა უნდა, თითოეული საკითხის შესწავლა არ გულისხმობს ყველა სავარჯიშოს გამოყენებას. მასწავლებელი დამატებითი აქტივობების შერჩევისას ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობას, საჭიროებებსა და ინტერესებს. ან თავად ქმნის ასეთ, თავის მოსწავლეებზე უფრო მორგებულ დავალებებს.

მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: თვითშეფასების სქემები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული დავალებისათვის, მაგ.: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მოკლე რეფერატისათვის, სამეცნიერო-პოპულარული სტატისათვის, საინფორმაციო რეპორტისათვის და ა.შ. ასევე მოცემულია მოსწავლის განვითარებაზე დაკვირვების სქემა, რაც დაეხმარება მასწავლებელს, თვალი ადევნოს თითოეული მოსწავლის პროგრესს.

ქართული ენა საბაზო საფეხურზე დამოუკიდებელ საგნად ისწავლება, მაგრამ მისი გამოთიშვა ლიტერატურის სწავლა-სწავლების პროცესისაგან წარმოუდგენელია, მეცხრე კლასში (განსაკუთრებით 1-ელ თავში) ინტეგრაცია ლიტერატურასთან აუცილებელი და ბუნებრივი პროცესია, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, ამ გრამატიკული საკითხების შესწავლა სწორედ ძველი ქართული ტექსტების („შუშანიკის წამების“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“...) სწორად გაგებას ემსახურება. ცალკე თემატურ ერთეულადაა წიგნში გამოყოფილი „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი ანალიზი. სასურველია, მასწავლებლებმა ეს მასალა გადაიტანონ მეორე სემესრტში, როცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას დაიწყებენ, ბუნებრივია, ამ დავალებეზე მუშაობა მოსწავლეებისათვის ტექსტის შესწავლის პარალელურად უფრო საინტერესო და შედეგიანი იქნება.

წიგნში მოცემულია ასევე შემაჯამებელი დავალების ნიმუში და მისი შეფასების რუბრიკაც სწავლების შედეგების ინდიკატორების გათვალისწინებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, რაკი ქართული ენა უკვე დამოუკიდებელი საგანია სასწავლო ბადეში, შესაბამისად, შემაჯამებელი დავალების ჩატარების ვალდებულებაც გვაქვს.

და ბოლოს, სახელმძღვანელოში მოცემული პარაგრაფები და სავარჯიშოები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, განსხვავებული მოცულობისაა. რომელ საკითხს რამდენ საგაკვეთილო საათს დაუთმობს, ეს მასწავლებლის გადასაწყვეტია, რადგან მან უკეთ იცის საკუთარი მოსწავლეების სასტარტო მდგომარეობა, მზაობა და საჭიროებები. მასწავლებლის წიგნში მიწერილი საათების რაოდენობა კი მხოლოდ საორიენტაციო ხასიათს ატარებს.

ქართული ენა და ლიტერატურა[1]

სწავლა-სწავლების მიზნები:

- ეროვნული და კულტურული იდენტობის ფორმირება;
- ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი ფასეულობის, მიმართ ინტერესის გაღვივება, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება; პატრიოტი მოქალაქის აღზრდა;
- ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილის, შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბება;
- ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის, როგორც ცვლილებებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესის, გააზრება კულტურათშორისი დიალოგის საფუძველზე;
- საკუთარი მსოფლმხედველობის შემუშავება ლიტერატურასთან ზიარების გზით; ჰუმანისტური და დემოკრატიული ფასეულობების მქონე პიროვნების ფორმირება;
- ქართული ენის, როგორც აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების, მნიშვნელობის გაცნობიერება;
- თანამედროვე მრავალფეროვან ენობრივ გარემოში ორიენტირების ხელშეწყობა; საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ქართული ენის გამოყენების მიმართ გააზრებული, პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულების ფორმირება;
- ლიტერატურის, როგორც თვითშემეცნებისა და სამყაროს შეცნობის საშუალების, მნიშვნელობის გაცნობიერება;
- წარმოსახვის უნარის, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება;
- ლიტერატურასთან მუდმივად ზიარების მოთხოვნილების ჩამოყალიბება ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად, თვალსაწიერის გასაფართოებლად, ინფორმაციის მოსაპოვებლად, გამოცდილების გასამდიდრებლად;
- მედიაწიგნიერი, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების აღზრდა.

1 ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლების მიზნები განსაზღვრულია საგნის სწავლების სრული კურსისათვის, რომელიც მიიღწევა სწავლების სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო- საფეხურებზე.

ა) სწავლის შედეგები

საგნის - „ქართული ენა“ - ფარგლებში საფეხურის შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის სამიზნე ცნების - „ენის სისტემა“ - მრავალმხრივად გააზრება.

სწავლის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი** - მოსწავლეს შეუძლია	**სამიზნე ცნებების მოცულობა** - მოსწავლე აცნობიერებს, რომ
(1) გრამატიკის ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს ქართული ენის უნიკალურობის გასააზრებლად, ენობრივი ფორმების სიმდიდრის/მრავალფეროვნების გასათავისებლად; მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად, სათქმელის (ზეპირისა თუ წერილობითის) გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად; გააზრებული ენობრივი არჩევანის გასაკეთებლად სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში;	• სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • ენობრივ-სტილისტიკური საშუალებების ამოცნობა და მათი მნიშვნელობის გააზრება, მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	სამიზნე ცნება **ენის სისტემა** ქართულ ენას, ისევე როგორც სხვა ენებს, თავისი უნიკალური გრამატიკული სისტემა აქვს. ამ სისტემას შეისწავლის გრამატიკა, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან - მორფოლოგიისა და სინტაქსისგან. მორფოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია სიტყვათა ფორმების, მათი ცვალებადობისა და მნიშვნელობის გაგებისთვის, ასევე სიტყვაწარმოების პრინციპების გააზრებისთვის, სინტაქსის ცოდნა - სიტყვებისა და წინადადებების შეწყობა-შეკავშირებისთვის ქართულ ენაში ისტორიულად შემუშავებული წესების მიხედვით. ენის, როგორც სისტემის, ცოდნა დაგვეხმარება, რომ უკეთ გავიგოთ მოსმენილი/წაკითხული და ყველასთვის ცხადად, გასაგებად და გამართულად გადმოვცეთ სათქმელი წერითი თუ ზეპირი მეტყველების დროს. <u>მორფოლოგია</u> *<u>ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:</u>* • სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება, თანდებულიანი ბრუნვები, რიცხვის წარმოება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიტები; • ზმნა - ზმნის ძირითადი კატეგორიები; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები; სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა).

		ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები: • ზმნიზედა და მისი ჯგუფები; • თანდებული და მისი ჯგუფები; • კავშირი და მისი ჯგუფები; • ნაწილაკი და მისი ჯგუფები; • შორისდებული და მისი ჯგუფები. სინტაქსი • წინადადების წევრები: მთავარი და არამთავარი; • სინტაქსური ურთიერთობის სახეები წინადადებაში - შეთანხმება, მართვა, მირთვა; • წინადადება მოდალობის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვა-ძახილის, ბრძანებითი); • წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; თანწყობილი წინადადება; ქვეწყობილი წინადადება; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში; ზერთული წინადადება; • განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; • პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; • სტილისტიკური ხარვეზები (მაგ.: ტავტოლოგია, სინტაქსური კალკი და მისთ.). მართლწერის საკითხები - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენისა და მართლმეტყველების ნორმები, პუნქტუაციის წესები. ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ - სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები; ქართული ანბანი და მისი სახეები.

ბ) სასწავლო თემები

სასწავლო მასალა წარმოდგენილია ოთხი თემატური ბლოკის ფარგლებში, ესენია:

I თემატური ბლოკი - სიტყვა და მისი სტრუქტურა;

II თემატური ბლოკი - წინადადება და მისი სტრუქტურა;

III თემატური ბლოკი - ენის ისტორიის საკითხები;

IV თემატური ბლოკი - წინადადება და სტილი.

თითოეულ თემატურ ბლოკში გაერთიანებულია შესაბამისი სასწავლო თემები, რომელთა კონტექსტში მიმდინარეობს მუშაობა სამიზნე ცნებებზე საფეხურის შედეგების მისაღწევად.

VII-IX კლასები	
თემატური ბლოკი	**სასწავლო თემების ნიმუშები**
I. სიტყვა და მისი სტრუქტურა	• სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი); • სიტყვის მნიშვნელობა (მაგ.: პირდაპირი, გადატანითი, კონოტაციური); • ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის); • ზმნა - ზმნის ძირითადი კატეგორიები; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები; სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა); • სიტყვაწარმოება და მისთ.
II. წინადადება და მისი სტრუქტურა	• წინადადება მოდალობის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვა-ძახილის, ბრძანებითი); • წინადადება აგებულების მიხედვით (მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები);
III. ენის ისტორიის საკითხები	• სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები; • ქართული ანბანი და მისი სახეები; • ძველი ქართული ენის თავისებურებები.
IV. წინადადება და სტილი	• განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; • პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; • რთული წინადადების გადაკეთება მარტივად და პირიქით; • სიტყვათა რიგი; • სტილისტიკური ხარვეზები (მაგ.: ტავტოლოგია, სინტაქსური კალკი).

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუში

თემა	სამიზნე ცნება / სამიზნე ცნების მოცულობა	საკითხი	კონტექსტ-მაგალითები/ ტექსტები	შუალედური მიზანი - დავალების იდე/ პირობა	სასწავლო რესურსები დავალებაზე მუშაობისთვის
სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები;	**ცნებები:** **ენის სისტემა** ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ	წერითი ნამუშევრის შექმნა ძველ ქართულში საკუთარი სახელების გამოყენებასთან დაკავშირებით.	**ძირითადი:** 1. წრფელობითი ბრუნვა და საკუთარი სახელების თავისებური ბრუნება ძველ ქართულში (§2.) 2. იაკობ ხუცესი „შუშანიკის წამება“; **დამატებითი:** 1. აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 41; **§52. საკუთარ სახელთა ბრუნება.** 2. ივანე იმნაიშვილი, სახლეთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, ადამიანთა სახელები, გვ. 365. გეოგრაფიული სახელები, გვ. 391. 3. არსებითი სახელის ბრუნება. ბრუნვათა რაოდენობა და რიგი; საკუთარ სახელთა ბრუნება.	დააკვირდით იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ გამოყენებულ საკუთარ სახელებს და დაკვირვების შედეგები წარმოაჩინეთ წერითი ნამუშევრის სახით. ტექსტის შედგენისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.	1. სახელმძღვანელო, ქართული ენა, 1-ლი ნაწილი. 2. სახელმძღვანელო, ქართული ლიტერატურა, 1-ლი ნაწილი, 3. http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/shushanikiswameba.htm 4. ძველი ქართული ენის გრამატიკა - თსუ ტექსტკორპუსი Iverieli: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები : ტომი IV
სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები;	**ცნებები:** **ენის სისტემა** ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ	წერითი ნამუშევრის შექმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი თავისებურებების შესახებ.	ძირითადი: „ვეფხისტყაოსნის ქართული“ (§7) დამატებითი: შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“; წრფელობითი ბრუნვა და საკუთარი სახელების თავისებური ბრუნება ძველ ქართულში (§2); ზმნის უღლების სირთულეები ძველ ქართულში (§3) ნაწილაკების როლი ძველ ქართულში (§6); არსებითი სახელის რიცხვის წარმოება (§9); კითხვითი ნაცვალსახელები (მე-7 კლ. მე-2 ნაწილი);	„ვეფხისტყაოსნის“ თქვენ მიერ შერჩეულ ეპიზოდში გამოავლინეთ პოემის ენობრივი თავისებურებები და დაკვირვების შედეგები წარმოაჩინეთ წერითი ნამუშევრის - „ვეფხისტყაოსნის“ (შერჩეული მონაკვეთის) გრამატიკა“ - სახით. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.	1. სახელმძღვანელო, ქართული ენა, 1-ლი ნაწილი. 2. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“ ვეფხისტყაოსანი: სასკოლო ლიტერატურა: მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა 3. სახელმძღვანელო მე-7 კლ. მე-2 ნაწილი, 4. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/401729/1/Rustvelologiuri_Etiudebi_1961.pdf - ვუკოლ ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1984 წ. გვ. 253-254.

			ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1984 წ. გვ. 253-254. მიხეილ ქურდიანი- „სამი სემიოტიკური ეტიუდი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. თამაზ გამყრელიძე და სხვ., ოკაზიონალიზმები.		https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/324380 სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა“, 2007წ. https://www.nplg.gov.ge/greenstone3/half-tone-library/collection/period/document/HASH134187d1a5ce-1f5a8c11af;jsession-id=E4E237B60CC6B-C7C971D5B6CD1F-13B2A?ed=1 თეორიული ენათმეცნიერების კურსი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003 წ. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/400315
წინადადება აგებულების მიხედვით	**ცნებები:** ენის სისტემა **სინტაქსი** წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება.	მცირე ცნობარის შედგენა აგებულების მიხედვით განსხვავებული წინადადებების გამოყენებით.	**ძირითადი:** მარტივი წინადადების სახეები (§9) შერწყმული წინადადება (§10); წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით (§11). **დამატებითი:** ბიოგრაფიული ლექსიკონი	შეადგინეთ მცირე ცნობარი ლიტერატურული ტურიზმისათვის, თქვენ მიერ მიმდინარე სასწავლო წელს შესწავლილი/შესასწავლი მწერლებისა და მათი ნაწარმოებების გათვალისწინებით.	1. სახელმძღვანელო, ქართული ენა, 1-ლი ნაწილი. 2. სახელმძღვანელო, ქართული ლიტერატურა, 1-ლი ნაწილი. 3. იაკობ ცურტაველი - ბიოგრაფიული ლექსიკონი 4. იოანე საბანისძე - ბიოგრაფიული ლექსიკონი ; გიორგი მერჩული - ბიოგრაფიული ლექსიკონი; 5. შოთა რუსთაველი - ბიოგრაფიული ლექსიკონი; 6. სულხან-საბა ორბელიანი - ბიოგრაფიული ლექსიკონი 7. დავით გურამიშვილი - ბიოგრაფიული ლექსიკონი
წინადადება მოდალობისა და აგებულების მიხედვით	**სინტაქსი** წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება.	კომიქსის შექმნა სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით.	ძირითადი: მარტივი წინადადების სახეები (§9) შერწყმული წინადადება (§10); წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით (§11). დამატებითი: გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“	შექმენით კომიქსი უმცროსკლასელებისათვის, რომლითაც მათ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რომელიმე ეპიზოდს გააცნობთ. გამოკვეთეთ კომიქსის სამი ნაწილი – დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.	1. სახელმძღვანელო, ქართული ენა, 1-ლი ნაწილი. 2. სახელმძღვანელო, ქართული ლიტერატურა, 1-ლი ნაწილი.

თავი I. ძველი ქართული
III თემატური ბლოკი - ენის ისტორიის საკითხები
თემა: ქართული ანბანი და მისი სახეები

გრძელვადიანი მიზნები
სამიზნე ცნება: ენის სისტემა **ცნების მოცულობა:** ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ -სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები; ქართული ანბანი და მისი სახეები.
შუალედური მიზნები (3-4 გაკვეთილი)
მოსწავლემ უნდა შეძლოს: I. ქართული ანბანისა და სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ ზოგადი ცნობების გამოყენება ქართული ენის უნიკალურობის გასააზრებლად, ენობრივი ფორმების სიმდიდრის/მრავალფეროვნების გასათავისებლად (§1). **მოსწავლეს შეუძლია:** • სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად.

აქტივობა 1. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ ინფორმაციის გაცნობა და გააზრება სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

- მოსწავლეები ეცნობიან/იაზრებენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მასალას, ნაბიჯ-ნაბიჯ აკვირდებიან ცვლილებებს, რომლებიც განუცდია ქართულ სალიტერატურო ენას საუკუნეთა განმავლობაში;
- აკვირდებიან ცალკეულ სიტყვებს (რომელთა მნიშვნელობა იციან/დაახლოებით ხვდებიან მის მნიშვნელობას/არ იციან) და სწავლობენ მათი ამოცნობის ხერხებს.

აქტივობა 2. არსებული ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ასომთავრულით ან/და ნუსხურით შესრულებულ წარწერებს (პლაკატის, ეკრანის ან სახელმძღვანელოში მოცემული ფოტოების მეშვეობით) და სთხოვს ისაუბრონ, **რას ფიქრობენ ამ წარწერებზე**:

მაგალითად:

- თქვენი აზრით, რომელ ენაზეა შესრულებული ეს წარწერები?
- რატომაა განსხვავებული იგი იმ ანბანისაგან, რომელსაც დღეს ვიყენებთ?
- რა იცით ქართული ანბანის სახეობების შესახებ?
- თქვენი აზრით, რამდენად გამოიყენება ქართული ანბანის სამივე სახეობა დღეს, 21-ე საუკუნეში? სად და რა მიზნით გამოიყენება?
- როგორ ფიქრობთ, სჭირდება თუ არა მას დაცვა? თქვენი აზრით, როგორ უნდა განხორციელდეს ეს?

(მასწავლებელი იყენებს **სოკრატული დიალოგის მეთოდს** 1 , სვამს პრობლემურ კითხვებს, რათა წაახალისოს მოსწავლეთა აზროვნება მოცემულ საკითხზე და ისინი დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე);

აქტივობა 3. ინტერაქციული მინილექცია - მასწავლებელი აცნობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ იუნესკომ ქართული ანბანი შეიტანა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში.

კლასის ინტერესისა და მზაობის გათვალისწინებით, მასწავლებელი იყენებს მინილექციის რომელიმე მეთოდს, მაგალითად, **აქტიური მოსმენისა და რეკონსტრუქციის მეთოდს**, რომლის დროსაც მინილექციის დაწყებამდე მასწავლებელი აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ მომდევნო 5 წუთის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ქართული ანბანის აღიარებასთან დაკავშირებით, რაც მათი მხრიდან მოითხოვს მაქსიმალურ კონცენტრაციას, შემდეგ მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით აწვდის ინფორმაციას იმ დოკუმენტისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, რომლითაც ქართული ანბანის სამი სახეობა აღიარებულ იქნა საკაცობრიო არამატერიალური კულტურის ძეგლად.

უფრო დეტალურად კი ამ ინფორმაციას შეუძლიათ გაეცნონ QR კოდის გამოყენებით.

მინილექციის დასრულების შემდეგ მოსწავლეები:

- ჯერ ინდივიდუალურად დააფიქსირებენ ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- წყვილებში შეაჯერებენ თავიანთ ჩანაწერებს და შექმნიან კომპლექსურ პროდუქტს;
- ბოლოს ერთი ან ორი წყვილი წარმოადგენს რეზიუმეს, სხვა წყვილები აძლევენ უკუკავშირს, ხოლო პედაგოგი ავსებს გამოტოვებულ ინფორმაციას, ან/და ასწორებს შეცდომებს.

აქტივობა 4. ძველი ქართული ბგერითი თავისებურებების გაცნობა და გააზრება სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

- მოსწავლეები სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალის დახმარებით ეცნობიან ქართული ანბანის ისტორიულ სურათს;
- აკვირდებიან ცვლილებებს, რომლებიც განიცადა ქართული ენის ბგერითმა შედგენილობამ განვითარების თითოეულ ეტაპზე (მაგ.: ასოთა მოხაზულობა, ასოების ხაზებს შორის განლაგება; უ ბგერის გამოსახვა ორი ასონიშნით; თანამედროვე ქართულისათვის შეუსაბამო ასონიშნები; ასოები, როგორც რიცხვითი ნიშნები);
- ეცნობიან ხმარებიდან ამოღებული ხუთი ასონიშნის ფუნქციასა და დანიშნულებას ძველ ქართულში.

აქტივობა 5. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით (სასურველია სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები, ძირითადად, გამოიყენოთ საკლასო აქტივობებისათვის, რათა მოსწავლეებმა შეძლონ შეძენილი ცოდნის ტრანსფერი ლიტერატურის გაკვეთილზე ძველი ქართული ტექსტების შესწავლის დროს).

შენიშვნა

კლასგარეშე აქტივობის ფარგლებში მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მინიპროექტი, მაგალითად: „ქართული ანბანი - ბურჯი იდენტობისა”.

შუალედური მიზნები (2-3 გაკვეთილი)
მოსწავლემ უნდა შეძლოს: **II.** ძველ ქართულში წრფელობითი ბრუნვისა და საკუთარი სახელების თავისებური ბრუნების ცოდნის გამოყენება მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად, სათქმელის (ზეპირისა თუ წერილობითის) გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად; §2 **მოსწავლეს შეუძლია:** • სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

აქტივობები და რესურსები:

აქტივობა 1. არსებული ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მათთვის ნაცნობი ინფორმაცია:

- რამდენი ბრუნვაა თანამედროვე ქართულში და რა თანამიმდევრობით არის დალაგებული ისინი?
- რა ფუნქცია აქვს თითოეულ ბრუნვას?
- რა იცით ბრუნვის ნიშნების შესახებ?
- როგოგორ იბრუნება საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელები?
- რომელი ჯგუფის საკუთარი სახელები იჩენს თავისებურებას ბრუნების დროს?
- რაში ვლინდება ეს თავისებურება?

(მსჯელობისას პასუხები დაამოწმონ კონკრეტული მაგალითებით).

აქტივობა 2. გაიაზრეთ საკითხი - წრფელობითი ბრუნვა და საკუთარი სახელების თავისებური ბრუნება ძველ ქართულში - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

- მოსწავლეები ეცნობიან/იაზრებენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მასალას ნაბიჯ-ნაბიჯ;
- აკვირდებიან ლიტერატურის სახელმძღვანელოდან მათთვის ნაცნობი ტექსტის, „შუშანიკის წამების" ფრაგმენტს, აფიქსირებენ, ადარებენ და აანალიზებენ თავისებურებებს, რომლებსაც ავლენენ საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელები ბრუნების დროს;
- კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით მსჯელობენ თავისებურებებზე, რომლებსაც ავლენენ ბრუნების დროს პირთა სახელები;
- ეცნობიან და იაზრებენ მსაზღვრელი ნაწევარის ფუნქციას;
- იხსენებენ ნაცნობ და იმახსოვრებენ ახალ ცნებებს, ახდენენ არსებული და ახლადშეძენილი ინფორმაციის გამთლიანებას.

აქტივობა 3. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით.

სახელმძღვანელოში მოცემული 1-ლი და მე-2 დავალება შეიძლება გამოიყენოთ საკლასო აქტივობისთვის ან შევთავაზოთ ალტერნატიული, უფრო სახალისო, აქტივობები, მაგ.:

- აბრუნონ თავიანთი სახელები ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ბრუნების ფორმით;
- წყვილებში მოიფიქრონ წინადადებები, რომლებშიც პირთა სახელები ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი და სთხოვონ მეწყვილეს, ამოიცნოს, რომელ ბრუნვაშია იგი.

შუალედური მიზანი - შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება. (5 –6 გაკვეთილი)

მოსწავლემ უნდა შეძლოს

წერითი ნამუშევრის შექმნა ძველ ქართულში საკუთარი სახელების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მოსწავლეს შეუძლია:

1.1. სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;

1.3. მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება;

1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

დავალების პირობა

დააკვირდით იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ გამოყენებულ საკუთარ სახელებს და დაკვირვების შედეგები წარმოაჩინეთ წერითი ნამუშევრის სახით.

ტექსტის შედგენისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- საკუთარი სახელების ჯგუფები, რომლებიც გვხვდება იაკობ ხუცესის ტექსტში (მაგ.: პირთა სახელები, გეოგრაფიული სახელები...);
- რა თავისებურებებს გვიჩვენებს საკუთარ სახელთა თითოეული ჯგუფის ბრუნება ძველ ქართულში - შესაბამისი მაგალითების მოხმობით;
- კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი სათანადო დასკვნები;
- ცვლილებები, რაც განიცადა საკუთარ სახელთა ბრუნებამ.

კონტექსტმაგალითები და დამხმარე სამუშაო რესურსები:

ძირითადი კონტექსტმაგალითი:

წრფელობითი ბრუნვა და საკუთარი სახელების თავისებური ბრუნება ძველ ქართულში, §2; სახელმძღვანელო;

იაკობ ხუცესი - „შუშანიკის წამება“, სახელმძღვანელო „ქართული ლიტერატურა“;

http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/shushanikiswameba.htm

დამატებითი:

საკუთარ სახელთა ბრუნება (§8), სახელმძღვანელო „ქართული ენა“, მე-7 კლ.

აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 41; §52. საკუთარ სახელთა ბრუნება.

ძველი ქართული ენის გრამატიკა - თსუ ტექსტკორპუსი

ივანე იმნაიშვილი, სახლეთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, ადამიანთა სახელები, გვ. 365. გეოგრაფიული სახელები, გვ. 391.

Iverieli: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები : ტომი IV

დამხმარე სამუშაო რესურსები

სამუშაო რესურსი 1. ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სხვა ტექსტები, ქართული ენის სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების ფრაგმენტები;

სამუშაო რესურსი 2. გრაფიკული მაორგანიზებელი, ბრუნვათა რიგი და ფორმები ძველ და ახალ ქართულში.

სამუშაო რესურსი 3. გრაფიკული მაორგანიზებელი ვენის დიაგრამა;

სამუშაო რესურსი 4. საკუთარ სახელთა მაორგანიზებელი სქემა.

სამუშაო რესურსი 5. თვითშეფასების სქემა.

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გააქტიურება.

- გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ საკუთარ სახელთა ჯგუფები;
- საკუთარ სახელთა რომელი ჯგუფები ავლენს თავისებურებებს ბრუნების დროს?
- რა ტიპის შეცდომები გვხვდება ყველაზე უფრო ხშირად საკუთარ სახელთა ხმარების დროს?
- რა იცით პირთა სახელების ბრუნების თავისებურებებზე ძველ ქართულში?
- რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ ძველ ქართულში საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებების ცოდნა ტექსტების სწორად გაგებისათვის?
- რა ტიპის გაუგებრობები შეიძლება მოხდეს, თქვენი აზრით, პირთა სახელების ბრუნვის ფორმის არასწორად გაგების შემთხვევაში ძველი ქართულის რომელიმე ტექსტზე მუშაობისას?
- როგორ გესახებათ ამ პრობლემის გადაჭრის გზა?

აქტივობა 2. ტექსტის - „შუშანიკის წამების" - დამუშავება კონკრეტული მიზნით.

სათანადო მასალის მოსაძიებლად ტექსტზე მუშაობისათვის, მოსწავლეთა მზაობისა და სწავლების პროფილის გათვალისწინებით; სასურველია გამოიყენოთ ე.წ. „სასწავლო მენიუ".

სავალდებულო
• ლიტერატურის სახელმძღვანელოში მოცემული „შუშანიკის წამების" ძველი ქართულით წარმოდგენილი ტექსტის მონაკვეთებიდან ამოიწერეთ ყველა ჯგუფის საკუთარი არსებითი სახელები.
არჩევითი
მასწავლებელმა სთხოვა მოსწავლეებს არჩევითი დავალებებიდან აირჩიონ ერთ-ერთი და შეასრულონ ინდივიდუალურად ან წყვილებში: • „შუშანიკის წამების" ძველი ქართულით წარმოდგენილი ტექსტის მონაკვეთებიდან საკუთარი არსებითი სახელები ამოიწერეთ განსხვავებული ფერის ბარათებზე და დაახარისხეთ (მაგ.: საკუთარ სახელთა ჯგუფების, ბრუნვათა მიხედვით და ა.შ); • „ლიტერატურის სახელმძღვანელოში" მოცემული „შუშანიკის წამების" სრული ტექსტიდან (ავთენტური და ადაპტირებული ტექსტებიდან) ამოიწერეთ საკუთარი სახელები შედარების მიზნით; • სათანადო მასალის („შუშანიკის წამებაში" გამოყენებული საკუთარი სახელების) მოსაძიებლად გამოიყენეთ ტექსტის სრული ვერსია. http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/shushanikiswameba.htm
არასავალდებულო
მასწავლებელმა შესთავაზა მოსწავლეებს, სურვილის შესაბამისად, დავალებებიდან შეასრულონ ერთი, ერთზე მეტი ან არცერთი: • მოძიებული მასალა გადაიტანე სქემებში მეტი თვალსაჩინოებისათვის; • მოიძიე მასალა სხვა ტექსტებში (მაგ.: ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სხვა ტექსტები, ქართული ენის სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების ფრაგმენტები და სხვ.); • მოძიებული მასალა გადაიტანე საპრეზენტაციო ფორმატში.

აქტივობა 3. პირთა სახელების ბრუნვის ფორმათა გარჩევა.

ა) მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მცირე ამონარიდს მათეს სახარების დასაწყისიდან და სთხოვს მოცემული ტექსტი შეცვალონ თანამედროვე ქართულით:

სამუშაო რესურსი 1.

აბრაჰამ შვა ისაკ; ისაკ შვა იაკობ; იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი;
ხოლო იუდა შვა ფარეზ და ზარა თამარისგან; და ფარეზ შვა ესრომ; ესრომ შვა არამ;
არამ შვა ამინადაბ; ამინადაბ შვა ნაასონ; ნაასონ შვა სალმონ;
სალმონ შვა ბოოს რექაბისგან; ბოოს შვა იობედ რუთისგან; იობედ შვა იესე;

დავალების შესრულების შემდეგ კი უპასუხონ კითხვებს:

- რა დაეხმარათ ბრუნვათა ფორმების განსაზღვრაში?
- როგორი თანამიმდებრობით უნდა განლაგდნენ სუბიექტი და ობიექტი წინადადებაში?
- მოცემულ ტექსტში რა ტიპის შეცდომა და, შესაბამისად, აზრობრივი უზუსტობაა მოსალოდნელი ბრუნვათა ფორმების არასწორად გამოყენებისას?
- თქვენი აზრით, რამდენად მკაცრი და ფიქსირებულია ძველ ქართულ ენაში სიტყვათა წყობა?
- თქვენთვის ნაცნობ რომელ უცხოურ ენაშია სიტყვათა წყობა მკაცრი და ფიქსირებული? რით განსხვავდება იგი ძველი ქართულისაგან?

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მცირე ამონარიდებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ და სთხოვს მოცემული წინადადებები შეცვალონ თანამედროვე ქართულით:

- ✓ ადარნერსე ჴელმწიფემან ძჱ თჳსი, გურგენ, ნათლითა მისცა მას;
- ✓ მამამან გრიგოლ და დედამან ფებრონია შემოსილი საკურთხეველით შთამოიყვანეს და წინაშე საკურთხეველსა განძარცუეს;
- ✓ ხოლო გაბრიელ, დიდებულმან აზნაურმან, ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამაჲ გრიგოლ;
- ✓ მამამან გრიგოლ ... ილარიონ ვინმე იერუსალჱმით მოსრული, სარწმუნოჲ მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად.

დავალების შესრულების შემდეგ კი უპასუხონ კითხვებს:

- რა დაეხმარათ ბრუნვათა ფორმების განსაზღვრაში?
- რამდენად გასაგები იქნებოდა აზრი, აქ წარმოდგენილ პირთა სახელებს განსაზღვრება რომ არ ახლდეს?
- მოცემულ ტექსტში რა ტიპის შეცდომა და, შესაბამისად, აზრობრივი უზუსტობაა მოსალოდნელი ბრუნვათა ფორმების არასწორად გამოყენებისას?
- რამდენად მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში სიტყვათა რიგი წინადადებაში?
- ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, როგორ შეაჯამებდით საკითხს?

აქტივობა 4. დაკვირვება ტექსტში წარმოდგენილი ადამიანთა საკუთარი სახელების ყველა ბრუნვის ფორმაზე.

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ტექსტიდან ამოწერილი პირთა სახელებით:

- შეავსონ წარმოდგენილი სქემა;
- მიუწერონ მათი თანამედროვე ქართულის შესატყვისი ფორმა.

რესურსი 2. გრაფიკული მაორგანიზებელი, ბრუნვათა რიგი და ფორმები ძველ და ახალ ქართულში.


ბრუნვა	ძველ ქართულში	თანამედროვე ქართულში
წრფელობითი		
სახელობითი		
მოთხრობითი		
მიცემითი		
ნათესაობითი	აღსასრული წმიდისა და სანატრელისა **შუშანიკისი**	**შუშანიკისა**
მოქმედებითი		
ვითარებითი		
წოდებითი		

- როგორ შეიცვალა ბრუნვათა რაოდენობა თანამედროვე ქართულში?
- დააკვირდით, რა ცვლილება განიცადა?თითოეულმა ბრუნვის ფორმამ?
- მიუხედავად ამ ცვლილებებისა, რამდენად გასაგებია ტექსტი თანამედროვე ქართველისათვის?
- რა დასკვნის გამოტანა შეგიძლიათ აქედან? პასუხი დაასაბუთეთ.

აქტივობა 5. მსგავსება&განსხვავება ძველ და ახალ ქართულში საკუთარ სახელთა ბრუნების დროს.

მოსწავლეები მოძიებული მასალის საფუძველზე ავსებენ ვენის დიაგრამას და მსჯელობენ ცვლილებებზე, რომლებიც განიცადა სალიტერატურო ენამ საუკუნეთა განმავლობაში.

სამუშაო რესურსი 3. ვენის დიაგრამა.



აქტივობა 6. გეოგრაფიული და სხვა საკუთარი სახელები ტექსტში.

მოსწავლეები სქემაში ამოიწერენ:

- სხვადასხვა ჯგუფის საკუთარ სახელებს;
- განსაზღვრავენ მათი ბრუნვის ფორმას;
- ადარებენ თანამედროვე ქართულის შესაბამისი ბრუნვის ფორმებს;
- გამოაქვთ სათანადო დასკვნები.

სამუშაო რესურსი 4. საკუთარ სახელთა მაორგანიზებელი სქემა.

საკუთარი სახელი	სიტყვა/ფრაზა ტექსტიდან	ბრუნვის ფორმა	შესატყვისი თანამედროვე ქართულში
გეოგრაფიული			
თვეები, კვირის დღეები			

აქტივობა 7. დაკვირვების შედეგების წარმოსაჩენად წერითი ნამუშევრის ფორმისა და სტილის შერჩევა.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, საკუთარი დაკვირვების შედეგები წარმოადგინონ წერითი ნამუშევრის სახით მათთვის სასურველი ფორმით (მაგ.: საინფორმაციო რეპორტი, რომელშიც მხოლოდ ფაქტების მშრალი და ზუსტი აღწერა იქნება წარმოდგენილი; ანალიტიკური ანგარიში, რომელიც მოიაზრებს მონაცემების შეჯამებას, შედარებასა და დასკვნებს; სამეცნიერო-პოპულარული სტატია, მკაცრად სტრუქტურიზებული ტექსტი ჰიპოთეზებითა და მტკიცებულებებით, ესე ან ნარატივი და სხვ.).

სამუშაო რესურსი 5. თვითშეფასების სქემა

წერილობითი ტექსტი	არის	გასაუმჯობესებელია
სტრუქტურულად გამართულია		
წარმოჩენილი და გაანალიზებულია ამ თემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი		
მსჯელობა დასაბუთებულია სათანადო არგუმენტებითა და მაგალითებით		
მსჯელობა ემყარება ცნობილი ენათმეცნიერების მოსაზრებებს		
შეარჩეულია საინტერესო და შთამბეჭდავი ლექსიკა და სტილი, ახასიათებს დამაჯერებელი მსჯელობა და შეუძლია მკითხველზე ზემოქმედების მოხდენა		
დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.		

აქტივობა 8. საბოლოო ვერსიის შემუშავება და წარდგენა.

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება	შეფასების ინდიკატორები (სტანდარტი)	მოლოდინები (შეფასების რუბრიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით) მოსწავლეს შეუძლია:
ენის სისტემა (შედეგი 1)	• სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება ; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	• წერილობითი ტექსტის შედგენისას სხვადასხვა სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ფუნქციური გამოყენება; • ტექსტისათვის დამახასიათებელი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველებისა და სალიტერატურო ენის ნორმებისა დაცვა.

შუალედური მიზანი (4-5 გაკვეთილი)
შუალედური მიზანი **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** **II.** ძველ ქართულში ზმნის უღლების თავისებურებათა ცოდნის გამოყენება მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად, სათქმელის (ზეპირისა თუ წერილობითის) გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად; **§3,4,5**. მოსწავლეს შეუძლია: • სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად.

აქტივობები და რესურსები:

აქტივობა 1. არსებული ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, ზმნის უღლებასთან დაკავშირებული მათთვის ნაცნობი ინფორმაცია:

- **გაიხსენეთ როგორ სისტემას ქმნის ზმნის ფორმაცვალებადობა?**
- **რამდენი განსხვავებული ფორმა შეიძლება ჰქონდეს ერთი კონკრეტულ ზმნას?**
- **რა არის მწკრივი და რა ნიშნითაა მასში გაერთიანებული ზმნური ფორმები?**
- **რა კითხვები დაესმის თითოეული მწკრივის ფორმას?**
- **თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია უღლების ცოდნა ქართულ ენაზე სწორი, გამართული და ბუნებრივი კომუნიკაციისათვის?**
- **როგორ ფიქრობთ, საუკუნეთა განმავლობაში რამდენად განიცადა ცვლილება ზმნათა უღლების სისტემამ?**

- ძველი ქართულის ტექსტების კითხვისას თუ დაგიფიქსირებიათ თქვენთვის უცხო ზმნური ფორმები?
- ძველი ქართულის ტექსტების მართებულად წაკითხვისა და გაგებისათვის რამდენად მნიშვნელოვანია იცოდეთ უღლების თავისებურებანი ძველ ქართულში? (მსჯელობისას პასუხები დაამოწმეთ კონკრეტული მაგალითებით).

აქტივობა 2. დაკვირვება მწკრივთა რაოდენობასა და ფორმებზე ძველ და ახალ ქართულში:

აქტივობაზე მუშაობისას სასურველია გამოიყენოთ სოკრატული დიალოგის მეთოდი, თავად კი არ მიაწოდოთ მზა ინფორმაცია, არამედ დიალოგში გამოიწვიოთ თქვენი მოსწავლეები და ამ გზით მიიყვანოთ სწორ დასკვნებამდე. აქტივობა დაყავით ნაბიჯებად:

1. დაკვირვებისა და შესაბამისი დასკვნების გამოსატანად შესთავაზეთ მწკრივებისა და სერიების ცხრილი;
2. ცხრილზე დაკვირვებისა და სათანადო დასკვნების გამოსატანად დაუსახეთ კონკრეტული ამოცანები, მაგ.:
    - ✓ დააკვირდით, როგორ შეიცვალა მწკრივთა რაოდენობა ძველი ქართულიდან დღემდე?
    - ✓ ყველაზე მეტი ცვლილება რომელ სერიაში ფიქსირდება და რა პრობლემა შეიძლება გაჩნდეს ამ თვალსაზრისით ძველი ქართულის ტექსტების კითხვის დროს?
    - ✓ რომელი მწკრივები არ იყო ძველად და რომელი მწკრივები გამქრალა თანამედროვე ქართული ენიდან?

ახალი ქართული	ძველი ქართული
აწმყო	აწმყო
	აწმყოს ხოლმეობითი
უწყვეტელი	უწყვეტელი
	უწყვეტლის ხოლმეობითი
	პირველი ბრძანებითი
აწმყოს კავშირებითი	პირველი კავშირებითი
მყოფადი	
ხოლმეობითი	
მყოფადის კავშირებითი	
წყვეტილი	წყვეტილი
	მეორე ხოლმეობითი
	მეორე ბრძანებითი
მეორე კავშირებითი	მეორე კავშირებითი
პირველი თურმეობითი	პირველი თურმეობითი
მეორე თურმეობითი	მეორე თურმეობითი
	მესამე ხოლმეობითი
მესამე კავშირებითი	მესამე კავშირებითი

3. დაკვირვების შემდეგ იმსჯელებენ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების გათვალისწინებით:
    - ✓ ძველი ქართულის ტექსტების კითხვისას თუ დაგიფიქსირებიათ თქვენთვის უცხო ზმნური ფორმები?
    - ✓ ძველი ქართულის ტექსტების მართებულად წაკითხვისა და გაგებისათვის რამდენად მნიშვნელოვანია იცოდეთ უღლების თავისებურებანი ძველ ქართულში?
    - ✓ შეგიძლია, იპოვო ტექსტში ის არგუმენტი, რომელიც შენს მსჯელობას ამტკიცებს?
    - ✓ იქნებ ვინმემ განსხვავებული პოზიცია წარმოგვიდგინოს?
    - ✓ ახლა, ვისაც საკუთარი აზრი არ გამოუთქვამს, რას ფიქრობთ თქვენი თანაკლასელების მსჯელობაზე?
4. ბოლოს შეაჯამეთ საკითხი და შეაფასეთ მოსწავლეთა მიღწევები.
5. სასურველია, მოსწავლეებმა წერილობით ჩამოაყალიბონ საკითხთან დაკავშირებული საკუთარი პოზიცია.

აქტივობა 3. გაიაზრეთ საკითხი - ზმნის უღლების სირთულეები ძველ ქართულში სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

- მოსწავლეები ეცნობიან/იაზრებენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მასალას ნაბიჯ-ნაბიჯ;
- აკვირდებიან სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ცხრილებს, ადარებენ და აანალიზებენ თავისებურებებს, რომლებსაც ავლენს ზმნა უღლების დროს ძველ ქართულში;
- კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით მსჯელობენ თავისებურებებზე, რომლებსაც ავლენენ ზმნები უღლებისას;
- ეცნობიან, რა საშუალებებს იყენებს ძველი ქართული მყოფადის მწკრივის გადმოსაცემად;
- იხსენებენ ნაცნობ და იმახსოვრებენ ახალ ტერმინებს ზმნათა უღლების თვალსაზრისით, ახდენენ არსებული და ახლადშეძენილი ინფორმაციის გამთლიანებას.

აქტივობა 4. -ავ და -ამ სუფიქსიან თავისებურ ფორმათა მართებულად გაგება.

საკითხის შესწავლამდე გაიხსენეთ და უპასუხეთ კითხვებს:

- რა იცით -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნების შესახებ?
- რა თავისებურებებს ავლენს ის თანამედროვე ქართულში?
- რა სირთულეებს აწყდებით -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა ფორმების გამოყენებისას და რამდენად ხშირია მართლწერის ნორმების დარღვევა?
- რამდენად მართებულად გესმით -ავ და -ამ თემისნიშნიანი ფორმების მნიშვნელობა ძველ ქართულ ტექსტებში?
- -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა მართებულად გაგებისათვის საკმარისია ის ცოდნა, რაც მის შესახებ იცით თანამედროვე ქართულიდან?

აქტივობა 5. გაიაზრეთ საკითხი - -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა უღლებასთან დაკავშირებული სირთულეები ძველ ქართულში - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

- დააკვირდით უღლებათა სქემებს და დაიმახსოვრეთ, რა ცვლილებებს განიცდის ის უღლებისას;
- გაიაზრეთ, რამდენად სწორად გესმოდათ ამ ფორმათა მნიშვნელობა ძველი ქართული ტექსტების კითხვისას;
- დაძებნეთ -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები შეწავლილ/შესასწავლ ტექსტებში, გამოიყენეთ შეძენილი ცოდნა და შეეცადეთ ანალოგიურ ფორმათა შინაარსი მართებულად გაიაზროთ.

აქტივობა 6. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები, სასურველია გამოიყენოთ არა მხოლოდ ენის გაკვეთილზე, არამედ ლიტერატურული მასალის დამუშავების პარალელურად, რითიც მოსწავლეებს დაეხმარებით ტექსტების სწორად გაგებაში.

შუალედური მიზანი (1-2 გაკვეთილი)
მოსწავლემ უნდა შეძლოს: **II.** ძველ ქართულში ნაწილაკების ფუნქციის ცოდნის გამოყენება მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად. **§6**. **მოსწავლეს შეუძლია:** • სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად.

აქტივობები და რესურსები:

აქტივობა 1. არსებული ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, ნაწილაკებთან და მათს ფუნქციასთან დაკავშირებული მათთვის ნაცნობი ინფორმაცია:

- გაიხსენეთ როგორი მეტყველების ნაწილია ნაწილაკი? დაასახელეთ კონკრეტული მაგალითები;
- რამდენი განსხვავებული ჯგუფი შეიძლება ჰქონდეს ნაწილაკს და რას გამოხატავს იგი?
- თქვენი აზრით, ქართულ ენაზე რამდენად სრულყოფილად შეიძლება აზრის გადმოცემა ნაწილაკების გარეშე? პასუხი დაასაბუთეთ.

აქტივობა 2. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს დაფაზე/ფლიპჩარტზე ჩამოწერილ „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმებს, რომლებშიც გამოტოვებულია ნაწილაკები და სთხოვს:

ა) მრავალწერტილის ადგილას აღადგინონ გამოტოვებული ნაწილაკები;

ბ) შეადარონ სრულ ვერსიას და იმსჯელონ, ნაწილაკების გარეშე რას „დაკარგავდა" ფრაზა, ანუ რა დატვირთვა აქვს თითოეულ აფორიზმში ამ დამხმარე სიტყვებს.

- ------ ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა;
- ერთგულთათვის კარგი ----- გშურს, ორგული----- შენი კვდების;
- -------- დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერ----- კლდოვანი;
- რაც ------- გწადდეს იგი ქმენ, ------ სდევ წადილთა ნებასა;
- შიში -------- იხსნის სიკვდილსა, ცუდნი------ დაღრეჯანია;
- კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ ------- -------- წახდების;
- დიდთა და წვრილთა წყალობა შენ------ --------- მოგეწყინების!

გ) დააკვირდით და იმსჯელეთ, ამ აფორიზმებში წარმოდგენილი ნაწილაკებიდან:

- რომელი დასტურდება თანამედროვე ქართულშიც;
- რომელმა შეიცვალა ბგერითი შედგენილობა;
- ან სხვა სიტყვებითაა გადმოცემული იგივე აზრი,
- ანდა საერთოდ აღარ გვხვდება.

აქტივობა 3. გაიაზრეთ საკითხი - ძველ ქართულში -მცა ნაწილაკის ფუნქცია - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯებისა და სავარჯიშოების დახმარებით.

აქტივობა 5. მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებას, რომლის ბოლოსაც სვამს სხვადასხვა სასვენ ნიშანს და სთხოვს იმსჯელონ, რა განსხვავებაა აზრობრივად ამ წინადადებებს შორის და რითაა გამოხატული ეს განსხვავება:

„შოთა რუსთაველის ფრესკა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერშია აღმოჩენილი.”

„შოთა რუსთაველის ფრესკა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერშია აღმოჩენილი!”

„შოთა რუსთაველის ფრესკა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერშია აღმოჩენილი?”

აქტივობა 6. გაიაზრეთ საკითხი - ძველ ქართულში -ა ნაწილაკის ფუნქცია - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯებისა და სავარჯიშოების დახმარებით.

შუალედური მიზნები (5-6 გაკვეთილი)
შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება. წერითი ნამუშევრის შექმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ თავისებურებებთან დაკავშირებითით. **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** რუსთაველის ენის თავისებურებათა ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს ქართული ენის უნიკალურობის გასააზრებლად; წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად; სათქმელის წერილობით გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად; გააზრებული ენობრივი არჩევანის გასაკეთებლად წერილობითი ტექსტის შექმნის დროს. **მოსწავლეს შეუძლია:** 1.1. სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; 1.3. მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; 1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.
დავალების პირობა: „ვეფხისტყაოსნის“ თქვენ მიერ შერჩეულ ეპიზოდში გამოავლინეთ პოემის ენობრივი თავისებურებები და დაკვირვების შედეგები წარმოაჩინეთ წერითი ნამუშევრის -„ვეფხისტყაოსნის“ (შერჩეული მონაკვეთის) გრამატიკა“ - სახით. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები. **ნამუშევარში:** ❖ წარმოაჩინეთ შოთა რუსთაველის ენის თავისებურებები; ❖ გამოკვეთეთ ის გრამატიკული ფორმები, რომლებსაც ძველი ქართულიდან ინარჩუნებს ავტორი და ისინი, რომლებიც ჩაუნაცვლებია ახალი ქართულის ენობრივი ნორმებით; ❖ აღნიშნეთ, რომელ გრამატიკულ ფორმებს იყენებს პარალელურად ძველი და ახალი ქართულიდან და რა ინტენსივობით; ❖ იმსჯელეთ შოთა რუსთაველის პოემის როლზე ძველიდან ახალ სალიტერატურო ქართულზე გარდამავალ პერიოდში.

კონტექსტმაგალითები და დამხმარე სამუშაო რესურსები:

ძირითადი კონტექსტმაგალითი:

სახელმძღვანელო, ქართული ენა, 1-ლი ნაწილი;

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ ვეფხისტყაოსანი: სასკოლო ლიტერატურა: მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა

დამატებითი:

ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1984 წ. გვ. 253-254. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/324380

ვუკოლ ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/401729/1/Rustvelologiuri_Etiudebi_1961.pdf

სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა”, 2007წ. მიხეილ ქურდიანი- „სამი სემიოტიკური ეტიუდი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, გვ. https://www.nplg.gov.ge/greenstone3/halftone-library/collection/period/document/HASH134187d1a5ce1f5a8c11af;jsessionid=E4E237B60CC6BC7C971D5B6CD1F13B2A?ed=1

თამაზ გამყრელიძე და სხვ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003 წ. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/400315

დამხმარე სამუშაო რესურსები:

სამუშაო რესურსი 1. ამონარიდი (სქრინი) ზურაბ სარჯველაძის სამეცნიერო ნაშრომიდან;

სამუშაო რესურსი 2. სადისკუსიო ქსელის სქემა;

სამუშაო რესურსი 3. ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვების სქემა;

სამუშაო რესურსი 4. საკითხის ანალიზის შედეგების სქემა;

სამუშაო რესურსი 5. თვითშეფასების სქემა.

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გააქტიურება.

- **გაიხსენეთ თქვენ მიერ შესწავლილი ჰაგიოგრაფიული ტექსტები (სახელმძღვანელოში ტექსტის ნაწილი წარმოდგენილი იყო ავთენტური სახით, ძველი ქართულით, ნაწილი კი - თანამედროვე ქართულით). თქვენი გამოცდილების გათვალისწინებით, რა ტიპის განსხვავებებს ხვდებოდით ტექსტებში?**
- **ლიტერატურის გაკვეთილებიდან თქვენ უკვე იცნობთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს; თქვენი აზრით, პოემის ენა ძველ ქართულთან უფრო ახლოსაა თუ ახალ ქართულთან? პასუხი დაასაბუთეთ.**
- **რა ტიპის სირთულეები შეიძლება შეგხვდეთ, „ვეფხისტყაოსნის” შესწავლის დროს ენობრივი თვალსაზრისით?**
- **როგორ გამოიყენებთ არსებულ გამოცდილებას პოემის ტექსტის სწორად გაგებისათვის?**

აქტივობა 2. დისკუსია.

I. **მასწავლებელი დაფაზე წერს სალიტერატურო ენის პერიოდიზაციასთან დაკავშირებულ ორ ძირითად და განსხვავებულ მოსაზრებას:**
   - ✓ **სალიტერატურო ენის განვითარებაში გამოიყოფა სამი პერიოდი (აკაკი შანიძე): ძველი (V-XI სს.), საშუალო (XII-XVIII სს.) და ახალი ქართული (XIX საუკუნიდან დღემდე);**
   - ✓ **სალიტერატურო ენის განვითარებაში გამოიყოფა ორი პერიოდი (არნოლდ ჩიქობავა): ძველი (V-XI სს.) და ახალი ქართული (XII საუკუნიდან დღემდე).**

II. **მოსწავლეები ეცნობიან ამონარიდს ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით ავსებენ „სადისკუსიო ქსელის“ სქემას იმის გათვალისწი-**

ნებით, ამ მოსაზრებებიდან რომელია მათთვის მისაღები/მიუღებელი და რატომ. /წინასწარ შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ, შესაძლოა, მათი პოზიციები და ჩამოთვლილი მიზეზები განსხვავებული იყოს/.

სამუშაო რესურსი 1. ამონარიდი ზურაბ სარჯველაძის სამეცნიერო ნაშრომიდან.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი

დიდი წერილობითი ტრადიციების მქონე სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია სირთულეებთანაა დაკავშირებული. სადისკუსიოა ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციაც. ქართველოლოგთა ერთი ნაწილი სალიტერატურო ქართულს სამ საფეხურად ყოფს: I — ძველი ქართული ენა (V—XI საუკუნეები); II — საშუალი ქართული ენა (XII—XVIII საუკუნეები); III — ახალი ქართული სალიტერატურო ენა (XIX საუკუნიდან დღემდე) (15, გვ. X, შენ. 1). ა. შანიძე შენიშნავს, რომ „ადნიშნული დაყოფა, რა თქმა უნდა, მიახლოებითია. ზედმიწევნილობით საზოგრის დადება ძველსა, საშუალსა და ახალ ქართულს შორის არ შეიძლება, მაგ., „ქილილა და დამანას“ ენა რომ შევუდაროთ „სიბრძნე-სიცრუისას“, ვნახავთ, რომ (ეს აქ დაბეჭდილი ნაწყვეტებიდანაც ჩანს) „ქილილა და დამანა“ უფრო ძველ სიტყვებსა და ფორმებს წმაროობს, ვიდრე „სიბრძნე სიცრუის“ წიგნი, ესენი კი ერთისა და იმავე ეპოქის ძეგლებია“ (15, გვ. 01, შენ. 2), ქართული სალიტერატურო ენის სამ საფეხურად დაყოფას ემხრობიან კ. კეკელიძე (6, გვ. 32—33), გ. დეეტერსი (24, გვ. 5), ი. ქავთარაძე (11), ზ. ჭუმბურიძე (22) და სხვები.

არნ. ჩიქობავას აზრით, „საშუალი ქართულის“ ცალკე საფეხურად გამოყოფა (ძველისა და ახალი ქართულის გვერდით) არაა გამართლებული საქმის ვითარებით. ძველ ქართულს ახალი ქართული მოსდევს“ (17, გვ. 227, შენ. 1).

არნ. ჩიქობავა სხვა ნაშრომში წერს: „ახალი ქართული სალიტერატურო ენა ისახება მეთორმეტე საუკუნიდან (ნ. მარი, ს. გორგაძე): მეხოტბეთა (შავთელის, ჩახრუხაძის) ენა, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენა უკვე ადარაა ძველი ქართული. სახელთა ბრუნებაში, ზმნის უღვლილებაში ახალი ქართულის დამახასიათებელი მოვლენები გვაქვს. სიტყვათა წყობაც არსებითად ახალი ქართულისაა“ (19, გვ. 018; შდრ.: 18, გვ. 3). იქვე ნათქვამია: „ახალ სალიტერატურო ქართულს საძირკველი ეყრება თბილისში: დავით ადმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქთაგან 1122 წ. და პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლება (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით), ის დიდმნიშენელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეაპირობა“ (19, გვ. 018).

სამუშაო რესურსი 2. სადისკუსიო ქსელის სქემა.

სადისკუსიო ქსელის სქემა

ვეთანხმები (pro)	ვუპირისპირდები (con)
----------	----------
----------	----------
----------	----------

დასკვნები:

/განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევინეთ მოსწავლეებს სქემის იმ მონაკვეთზე, სადაც წერია „დასკვნები“/.

მეთოდის – „სადისკუსიო ქსელის“.- გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს, გამოხატონ საკუთარი დადებითი/უარყოფითი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ და დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება. პროცესში მონაწილეობა სასარგებლოა ახალი ცოდნის განმტკიცებისა და გაღრმავებისთვის, წერის პროცესისთვის მოსამზადებლად, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისათვის.

III. მოსწავლეები წყვილებში (აქტივობა შეიძლება განხორციელდეს ჯგუფური მუშაობის დროსაც, კლასში მოსწავლეთა მზაობისა და რაოდენობის გათვალისწინებით) ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ შეხედულებებს. აცნობენ მეწყვილეს საკუთარ მოსაზრებებს და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარ სქემას სრულყოფენ მეწყვილის მოსაზრებების გათვალისწინებით. ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში, შესაძლებელია ჯგუფმა შეავსოს ერთი საერთო სქემაც ჯგუფის ყველა წევრის ინტერესის გათვალისწინებით.
IV. წყვილებში/ჯგუფში მოსაზრებების შეჯერების შემდეგ რამდენიმე მსურველი ხმამაღლა გამოთქვამს თავის შეხედულებებს. /შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ამ ამ საკითხზე ერთადერთი „სწორი პასუხი“ არ არსებობს და რომ ორივე მოსაზრებას თანაბარი ძალა აქვს/.

აქტივობა 3. დავალების ზეპირად წარდგენის შემდეგ მოსწავლეები ინდივიდუალურად წერენ ხუთწუთიან ესეს, რომელშიც საკუთარ, პიროვნულ პოზიციასა და შეხედულებებს გამოხატავენ მოცემულ საკითხზე / პრობლემაზე. მსჯელობისას შეუძლიათ გამოიყენონ სადისკუსიო ქსელში მოცემული მიზეზები და მათ მიერ შესწავლილი ტექსტი, რათა გაამყარონ საკუთარი არგუმენტები.

აქტივობა 4. რუსთაველის ენის შესახებ ინფორმაციის გაცნობა და გააზრება სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

აკვირდებიან პოემის კონკრეტულ სტროფს/სტროფებს ენობრივი თვალსაზრისით (რამდენია მათში ძველი ქართულის წილი და რას მიაკუთვნებენ ახალ ქართულს);

კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით აანალიზებენ „ვეფხისტყაოსნის” ზოგ ენობრივ თავისებურებას, კერძოდ:

- ✓ მოთხრობითი ბრუნვის ფორმები პოემაში;
- ✓ საკუთარ სახელთა სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვებისათვის წრფელობითის

გამოყენება;

- ✓ კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ?“
- ✓ მრავლობითი რიცხვის ფორმები;
- ✓ ხოლმეობითის მწკრივის ფორმათა გამოყენება პოემაში;
- ✓ ზმნისწინიანი ფორმები;
- ✓ სიტყვათა წყობა წინადადებაში (არქაული თუ ახალი);

თითოეულ ენობრივ თავისებურებაზე დაკვირვებისა და გაანალიზების შემდეგ მოსწავლეები თავად ძებნიან მსგავს ან/და საპირისპირო მაგალითებს პოემაში და მსჯელობენ, რამდენად ხშირია/ იშვიათია ამ ფორმათა გამოყენება პოემაში.

აქტივობა 5. სქემაზე - პროლოგის (ან შესაბამისი მონაკვეთის) გრამატიკა - მუშაობა.

ამ აქტივობაზე მუშაობა, მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით, შეიძლება განხორციელდეს წყვილებში ან ჯგუფურად.

მოსწავლეებს შესთავაზეთ მონაკვეთებად დაყოფილი პროლოგის (ან/და რომელიმე ეპიზოდის) მონაკვეთები, რომლებშიც დაძებნიან სქემის შესავსებად საჭირო ნიმუშებს (სავალდებულო არაა, რომ ყველა ენობრივი თავისებულება ფიქსირდებოდეს საანალიზო მონაკვეთში), შემდეგ მათ მიერ მოძიებული მასალით შეავსეთ ერთი საერთო სქემა.

სამუშაო რესურსი 6. ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვების სქემა.

„პროლოგის (ან - შესაბამისი მონაკვეთის) გრამატიკა“	
ენობრივი ნორმა	**მაგალითები ტექსტიდან**
მოთხრობითი ბრუნვის არქაული ფორმა	
საკუთარი სახელი წრფელობითის ფორმით	
კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ?“ მიმართებითი ნაცვალსახელის როლში	
-ნარ-თანიანი მრავლობითის ფორმები	
ხოლმეობითის მწკრივები	
გარდაუვალი ზმნების აწმყოსა და მყოფადის მე-3 პირის ფორმები:	
სიტყვათა არქაული წყობა	
ზმნისწინთა ძველი ფორმები	

ამის შემდეგ ისევ ჯგუფებში/წყვილებში გააანალიზონ, რომელი ენობრივი თავისებურებები დააფიქსირეს მოცემულ მონაკვეთში და რა დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა ეს ინფორმაცია;

აქტივობა 7. საკითხის შედეგების შესაფასებლად გამოიყენონ საკითხის ანალიზის შედეგების სქემა:

სამუშაო რესურსი 4. საკითხის ანალიზის შედეგების სქემა.

I. ზოგადი ინფორმაცია	
თემა	
შემსრულებელი: [სახელი, გვარი, კლასი]	
ანალიზის მიზანი: [რა საკითხის შესწავლას ემსახურება]	
II. შესწავლილი საკითხის მოკლე აღწერა	
რა კონკრეტულ საკითხზეა საუბარი	
კონტექსტი / წინაპირობა: [რატომ გახდა საჭირო მისი ანალიზი]	
III. ანალიზის ძირითადი შედეგები	
ფაქტობრივი მონაცემები: [გამოვლენილი ტენდენციები]	
ძირითადი მიგნებები: [რა აჩვენა ანალიზმა, რა ტიპის თავისებურებები გამოიკვეთა; წარმოადგინონ თეზისებად კონკრეტული მაგალითების მოხმობით]	✓
გამოვლენილი სირთულეები:	
IV. დასკვნები და რეკომენდაციები	
დასკვნა: [ლოგიკური შეჯამება ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით]	
რეკომენდაციები: [როგორ გამოიყენებენ პრაქტიკაში]	

სქემის შევსების შემდეგ ჯგუფები/წყვილები წარადგენენ თავიანთ ნამუშევარს. მონაკვეთის ანალიზისა და შედეგების სქემის შესავსებად შეუძლიათ გამოიყენონ როგორც საკუთარი, ასევე საერთო საკლასო მასალები.

აქტივობა 6. დაკვირვება რუსთაველის ოკაზიონალიზმებზე.

მასწავლებელი დაფაზე/ფლიპჩარტზე ჩამოწერს რამდენიმე ფრაზას ვეფხისტყაოსნიდან, მაგ.:

I. „კარგი ჰქმენო, - დაუმადლა, ბრძანებანი უიმედნა...

II. ვაზირმან, გლახ, გამოჰრიდნა, მართ ველარას ვერ იძრწივნებს;
გამოძრწა და გამომელდა, გულსა წყლულსა მოიმტკივნებს;

III. მათსა დიდსა სიხარულსა სამძიმარი ანაცვალეს,
ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს;

IV. ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს-აზეწარებს!

სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით დააკვირდნენ დაფაზე/ფლიპჩარტზე ჩამოწერილ ფრაზებს და უპასუხონ შეკითხვებს;

- ✓ რომელი სიტყვებია ინდივიდუალური საავტორო გამონათქვამები, რომლებიც არ თავსდება ენობრივ სისტემაში?
- ✓ ეს სიტყვები კონკრეტული ერთჯერადი გამოყენებისთვისაა, თუ შეიძლება ენობრივი სისტემის ნაწილად იქცეს? რატომ ფიქრობთ ასე?

აქტივობა 7. ოკაზიონალიზმები.

ა) ოკაზიონალიზმების შესახებ ინფორმაციის გაცნობა და გააზრება სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის (რუბრიკა - ეს გასათვალისწინებელია!) დახმარებით.

ბ) გაეცნონ მიხეილ ქურდიანის სტატიას ოკაზიონალიზმების შესახებ (სტატია შეუძლიათ ნახონ შესაბამის მასალასთან QR კოდის გამოყენებით) და მიღებული ინფორმაცია წარმოადგინონ თეზისების სახით:

- რომელი სიტყვებისგან წარმომდგარ ოკაზიონალიზმებზე ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას ავტორი?
- როგორ ხდება მათი იდენტიფიკაზია?
- ძირითადად რა შემთხვევაში ხდება სემანტიკური ველის(გარემოცვის) გამოყენება ოკაზიონალიზმის იდენტიფიკაციისათვის?
- ოკაზიონალიზმებისადმი როგორია რუსთაველის მიდგომა და რა არის მასში სიახლე?
- თქვენთვის რამდენად მიმზიდველია რუსთველისეული სიტყვაქმნადობა და რა ხიბლს სძენს ის მწერლის ენას?

გ) ოკაზიონალიზმებად მიიჩნევენ ასევე ბავშვის მეტყველებაში მათ მიერ მოფიქრებულ სიტყვებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ბავშვს არა აქვს საკმარისი სიტყვათა მარაგი, მაგრამ ავლენს ენის კანონზომიერებების ბუნებრივ შეგრძნებასა და ცდილობს ენაში არსებული „შეუსაბამობები“ საკუთარი ლოგიკით შეავსოს, რისთვისაც იყენებს მისთვის ნაცნობ მოდელებს ახალი სიტყვის მისაღებად.

გაიხსენეთ საკუთარი ან/და თქვენი ახლობლების ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ამგვარი სიტყვები და ახსენით:

- რა იგულისხმებოდა მათში ლექსიკური თვალსაზრისით?
- როგორ იყო ეს სიტყვები ნაწარმოები?
- როგორ ახდენდით მათს იდენტიფიკაციას?

დ) როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას თქვენს დავალებაზე მუშაობის პროცესში?

აქტივობა 8. „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდის შერჩევა.

მოსწავლეები თავად არჩევენ „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდს რუსთაველის ენაზე დაკვირვების მიზნით და საუბრობენ, ტექსტის ეს მონაკვეთი რატომ იყო ენობრივი თვალსაზრისით მათთვის მიმზიდველი.

მოსწავლეთა ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით შეგიძლიათ შესთავაზოთ დავალების შესრულებისა და წარმოდგენის განსხვავებული ფორმები (მაგ.: მოკლე რეფერატი, ანალიტიკური ანგარიში, რომელიც მოიაზრებს მონაცემების შეჯამებას, შედარებასა და დასკვნებს; სამეცნიერო-პოპულარული სტატია, მკაცრად სტრუქტურირებული ტექსტი ჰიპოთეზებითა და მტკიცებულებებით და ა.შ.).

აქტივობა 9. პირველადი და საბოლოო ვერსიის შემუშავება და წარდგენა.

სამუშაო რესურსი 5. თვითშეფასების სქემა

წერილობითი ტექსტი	არის	გასაუმჯობესებელია
სტრუქტურულად გამართულია		
წარმოჩენილი და გაანალიზებულია რუსთაველის ენის თავისებურებები მოცემული ეპიზოდის მიხედვით		
მსჯელობა დასაბუთებულია სათანადო არგუმენტებითა და მაგალითებით		
მსჯელობისას იყენებს ცნობილი ენათმეცნიერების მოსაზრებებს		
იყენებს შერჩეული წერილობითი ტექსტის ფორმის შესაბამის ლექსიკასა და სტილს, ახასიათებს დამაჯერებელი მსჯელობა და შეუძლია მკითხველზე ზემოქმედების მოხდენა		
დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.		

/პირველადი ვერსიების შემუშავების შემდეგ მასწავლებლისაგან იღებენ უკუკავშირს, ავსებენ თვითშეფასების სქემას და ამ ყოველივეს გათვალისწინებით ამზადებენ დავალების საბოლოო ვერსიას/

შენიშვნა. ამ შემოქმედებითი ბუნების დავალებაზე მუშაობა, სასურველია წარიმართოს მაშინ, როცა „ვეფხისტყაოსანს“ სწავლობენ ლიტერატურის გაკვეთილებზე. დავალებაზე მუშაობისას მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობასა და აკადემიურ შესაძლებლობებს, შესაბამისად, სთავაზობს დავალების შესასრულებლად თითოეული მათგანისათვის უფრო მისაღებ ფორმას. ასევე შესაძლებელია შინაარსობრივი შეზღუდვაც, მაგალითად, დააკვირვოს მხოლოდ 2-3 თავისებურებას და ა.შ.

შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკა (სამიზნე ცნების ინდიკატორების გათვალისწინებით)

სამიზნე ცნება	შეფასების ინდიკატორები (სტანდარტი)	მოლოდინები (შეფასების რუბრიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით) მოსწავლეს შეუძლია:
ენის სისტემა (შედეგი 1)	• სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/ დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	• წერილობითი ტექსტის „ვეფხისტყაოსნის“ გრამატიკა” - შედგენისას სხვადასხვა სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ფუნქციური გამოყენება; • შერჩეული წერილობითი ტექსტისათვის შესაბამისი გრამატიკული კონსტრუქციების მიზნობრივი გამოყენება; • შერჩეული წერილობითი ტექსტისათვის დამახასიათებელი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მოკლე რეფერატისათვის

კრიტერიუმი	კრიტერიუმის აღწერა
შინაარსის სიზუსტე და დავალების პირობასთან შესაბამისობა	შერჩეული და გაანალიზებულია დავალების პირობის შესაბამისი მონაკვეთი ტექსტიდან და ზუსტად პასუხობს თემას - „ვეფხისტყაოსნის” გრამატიკა”. ინფორმაცია არის მართებული, უტყუარი და არ არის აცდენილი მთავარ საკითხს.
სტრუქტურა	ნაშრომის აგებულია მოკლე ან/და საინფორმაციო რეფერატისათვის დამახასიათებელი სტრუქტურით: აქვს მოკლე შესავალი, ძირითადი აზრი და ლოგიკური დასკვნა. დაცულია მოცულობის ლიმიტი (მაგ. 1-3 გვერდი) და მითითებულია წყარო.
ენა და სტილი	დაცულია მოკლე რეფერატისათვის დამახასიათებელი სტილი და იყენებს სათანადო ლექსიკასა და სინტაქსურ კონსტრუქციებს.
მთავარი არსის გამოკვეთა (ლაკონიურობა)	მოსწავლეს შეუძლია მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის დახარისხება და წერილობით ტექსტში მხოლოდ ძირითადი ფაქტებისა და იდეები წარმოჩენა.
ენობრივი გამართულობა	ტექსტი დაწერილია გამართული ქართულით, მისთვის ნაცნობი გრამატიკული ნორმების დაცვით.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ანალიტიკური ანგარიშისთვის

კრიტერიუმი	კრიტერიუმის აღწერა
სტრუქტურა და ლოგიკური თანმიმდევრობა	ნაშრომს აქვს მკაფიო სტრუქტურა: შესავალი (რომელშიც გამოკვეთილია საანალიზო საკითხი), ძირითადი ნაწილი (არგუმენტირებული მსჯელობა პუნქტების მიხედვით) და დამოუკიდებელი, ლოგიკური დასკვნა. წესების მიხედვითაა მითითებული გამოყენებული ლიტერატურა.
ენა და სტილი	დაცულია **ანალიტიკური ანგარიშისთვის** დამახასიათებელი სტილი და იყენებს სათანადო ლექსიკასა და სინტაქსურ კონსტრუქციებს.
კვლევის უნარი და წყაროების მრავალფეროვნება	გარდა საკვლევი ტექსტისა, გამოყენებულია რამდენიმე სხვადასხვა სანდო წყარო. სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია ერთმანეთთანაა დაკავშირებული და შეჯერებული.
კრიტიკული ანალიზი და არგუმენტაცია	ნაშრომი არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემების დაფიქსირებითა და ფაქტების აღწერით. მასში ჩანს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, შედარებულია სხვადასხვა მოსაზრება და წარმოაჩენს საკუთარ პოზიციას მყარი არგუმენტებითა და სათანადო მაგალითებით.
ენობრივი გამართულობა	ტექსტი დაწერილია გამართული ქართულით, მისთვის ნაცნობი გრამატიკული ნორმების დაცვით.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საინფორმაციო რეპორტისათვის

კრიტერიუმი	კრიტერიუმის აღწერა
სტრუქტურა და ორგანიზება	დაცულია საინფორმაციო რეპორტის სტრუქტურა: სათაური, მოკლე რეზიუმე/შესავალი, თემატური ქვეთავები (აბზაცები) და საბოლოო შეჯამება. იდეები ლოგიკურადაა გადაბმული. წყაროები მითითებულია წესების დაცვით.
ინფორმაციის სიზუსტე და ფაქტობრივი გამართულობა	რეპორტში მოყვანილი, წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია და მონაცემი არის სანდო და ეყრდნობა რეალურ წყაროებს. არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები.
ენა და სტილი	დაცულია საინფორმაციო რეპორტისათვის დამახასიათებელი სტილი და იყენებს სათანადო ლექსიკასა და სინტაქსურ კონსტრუქციებს. გამოყენებულია შესაბამისი ტერმინოლოგია.
ობიექტურობა და ნეიტრალური ტონი	ტექსტი დაწერილია მესამე პირში (მაგ: „კვლევამ აჩვენა...“, „მონაცემების შედარებამ გამოავლინა...“). ავტორი ინარჩუნებს ნეიტრალურ ტონს და არ გამოხატავს პირად ემოციებს ან დამოკიდებულებას.
ენობრივი გამართულობა	ტექსტი დაწერილია გამართული ქართულით, მისთვის ნაცნობი გრამატიკული ნორმების დაცვით.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სამეცნიერო-პოპულარული სტატიისათვის


კრიტერიუმი	კრიტერიუმის აღწერა
სტრუქტურა და ორგანიზება	დაცულია სამეცნიერო-პოპულარული სტატიისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა: აქვს სათაური, სტატია დაყოფილია ლოგიკურ აბზაცებად ან ქვეთავებად და აქვს დასკვნითი ნაწილი (მესიჯი მკითხველს).
სამეცნიერო სიზუსტე	ტექსტში მოყვანილი სამეცნიერო ფაქტები, თეორიები და კვლევები არის ზუსტი და მეცნიერულად გამართული.
ენა და სტილი	დაცულია სამეცნიერო-პოპულარული სტატიისათვის დამახასიათებელი სტილი და იყენებს სათანადო ლექსიკასა და სინტაქსურ კონსტრუქციებს. არ არის გადატვირთული მძიმე სამეცნიერო ტერმინებით. სპეციფიკური სამეცნიერო ტერმინები იქვეა ახსნილი მარტივი, სამიზნე აუდიტორიისათვის გასაგები სიტყვებით, რათა ტექსტი იოლად აღსაქმელი იყოს არასპეციალისტისთვისაც.
მკითხველის ჩართულობა	სტატიას აქვს მკითხველისათვის მიმზიდველი სათაური და საინტერესო შესავალი. ავტორი იყენებს თხრობის საინტერესო სტილს, მოჰყავს კონკრეტული მაგალითები, რაც მკითხველის ინტერესს ააქტიურებს.
ენობრივი გამართულობა	ტექსტი დაწერილია გამართული ქართულით, მისთვის ნაცნობი გრამატიკული ნორმების დაცვით.

თავი II. სინტაქსი. შესიტყვება და წინადადება
II თემატური ბლოკი - წინადადება და მისი სტრუქტურა
თემა: წინადადება აგებულების მიხედვით
(მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება)

გრძელვადიანი მიზნები
სამიზნე ცნება: ენის სისტემა **ცნების მოცულობა:** სინტაქსი: • წინადადების წევრები: მთავარი და არამთავარი; • სინტაქსური ურთიერთობის სახეები წინადადებაში - შეთანხმება, მართვა, მირთვა; • წინადადება მოდალობის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვა-ძახილის, ბრძანებითი); • წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; • მართლწერის საკითხები - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენისა და მართლმეტყველების ნორმები, პუნქტუაციის წესები.
შუალედური მიზნები (2-3 გაკვეთილი)
მოსწავლემ უნდა შეძლოს: **I.** ქართულ ენაში, კერძოდ, წინადადების აგებაში ზმნის როლის ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს ქართული ენის უნიკალურობის გასააზრებლად, ენობრივი ფორმების სიმდიდრის/მრავალფეროვნების გასათავისებლად; **(§1,2)**[2] **მოსწავლეს შეუძლია:** **შეფასების კრიტერიუმები:** • ლექსიკური ერთეულებისა და სიტყვაფორმების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად.


აქტივობა 1. არსებული ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი წამოდგება, მაგიდიდან აიღებს რაიმე ნივთს (მაგ.: კალამი, წიგნი, ფანქარი...) და მიაწვდის რომელიმე მოსწავლეს. ა) შემდეგ დაფაზე დაწერს სიტყვას - „მასწავლებელი" და მოსწავლეებს სთხოვს დაასახელონ მოქმედებები, რომლებიც მან განახორციელა:



ბ) დააკვირდნენ თითოეულ ზმნურ ფორმას და დაასახელონ ის პირები (საგნები), რომლებიც ამ მოქმედებაში მონაწილეობდა.

2 სახელმძღვანელოს მეორე თავის §1 მთლიანად ეძღვნება წინა კლასებში შესწავლილი მასალის გახსენება-გააქტიურებას, ხოლო § 2 კი ეხმარება მოსწავლეს ერთგვარი ხიდი გადოს წინარე ცოდნასა (მორფოლოგია, ზმნა და მისი ძირითადი კატეგორიები) და ახალ მასალას (წინადადების აგებულება) შორის.



- ✓ მხოლოდ ზმნასთან შეწყობილი სახელების მიხედვით შეგვიძლია ამოვიცნოთ, რამდენპირიანია ზმნა?
- ✓ კიდევ რა უნდა გვახსოვდეს იმისთვის, რომ სწორად განვსაზღვროთ პირთა რაოდენობა ზმნაში?
- ✓ როგორაა გამოხატული ზმნის პირიანობა ქართულ ენაში (მორფოლოგიურად)?

გ) ახალა კი შეუწყვეთ პირები მოცემულ ზმნებს, განსაზღვრეთ, რამდენპირიანია თითოეული მათგანი და როგორაა ეს პირები გამოხატული ზმნაში?

ადგ-ა ის (S) - ერთპირიანი
აიღო მან ის (S, O) - ორპირიანი
მიაწოდ-ა მან, მას, ის (S, O, O) - სამპირიანი

დ) შეაჯამეთ და ჩამოაყალიბეთ თეზისებად, რა ინფორმაციას ფლობთ (გახსოვთ) ზმნის პირიანობასთან დაკავშირებით.

აქტივობა 2. გაიაზრეთ საკითხი - ზმნის პირიანობა - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

მოსწავლეები ეცნობიან/იაზრებენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მასალას ნაბიჯ-ნაბიჯ:

- ✓ შეძლებისდაგვარად ჰპასუხობენ პარაგრაფის დასაწყისში დასმულ შეკითხვებს;
- ✓ საკითხის შესახებ საკუთარ ცოდნას ამოწმებენ / ავსებენ სახელმძღვანელოში მოცემული თეორიული მასალით;
- ✓ აკვირდებიან სქემებს და იხსენებენ ზმნის პირიანობასთან დაკავშირებულ მათთვის ნაცნობ ინფორმაციას;
- ✓ აჯამებენ, ზმნის პირიანობასთან დაკავშირებული მათთვის ნაცნობი რომელი დებულებები გაიხსენეს
- ✓ ამთლიანებენ ინფორმაციას.

აქტივობა 3. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები შეიძლება გამოიყენოთ როგორც საკლასო, ასევე საშინაო დავალებებისათვის, მაგალითად: დავალება N2 შეიძლება შესრულდეს საერთო საკლასო აქტივობით დაფაზე, დავალება N1 ინდივიდუალური დამოუკიდებელი მუშაობისათვის, ამავე მიზნით შეგიძლიათ გამოიყენოთ ლიტერატურის სახელმძღვანელოში მოცემული ადაპტირებული ტექსტების რომელიმე მონაკვეთი. დანარჩენი სავარჯიშოები კი გამოიყენოთ საშინაო დავალებისათვის.

აქტივობა 4. სიტყვებით თამაში.

ა) მასწავლებელი უკითხავს ან ეკრანის მეშვეობით აჩვენებს ამონარიდს გურამ დოჩანა-შვილის მოთხრობიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა".

- ჰ-ჰ! - ნერვიულობს ხელმძღვანელი, აფორიაქებულია, ღაწვ-ყელს თითებით იმოწმებს - გაპარსულია თუ არა, კლიმს უყურებს, ახსენდება: - კი მაგრამ, რომელიმე კლიმმა რაღა დააშავა, მთელი დღე რად უნდა უყარაულოს და მოემსახუროს უსაქმურს?
- ჯერ ეს ერთი, მე აღვნიშნე, რომ მუხლებზე წიგნი ექნება გადაშლილი, მეორეც, ყოველთვის შეიძება უწყინარი გართობა...
- როგორ?
- სიტყვით.
- როგორ თუ სიტყვით?!.
- ახლავე აგიხსნით. აი, ვთქვათ, აი... ჰო, აი თუნდაც თამაზი ავიღოთ, ჩვენი. რა თანამდებობა აქვს?
- უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია.
- ძალიან კარგი. ადრე ვინ იყო...
- ადრე - ლაბორანტი.
- აჰაა... და დააწინაურეთ?
- დიახ.
- აჰა!.. ესე იგი, სიტყვა უმცროსი ამ შემთხვევაში დაწინაურებას ნიშნავს?
- დიახ.
- ჰოდა, საგულისხმო გამოთქმას მივიღებთ - „გავაუმცროსთანამშრომლეთ..."

აი, აქ კი ხელმძღვანელმა მესამედ დამიბღვირა.

- ახლა საწინააღმდეგო მაგალითი ავიღოთ - ვთქვათ, თამაზი კვლავ ლაბორანტია. როგორ გამოთქვამდა თავისი პირით ამას?
- ისევ ლაბორანტი გავხდი, - ამას ხელმძღვანელი ამბობს...
- არა, რომ ჩამოაქვეთეს, ისიც უნდა იგრძნობოდეს.
- ისევ ლაბორანტად ჩამომაქვეითეს.
- მოკლედ!
- ლაბორანტად ჩამომაქვეითეს.
- უფრო მოკლედ!
- ჩამომაქვეითეს.
- ლაბორანტი სადღაა?! ერთი, ერთადერთი სიტყვით უდნა გამოთქვათ, ისე რომ ჩამოქვეითებაცა და ლაბორანტობაც გამოიხატებოდეს.
- ერთი სიტყვით შეუძლებელია.
- რატომ?
- აბა, თქვება სცადეთ, თუ შესაძლებელია.

კაცი კი ამბობს:

- შესანიშნავ სიტყვას მივიღებთ: „ჩამომალაბორანტეს" - ხომ შესაძლებელი ყოფილა? აი, ასე ითამაშებდა სიტყვით რომელიმე კლიმი.

ბ) აკაკი წერეთელი „გამზრდელში" ბრძანებს:
„ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ, სახე მოინაღვლიანა
სიდიადე ამ მუხთლობის თვალწინ გაისიგრძეგანა"
გაისიგრძეგანა, ანუ გაზომა/გაიაზრა სიგრძეც და სიგანეც.

მასწავლებელი სთავაზობს, მათაც „ითამაშონ სიტყვებით", როგორ იტყოდნენ ერთი სიტყვით (მაგ. ათოსნად მაქციეს /გამააათოსნეს, ხუთოსანი გამხადეს / ჩამომახუთოსნეს, სოფლის ბიჭი გამხადეს//გამასოფლისბიჭეს, ლამაზ ქალბატონად მაქციეს//გამალამაზ-ქალბატონეს, ახლო მეგობრად გაიხადა//გაიახლომეგობრა; ლიდერ მოსწავლედ მაქციეს// გამალიდერმოსწავლეს ...)

შემდეგ შესთავაზეთ თავად მოიფიქრონ სიტყვები, რომელთა აზრსაც ერთი სიტყვით გა-

დმოსცემენ. ბოლოს შეაჯამებინეთ თამაში და ამსჯელეთ ქართული ზმნის უნივერსალურ თვისებებზე, მის პოლისინთეზურობაზე, ანუ იმაზე, რომ ერთი ზმნური ფორმა ფაქტობრივად მთელ წინადადებას ცვლის, გაიხსენონ, მორფემების (თავსართ-ბოლოსართების) საშუალებით რომელი გრამატიკული ინფორმაციაა ჩაქსოვილი ზმნაში (მიმართულება, ორიენტაცია, ქცევა, კონტაქტი და ა.შ.)

აქტივობა 5. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ამონარიდს ვირჯინია ვულფის[3] ცნობილი ესედან „ოსტატობა" („Craftsmanship" https://www.literaturecambridge.co.uk/news/craftsmanship)

„სიტყვები ერთმანეთს ეჭიდებიან, ისინი მარტო არ ცხოვრობენ. წინადადება არის მათი შეხვედრის ადგილი, სადაც ისინი ახალ სიცოცხლეს იწყებენ."

და სთხოვს იმსჯელონ, რამდენად ეთანხმებიან ინგლისელი მწერლის ამ გამონათქვამს. საკუთარი მოსაზრება დაასაბუთონ.

აქტივობა 6. წინადადების შედგენა მოცემული სიტყვების გამოყენებით.

ა) შეადგინეთ წინადადებები სახელმძღვანელოში მოცემული სიტყვებითა (ილუსტრაციებით) და დამატებით შეთავაზებული სიტყვებით (მაგ. იაკობი / გამხნევება / შუშანიკი; უარყოფა/ ვარსქენი / ღმერთი; შუშანიკი / ციხე / აღსრულება; აბო / ხაზარეთი / მონათვლა; ნერსე / წასვლა/ აფხაზეთი...)

ბ) დააკვირდით თქვენ მიერ შედგენილ წინადადებებს და გაიაზრეთ საკითხი სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვების დახმარებით.

აქტივობა 7. „დაბნეული სიტყვები"

მოცემული სიტყვები დაალაგეთ ისეთი თანმიმდევრობით, რომ დასრულებულ აზრს გამოხატავდეს.

ა) მასწავლებელი სთავაზობს ცხრილს, რომელშიც მხოლოდ სიტყვებია დაფიქსირებული არეული თანმიმდევრობით;

ბ) მოსწავლეები ცდილობენ დაალაგონ ეს სიტყვები ლოგიკური თანამიმდევრობით ისე, რომ დასრულებულ აზრს გამოხატავდეს;

ეს ეტაპი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურადაც, წყვილებშიც და ჯგუფებშიც, მასწავლებელს ასევე შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს რაოდენობა, ჩაანაცვლოს ან/და დაამატოს სხვა აფორიზმები სასწავლო ამოცანისა და მოსწავლეთა ინტერესისა თუ შესაძლებლობის გათვალისწინებით.

გ) ბოლოს, მასწავლებელი დაფის/ეკრანის მეშვეობით აჩვენებს ცხრილის მართებულად შევსებულ ვერსიას, მოსწავლეები ადარებენ საკუთარ ვარიანტებს და მსჯელობენ:

- ✓ რამდენად სწორად დაალაგეს სიტყვები;
- ✓ სიტყვების დალაგების მათეული ვერსია იმავე აზრს გადმოსცემს, თუ განსხვავდება ავტორისეულისგან;
- ✓ სიტყვების დალაგების მათეული ვერსია განსხვავებულია, თუმცა იმავე აზრს გადმოსცემს, რაც ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული;
- ✓ განსხვავების შემთხვევაში, მათი აზრით, რით იყო გამოწვეული ეს ცვლილება.

3 ადელაინ ვირჯინია ვულფი (1882 – 1941წწ.) , ინგლისელი მწერალი და ესეისტი, აღიარებული, როგორც XX საუკუნის მოდერნისტული ლიტერატურის ერთ–ერთი მოწინავე ფიგურა.

სასწავლო რესურსი N1.

N	სიტყვები	წინადადება (აფორიზმი)
1	სულსა, სიცრუე ავნებს, ორპირობა, მერმე, ხორცსა, სულსა, და	
2	მოყვარესა, ვერ გასწირავს, კაცი, მოყვარულსა, ბრძენი.	
3	მოყვარესა იგი, ვინ, მტერია, არ ეძებს, თავისა	
4	ლბილისა, ქვასაცა გრდემლი, მაგარსა, ტყვიისა, გასტეხს.	
5	სახელისა, ყოველსა, სჯობს, მოხვეჭა, მოსახვეჭელსა!	
6	ასრე, გამაგრება, ჭირსა შიგან, ვით ქვიტკირსა, უნდა.	
7	მტერსა, თავსა, რომე, ვერას, ავნებს, მტერი, კაცი, ივნებს.	
8	ჰგმირდეს, უყვარს, უგუნურთა, მწვრთელი, გონიერთა, გულსა.	
9	რაცა, იგივე, კოკასა შიგან, დგას, წარმოსდინდების!“	
10	ზოგჯერ, სჯობს, ზოგჯერ, თქმითაც, თქმა, დაშავდების, არათქმასა.	

აქტივობა 8. პოეზია და უღლება.

გააცანით მოსწავლეებს 1-2 სტროფი მორის ფოცხიშვილის ლექსიდან „კოსმიური უღლება“ და შესთავაზეთ, მათაც სცადონ დაწერონ ლექსი (რითმიანი ლექსი ან ვერლიბრი/ურითმო ლექსი) რომელიმე ზმნის უღლების ფორმების გამოყენებით.

„...და როგორც მშიერი ობობა,
ცა იცდის... დიდია ცის ძალა, _
ვიღაცა იცდიდეს ოღონდაც,
მე წავალ,
შენ წახვალ,
ის წავა!

ჩვენ წავალთ... ვარსკვლავებს გავცდებით,
თუმც წასვლა ძალიან ძნელია, _
მე მელის,
შენ გელის,
მას ელის
დიდი გზა... ღმერთები გველიან...“

შუალედური მიზნები (2-3 გაკვეთილი)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

II. მარტივი წინადადებისა და მისი წევრების ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად, სათქმელის (ზეპირისა თუ წერილობითის) გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად; გააზრებული ენობრივი არჩევანის გასაკეთებლად სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში, როგორც ყოველდღიურ კომუნიკაციაში, ისე საქმიანი თუ შემოქმედებითი წერის პროცესში. **(§3,4)**

მოსწავლეს შეუძლია:

შეფასების კრიტერიუმები:

- სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

აქტივობა 1. შესაბამისობა.

მარჯვენა უჯრებში მოცემული სიტყვები აზრობრივად შეუსაბამე მარცხენა უჯრებში მოცემულ სიტყვებს და ერთმანეთთან დააკავშირეთ ისრების მეშვეობით.

მოსწავლე	მთავრობა
მოცეკვავე	კლუბი
მინისტრი	პარლამენტი
მასწავლებელი	აკადემია
მსახიობი	ჯგუფი
მეცნიერი	ანსამბლი
სპორტსმენი	პედსაბჭო
პარლამენტარი	ოჯახი
მომღერალი	დასი
ბებია	კლასი

ამ ორგანიზაციების თითოეული წევრი ემორჩილება წინასწარ შემუშავებულ გარკვეულ წესებს და ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ დაწერილი კანონების, ეთიკის ნორმების, ქცევის წესების, ბუნების კანონების და ა.შ. გათვალისწინებით.

- ✓ რის წევრები შეიძლება იყვნენ სიტყვები?
- ✓ როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს?
- ✓ თქვენი აზრით, რას გამოიწვევს წესების გაუთვალისწინებლობა ან შეგნებული თუ გაუაზრებელი დარღვევა?
- ✓ შეაჯამეთ: რამდენად მნიშვნელოვანია წესების დაცვა ენაშიცა და ცხოვრებაშიც?

აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება და სასტარტო მდგომარეობის შემოწმება პრეტესტის გამოყენებით.

ტესტი - მარტივი წინადადება და წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები.

1. **მარტივი წინადადების ამოსაცნობად რომელი დებულებაა მართებული?**
   ა) თუ წინადადებაში მრავალი წევრია, ის მარტივია;
   ბ) თუ წინადადებაში ერთი ზმნაა, ეს წინადადება მარტივია;
   გ) მარტივია წინადადება, თუ მასში მხოლოდ მთავარი წევრებია;
   დ) მარტივ წინადადებაში არ გვხვდება არაწევრი სიტყვები.
2. **ყურადღებით დააკვირდით მოცემულ წინადადებებს და განსაზღვრეთ, რომელია მათში მარტივი.**
   ა) ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა;
   ბ) თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები;
   გ) სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა;
   დ) ცუდთა კაცთა საუბარი კაცთა მეტად დააჭმუნვებს.“
3. **რომელი მსჯელობა არ არის სწორი?**
   ა) წინადადების წევრებია სიტყვები, რომლებსაც კითხვა დაესმის;
   ბ) ზმნასთან შეწყობილი სიტყვები წინადადების წევრებია;
   გ) სიტყვა, რომელიც ფორმას არ იცვლის, წინადადების წევრია;
   დ) წინადადების წევრებია სრულმნიშვნელოვანი სიტყვები;
4. **მოცემულ აფორიზმებში რომელი სიტყვებია მთავარი წევრები და რომელი - არამთავარი, განსაზღვრეთ, რომელი მთავარი/არამთავარი წევრია თითოეული ეს სიტყვა და ცხრილში ისე ამოიწერეთ?**
   „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.“
   „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.“

რომელი წევრია	მთავარი წევრები	არამთავარი წევრები	რომელი წევრია
ზმნა	სჯობს	ნაზრახი	განსაზღვრება

5. **ერთსიტყვიანი წინადადება შეიძლება შედგებოდეს**
   ა) მხოლოდ სუბიექტისაგან;
   ბ) მხოლოდ ზმნისაგან;
   ა) მხოლოდ ირიბი ობიექტისაგან;
   ა) მხოლოდ პირდაპირი ობიექტისაგან.
6. **რომელ წინადადებაში არ არის არამთავარი წევრი?**
   ა) რუსთაველმა დაწერა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“;
   ბ) რუსთაველმა პოემა თამარს უძღვნა;
   გ) „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეა სიყვარულია;
   დ) პოემა თექვსმეტმარცვლიანი შაირითაა დაწერილი.
7. **რომელი არამთავარი წევრი არ მიემართება ზმნას?**
   ა) დამატება;
   ბ) განსაზღვრება;
   გ) ადგილის გარემოება;
   დ) ვითარების გარემოება.

8. ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული აფორიზმები და განსაზღვრეთ, რომელ წინადადებებშია არამთავარი წევრები, რომლებიც ზმნას მიემართებიან?

„ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა";
„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა";
„ცუდთა კაცთა საუბარი კაცთა მეტად დააჭუნვებს";
„არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა".

ა) I და II;
ბ) II და III;
გ) III და IV;
დ) I და IV.

9. დააკვირდით მოცემულ აფორიზმებს და განსაზღვრეთ: რომელია მთავარი წევრი, რომელი - არამთავარი და რომელი - არაწევრი სიტყვა:

1. „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა";
2. „ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი";
3. „არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა".

N	მთავარი წევრი	არამთავარი წევრი	არაწევრი სიტყვა
1			
2			
3			

10. მოცემულ აფორიზმში განსაზღვრეთ რომელი სიტყვა წინადადების რომელი წევრია და ჩაწერეთ შესაბამის უჯრაში.

პურად	ავი	მასპინძელი	მოგვეგებვი	ომად	წინა

აქტივობა 3. გაიაზრეთ საკითხი - მარტივი წინადადება და წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

აქტივობა 4. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები შეიძლება გამოიყენოთ როგორც საკლასო, ასევე საშინაო დავალებებისათვის, ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობისათვის (მაგ. დავალება 2, გვ.61).

აქტივობა 6. ინტერაქტიური თამაში - განავრცე წინადადება.

1. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, მასწავლებელი უსახელებს თითოეულ ჯგუფს ორსიტყვიან წინადადებას (ზმნა და სუბიექტი, მაგ.: იასამანი აყვავდა, ბავშვი სწავლობს, სახლი აშენდა). ჯგუფში თითოეული მოსწავლე არის წინადადების რომელიმე წევრის „მფლობელი" /„გამგებელი" (ანუ ჯგუფში იქნებიან ობიექტების, დამატებების, განსაზღვრებებისა და სხვადასხვა ჯგუფის გარემოებათა „გამგებელნი", ცალკე ერთი ბავშვი ფლობს წინადადების არაწევრ სიტყვებს), მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ რაც შეიძლება მეტი სიტყვა წინადადების განსავრცობად, იმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მრავალსიტყვიან წინადადებას მოიფიქრებს.
2. ან შესთავაზეთ ამ თამაშის გამარტივებული ვერსია კლასის მზაობისა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით: მასწავლებელი ასახელებს ორსიტყვიან წინადადებას (ზმნა და სუბიექტი, მაგ.: იასამანი აყვავდა). ჯგუფის თითოეული მოსწავლე აგრძელებს წინადადებას, ანუ ამატებს ერთ ახალ სიტყვას, ვინც ვერ მოახე-

რხებს სიტყვის დამატებას, ეთიშება თამაშს. ბოლოს ყველანი ერთად აანალიზებენ მათი მოფიქრებული მრავალსიტყვიანი წინადადება რომელი წევრებისაგან შედგება.

ეს აქტივობა ააქტიურებს მოსწავლეების შემეცნების პროცესს, უყალიბებს სწრაფ და სხარტ აზროვნებას და საბოლოო ჯამში, იძლევა კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების კარგ შესაძლებლობას. ზრდის გუნდური თუ პირადი პასუხისმგებლობის გრძნობას.

შუალედური მიზნები (1-2 გაკვეთილი)
III. განსაზღვრებისა და მისი სახეების ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს ენობრივი ფორმების სიმდიდრის/ მრავალფეროვნების გასათავისებლად; მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად, სათქმელის (ზეპირისა თუ წერილობითის) გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად; გააზრებული ენობრივი არჩევანის გასაკეთებლად სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში. **(§5)** **მოსწავლეს შეუძლია:** **შეფასების კრიტერიუმები:** • სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

აქტივობა 1. მოსწავლეთა ინტერესის გასაღვივებლად მასწავლებელი დაფის/ეკრანის მეშვეობით სთავაზობს ორ ფრაზას:

ა) ყველას და, მათ შორის მეც, მიყვარს ... მთა; გაზაფხულის სუნი, ... ბალახი.

ბ) ხანდახან რომ ჯანღი დამეხურება, თვალთ დამიბნელდება, ვეღარაფერსა ვხედავ: ვერც... ცას, დღეს ..., ღამეს ... ; ვერც დაბლა დედამიწას, ... ვეღარც ჩემ თვალწინ ... მდინარეს,

ეკითხება მოსწავლეებს:

- ✓ რამდენად თვალნათლივ წარმოიდგინეს სურათი, რომელიც ამ ფრაზებშია მოცემული?
- ✓ რას დაამატებდნენ თვითონ?
- ✓ მაგალითად, როგორია მთა და გაზაფხულზე ამოსული ბალახი, ან ცა და დედამიწა, დღე და ღამე მათს წარმოდგენაში?

შემდეგ სთავაზობს სრულყოფილ ტექსტს:

ა) ყველას და, მათ შორის მეც, მიყვარს მაღალი, მწვანით, ყვავილებით მორთული მთა; გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი...

ბ) ხანდახან რომ ჯანღი დამეხურება, თვალთ დამიბნელდება, ვეღარაფერსა ვხედავ: ვერც მაღლა ცას, დღეს მზიანს, ღამეს ვარსკვლავებით მოჭედილს; ვერც დაბლა დედამიწას, ხან თოვლით და ხან მწვანით დაფარულს; ვეღარც ჩემ თვალწინ მყვირალ მდინარეს.

სთხოვს დააკვირდნენ და იმსჯელონ:

- ✓ რომელი სიტყვების დახმარებით შეძლო მწერალმა უფრო თვალსაჩინო გაეხადა სათქმელი?
- ✓ წინადადების რომელი წევრებია ეს სიტყვები?
- ✓ განსაზღვრება წინადადების მთავარი წევრი არაა, მაგრამ რა დააკლდებოდა ჩვენს მეტყველებას მათ გარეშე?
- ✓ გარდა აზრის სრულყოფილებისა, კიდევ რა დანიშნულება აქვს განსაზღვრებებს

პოეტურ მეტყველებასა და ყოველდღიურობაში?

- ✓ რომელი მხატვრული საშუალების ფუნქციას ასრულებს განსაზღვრება?
- ✓ თქვენ რამდენად ხშირად იყენებთ განსაზღვრებებს/ეპითეტებს ზეპირი თუ წერითი მეტყველების დროს?

აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება.

კიდევ ერთხელ დააკვირდით ამონარიდს ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან „ხმელი წიფელი“:

„...მიყვარს მაღალი, მწვანით, ყვავილებით მორთული მთა; გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი...”

- ✓ რომელ განსაზღვრებებს იყენებს მწერალი საგნების დასახასიათებლად?
- ✓ რომელი სახელებითაა გადმოცემული განსაზღვრებები?
- ✓ რის მიხედვით „განსაზღვრავს” ეს სიტყვები საგანს?
- ✓ კიდევ რომელი სიტყვათა კლასები გამოიყენება განსაზღვრების ფუნქციით?

აქტივობა 3. გაიაზრეთ საკითხი - განსაზღვრება და მისი სახეები - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

აქტივობა 4. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები შეიძლება გამოიყენოთ როგორც საკლასო, ასევე საშინაო დავალებებისათვის.

აქტივობა 5. გამოიცანი სიტყვა მინიშნების მიხედვით.

აქტივობის აღწერა. ბარათებზე წერია არსებითი სახელები (სასურველია იყოს ნახატიც). ერთ-ერთი მოსწავლე იღებს ბარათს ისე, რომ სხვები ვერ ხედავენ, რა წერია მასზე და ასახელებს 3 განსაზღვრებას, რომლებითაც შეიძლება დახასიათდეს ეს საგანი. განსაზღვრებისათვის შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი სიტყვათა კლასი. თუ მისი მეწყვილე ვერ ამოიცნობს სიტყვას, ამატებს კიდევ 2-3 უფრო ზუსტ მინიშნებას, ან დახმარებისათვის მიმართავენ კლასს (ამ აქტივობისათვის მასწავლებელი თუ ეკრანს გამოიყენებს, აქტივობა უფრო სახალისოდ წარიმართება და მოსწავლეთა მეტი რაოდენობაც მიიღებს ერთდროულად მონაწილეობას).

აქტივობა 6. სახალისო აქტივობები.

ა) ჯადოსნური ყუთი.

ყუთში მოათავსეთ რაიმე ნივთი. ერთ-ერთი მოსწავლე, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული, ჩაიხედავს ყუთში და ახასიათებს საგანს მხოლოდ განსაზღვრებების გამოყენებით. კლასმა უნდა გამოიცნოს ნივთი და დაასახელოს, განსაკუთრებით რომელი მინიშნება დაეხმარა მას საგნის გამოცნობაში. ეს თამაში შეიძლება გავხადოთ უფრო სახალისო და ცოტა გავართულოთ კიდეც. მოსწავლე ზედსართავ სახელს ეუბნება თავის მეწყვილეც, რომელის არავერბალურად, ჟესტ-მიმიკით, ან რაიმე მინიშნებით ხსნის ამ სიტყვას, კლასმა ჯერ უნდა გამოიცნოს განსაზღვრება და შემდეგ საზღვრული სიტყვა.

ბ) იპოვე შენი მეწყვილე.

კლასი იყოფა სამ ნაწილად, მოსწავლეთა მესამედს ურიგდებათ ბარათები, რომლებზეც არსებითი სახელები წერია, დანარჩენებს კი - განსაზღვრებებიანი ბარათები. თითოეულმა არსებითმა სახელმა უნდა „მონახოს” საკუთარი ორი განსაზღვრება (სასურველია ბარათებზე დატანილი სიტყვების მესამედი იყოს ეპითეტები). მოსწავლეები ეძებენ ყველაზე უფრო ლოგიკურ მეწყვილეს და ქმნიან „სამეულს”.

გ) შექმენი შენი საოცნებო საკლასო ოთახის ინტერიერი.

განსაზღვრებების გამოყენებით უნდა აღწერონ, როგორ საკლასო ოთახში ისურვებდნენ სწავლას.

ეს, ერთი შეხედვით, გასართობი აქტივობები მოსწავლებს მრავლმხრივ უნარებს უვითარებს, კერძოდ: უმდიდრებს ლექსიკურ მარაგს, ახალისებს მეტყველებაში ზედსართავი სახელების, მიმღეობებისა და ნაცვალსახელების აქტიურ გამოყენებას, რომელთა დახმარებითაც მოსწავლეები სწავლობენ აზრის უფრო ნათლად, ფერადად და დეტალურად გადმოცემას. მათი წერითი და ზეპირი მეტყველება უფრო საინტერესო და ემოციური ხდება.

უვითარდებათ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, უკეთ შეუძლიათ ვიზუალური აღქმის ვერბალიზაცია და - პირიქით. ჯგუფური/წყვილებში მუშაობა და თანამშრომლობა უვითარებს თანაკლასელებთან ეფექტური კომუნიკაციის, სხვისი აზრის მოსმენისა და საერთო მიზნისთვის მუშაობის უნარს.

უვითარდებათ სწრაფი რეაგირებისა და ყურადღების კონცენტრაციის უნარი, არიან უფრო აქტიურნი და შემოქმედებითად ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში.

აქტივობა 7. ახლად შესწავლილი საკითხის შემოწმება ტესტის გამოყენებით.

ტესტი - განსაზღვრება და მისი სახეები

1. რომელი სიტყვათა კლასებითაა გადმოცემული მოცემულ წინადადებაში განსაზღვრებები?

„ვგრძნობ, ვით დიადია
თორმეტი სარკმელი,
ხაზებში ანთია
ცეცხლი მისარქმელი...“

ა) ზედსართავი სახელითა და არსებითი სახელით;
ბ) ზედსართავი სახელითა და ნაცვალსახელით;
გ) ნაცვალსახელითა და რიცხვითი სახელით;
დ) რიცხვითი სახელითა და მიმღეობით.

2. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშნები სწორად დასმული?

ა) მამათქვენი დარბაისელი კაცი იყო, დიდი პატიოსანი, სახელოვანი;
ბ) იმას ერტყა გარშემო ძველი, ტყრუშული ღობე;
გ) იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი, გრძელი ტახტი;
დ) ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული, ძველი ქართველი.

3. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?

ა) თუ მსაზღვრელად არსებითი სახელი გვევლინება, მას სუბსტანტიურ მსაზღვრელს უწოდებენ;
ბ) განსაზღვრება არის წინადადების არამთავარი წევრი, რომელიც ზმნასთან შეწყობილ წევრებს უკავშირდება;
გ) წინადადებაში განსაზღვრებად გამოყენებულ სახელს არ შეიძლება ახლდეს სხვა განსაზღვრება;
დ) განსაზღვრება სახელთან მიმართებით არის მსაზღვრელი, ხოლო სიტყვა, რომელსაც მიემართება - საზღვრული.

4. მოცემულ ტექსტში დაძებნეთ განსაზღვრებები და დააჯგუფეთ ცხრილში კითხვების მიხედვით?

კერას აქეთ-იქით თითო ტახტია დაფენილი ჭრელის ფარდაგებითა. კარგა ხნის ფარდაგებია, მაგრამ კარგად შენახული და ნაპატრონები. ტახტების თავზედ თითო ბაცანკალი, ანუ როგორც ზოგან ეძახიან, სართუმალი სდგას ხარატით ნაკეთები. კუთხეში ერთი დიდი კიდობანია. ეტყობა ძველი ნაკეთობაა, იმიტომ, რომ წინა-პირზედ გამოხარატებულია სხვადასხვა სახე და ძველებური გრეხილ-ხვეულები სილამაზისათვის. ერთი დიდი სკივრიცა სდგას მეორე კუთხეში. ეტყობა ერთს დროს ლურჯად ყოფილა შეღებილი და ეხლა კი საღებავი გადასვლია. ამ სკივრზედ აკოკოლებულია ქვეშსაგები, ლურჯის სუზანით თავიდან ბოლომდე ჩამოფარებული. ამ სახლის, ანუ როგორც თითონ ოთარაანთ ქვრივი ეძახდა, დარბაზის მოწყობილობისათვის რომ თვალი კარგად დაგეკვირვებინათ, იტყოდით - ამის პატრონი შეძლებული კაცი უნდა იყოსო...

როგორი?	რომელი?	რანაირი?	რამდენი?	როდინდელი?	ვისი?	რისა?

5. რომელ ბრუნვაშია წარმოდგენილი სუბსტანტიური განსაზღვრების ამოსავალი ფორმა?
ა) სახელობითში;
ბ) ნათესაობითში;
ა) მოქმედებითში;
ა) ფუძის სახით.

6. რომელ წინადადებაშია განსაზღვრება მართებული ფორმით შეწყობილი საზღვრულ სიტყვასთან?
ა) ოთარაანთ ქვრივი ... სამს საპალნეს ღვინოს მაინც გაჰყიდდაო;
ბ) პტყელ-პტყელ ლაპარაკს მოვყვებოდით მე და შენ;
გ) ერთი ქათამი შვიდეულად დაუსვა მოურიდებელს გზირსაო.
დ) ამ გამწარებულს წუთის-სოფელში ტკბილი სხვა რა არის.

7. რომელი წინადადებაში გვაქვს განსაზღვრების განსაზღვრება?
ა) ადამიანის მარჯვენა გამოუხატავს კედელზე ოსტატს;
ბ) ძველკოლხური სპილენძის მონეტები მაჩვენა;
გ) ...უფლისციხის და გელათის სანახებში ჰქონია ნაპოვნი.
დ) მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი.

8. შესიტყვებაში – უძველესი ხელნაწერი – რომელ ბრუნვებში არ ინარჩუნებს განსაზღვრება იმავე ფორმას, რომელშიც საზღვრული სიტყვაა?
ა) სახელობითი
ბ) მოთხრობითი;
გ) მიცემითი;
დ) წოდებითი.

9. დააკვირდით მოცემულ სტროფებს გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „მშობლიურო ჩემო მიწავ“ და განსაზღვრეთ: რომელ სრტიქონში გვხვდება განსაზღვრების განსაზღვრება:
სამი დიდი ოკეანე
გარე უვლის ნათელ მხარეს,
მთვარიანი და მზიანი
ზეცა აფრქვევს სიანკარეს.
ორ ზღვას შუა ძველისძველად
საომარი იყო ლელო -
ის გადარჩა და სახელად
ეწოდება საქართველო.
ა) მხოლოდ პირველ სტრიქონში;
ბ) მესამე და მეოთხე სტრიქონებში;
გ) მეხუთე და მეექვსე სტრიქონებში;
დ) მხოლოდ მესამე სტრიქონში.

10. მოცემულ წინადადებებში დაძებნეთ განსაზღვრებები და შეუსაბამეთ განსაზღვრების შესაბამის ტიპს ისრების გამოყენებით.

სუბსტანციური მსაზღვრელი	შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ
გათიშული მსაზღვრელი	შლა წიგნების მიყვარს ძველის
უკანმდგომი მსაზღვრელი	ასწიეთ კავკასიის ფარდა
განსაზღვრების განსაზღვრება	გზა მიხვეულ-მოხვეული

შუალედური მიზნები (2-3 გაკვეთილი)
IV. გარემოებათა ნაირგვარობის ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს ენობრივი ფორმების სიმდიდრის/ მრავალფეროვნების გასათავისებლად; მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად, სათქმელის (ზეპირისა თუ წერილობითის) გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში. **(§6)** **მოსწავლეს შეუძლია:** **შეფასების კრიტერიუმები:** • სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი დაფის/ეკრანის გამოყენებით სთავაზობს ამონარიდს რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“ და სთხოვს:

- ✓ დაუსვან კითხვები ხაზგასმულ სიტყვებს;
- ✓ განსაზღვრონ წინადადების რომელ წევრს მიემართება ეს სიტყვები;
- ✓ რაზე მიგვანიშნებენ ისინი (მოქმედების დროზე, ადგილზე თუ ვითარებაზე);
- ✓ გაიხსენონ, რა ეწოდება ზმნასთან დაკავშირებულ არამთავარ წევრს და მისი რომელი ჯგუფები იციან.

„შუადღისას მზე გამოვიდა. ნეკერჩხლის ფოთოლს თოვლი ჩამოადნა. ჩამოდნა თოვლი ხეების ტოტებიდანაც. ტყეში ისმოდა ჩამოშვავებული ლეშხისა და მსხვილი წვეთების ხმელ ფოთლებზე დაცემის ხმა. მიწაზე დაგებული თოვლი ქაფქირივით დაიხვრიტა, მაგრამ საღამო ხანზე ხმები ისევ შეწყდა. მთების წვერებიდან ყინვა ჩამოვიდა, ლურჯად ჩამოდგა ტყეში.“

აქტივობა 2. გაიაზრეთ საკითხი - გარემოებათა ნაირგვარობა - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

აქტივობა 3. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები შეიძლება გამოიყენოთ როგორც საკლასო, ასევე საშინაო დავალებებისათვის.

აქტივობა 4. ინტერაქტიური აქტივობა.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ბარათებს, რომლებზეც დაწერილია ფრაზა, მაგალითად: „აბო თბილელის წამება“ დაიწერა ... ან: გრიგოლი გაეშურა...

სად?
როდის?
როგორ?
რატომ?
რისთვის?

მათ უნდა განავრცონ ეს ფრაზა ამ კითხვების გამოყენებით.

ეს აქტივობა შეიძლება განხორციელდეს ინტეგრირებულად ისტორიასთან (ბარათზე დაიწერება ინფორმაცია რომელიმე ძეგლის, ბრძოლის, ისტორიული პირის და ა.შ. შესახებ. მოსწავლეები იხსენებენ სად, როდის, როგორ, რატომ, რისთვის განხორციელდა ამ ძეგლთან თუ მოვლენასთან დაკავშირებული ესა თუ ის ქმედება).

აქტივობა 5. სახალისო აქტივობა - გამოიცანი სიტყვა.

მაგიდაზე გადაბრუნებულად აწყვია ბარათები , რომლებზეც წერია კონკრეტული გარემოება (მაგალითად: „სიყვარულის გამო“, „გასართობად“, „ზღვაზე“). მოსწავლე იღებს ერთ ბარათს და ხსნის ამ სიტყვას. მან კლასს სიტყვა ისე უნდა აუხსნას, რომ თავად ეს სიტყვა არ ახსენოს. თამაშს აგრძელებს ის მოსწავლე, რომელიც გამოიცნობს სიტყვას და მის გრამატიკული ფუნქციას ახსნის (მაგ: „ეს არის მიზეზის გარემოება — სიცივის გამო“).

ამ აქტივობის განხორციელემის დროს მასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს ერთგვარი ქცევის წესები, რათა უზრუნველყოს კლასის ყველა მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.


აქტივობა 6. სახალისო აქტივობა - „თვალდახუჭულმა“ ააწყვე წინადადება.

აქტივობა ხორციელდება ჯგუფურად, თითოეულ ფგუფში 5 მოსწავლეა, თითოეულ მათგანს აბარია რომელიმე გარემოებების „ბანკი“. თითოეული მათგანი ასახელებს თითო სიტყვას თავიანთი ბანკიდან (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის და მიზნის გარემოებებს) და მხოლოდ ამის შემდეგ იღებენ ბარათს, რომელზეც კონკრეტული საგნით გამოხატული მოქმედებაა (მაგ., ბავშვები ამბობენ სიტყვებს: ახლახან / კოსმოსში / მოულოდნელად /გაბრაზების გამო / დასამშვიდებლად. ხსნიან ბარათს, რომელზეც წერია: კატა კნავის. მოსწავლეები ცდილობენ ამ სიტყვების გამოყენებით ააწყონ წინადადება, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ლოგიკას მოკლებული იქნება, თუმცა სახალისო გამოვა.

აქტივობა 7. დაწერე მინიმუმ 5-სტრიქონიანი ლექსი.

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დაწერონ 5-სტრიქონიანი ლექსი, რომელშიც ყველა წინადადება აუცილებლად უნდა იწყებოდეს რომელიმე გარემოებით (თანმიმდევრობას არ აქვს მნიშვნელობა.

აქტივობა 8. თავსატეხი.



1. რომელი ჟანრის ტექსტია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“?
2. რომელ საუკუნეში დაიბადა გრიგოლ ხანძთელი?
3. რომელი ტაძარი ააგო დასავლეთ საქართველოში?
4. სად ააგო დედათა მონასტერი?
5. სად დაიწყო გრიგოლმა მოღვაწეობა პირველად?
6. რომელი საეპისკოპოსო ტიტულს ატარებდა ეფრემი?
7. სად აღადგინა საბამ მონასტერი?
8. როგორ იწოდებოდა დასავლეთ საქართველოში არსებული სამეფო?
9. რომელი ქალაქი აღადგინა აშოტ ბაგრატიონმა?
10. რომელი მონასტერი დააფუძნა თეოდორემ?
11. როდის დაიწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“?
12. სად უბოძა სახნავ-სათესი მიწები აშოტმა გრიგოლს?
13. რომელი საეპისკოპოსო ტიტულით მოიხსენიება საბა?
14. როგორი იადგარი შეადგინა გრიგოლმა?

შუალედური მიზნები (1-2 გაკვეთილი)

V. სინტაქსური კავშირების/შესიტყვებების ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს; მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად, სათქმელის (ზეპირისა თუ წერილობითის) გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში. **(§7)**

მოსწავლეს შეუძლია:

შეფასების კრიტერიუმები:

- სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

აქტივობა 1. მოსწავლეთა ინტერესის გასაღვივებლად მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დაფაზე დაწერონ თითო სიტყვა სიტყვათა სხვადასხვა კლასიდან. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5-6 მოსწავლე დაფაზე აფიქსირებს ერთ სიტყვას. შემდეგ მასწავლებელი კითხულობს ამ სიტყვებს გაბმულად და ეკითხებათ:

- ✓ **ეს სიტყვები გადმოსცემენ დასრულებულ აზრს?**
- ✓ **მათი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**
- ✓ **რა არის საჭირო იმისთვის, რომ სიტყვათა ჯგუფი წინადადებად გადაიქცეს, ანუ გამოხატავდეს დასრულებულ აზრს?**
- ✓ **როგორ უნდა მოვიქცეთ საამისოდ?**

აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი დაფაზე წერს ტერმინს - „შესიტყვება“ და მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, რა იციან/რა ახსოვთ სიტყვათა შეკავშირების შესახებ. ასებული ცოდნის გასააქტიურებლად კი უსვამს შეკითხვებს:

- ✓ **როგორ იქმნება სიტყვათა წყვილები წინადადებაში?**
- ✓ **ნებისმიერი სიტყვა შეიძლება სხვა სიტყვას დაუკავშირდეს?**
- ✓ **რამდენი სიტყვა მონაწილეობს შესიტყვებაში?**
- ✓ **შესიტყვებაში შემავალი სიტყვები თანასწორია, თუ მათ განსხვავებული ფუნქცია აქვთ?**
- ✓ **რამდენი წყვილი შეიძლება იყოს წინადადებაში?**

აქტივობა 3. გაიაზრეთ საკითხი - შესიტყვება - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

მოსწავლეთა პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, მასთან ერთად გა-

ეცნონ ინფორმაციას შესიტყვების შესახებ სახელმძღვანელოს გამოყენებით. იმსჯელონ, რამდენად სწორი იყო მათი წარმოდგენები შესიტყვების შესახებ და გამოთქმული ვარაუდები.

აქტივობა 4. შესიტყვების სახეებზე დაკვირვება.

მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებას: **ხელოვნურმა ინტელექტმა სამყარო ძალიან შეცვალა.** - და სთხოვს მოსწავლეებს ამ წინადადებიდან ამოიწერონ შესიტყვებები და დააკვირდნენ ერთნაირია მათი შეკავშირების წესი თუ განსხვავებული, რაში ხედავენ განსხვავებას, თავიანთი სიტყვებით როგორ შეუძლიათ ახსნან, რა პრინციპითაა ეს სიტყვები შეწყვილებული:

- **ინტელექტმა შეცვალა**
- **სამყარო შეცვალა**
- **ძალიან შეცვალა**
- **ხელოვნურმა ინტელექტმა.**

აქტივობა 5. გაიაზრეთ საკითხი - შესიტყვების სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

მოსწავლეთა პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მასთან ერთად გაეცნონ ინფორმაციას შესიტყვების შესახებ სახელმძღვანელოს გამოყენებით. იმსჯელონ რამდენად სწორი იყო მათი წარმოდგენები და გამოთქმული ვარაუდები შესიტყვების შესახებ. მასწავლებელს საკითხზე მუშაობისას ასევე შეუძლია გამოიყენოს QR კოდით მიწოდებული დამატებითი ინფორმაცია მოსწავლეთა ინტერესის, საჭიროებისა და მზაობის გათვალისწინებით.

აქტივობა 6. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები შეიძლება გამოიყენოთ როგორც საკლასო, ასევე საშინაო დავალებებისათვის.

აქტივობა 7. სახალისო აქტივობა.

შესიტყვების პოეზია, ანუ კოლაჟური პოეზია, ესაა ექსპერიმენტული პოეზია, ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა და შემოქმედებითი მეთოდი, სადაც ახალი ლექსი ან ტექსტი იქმნება უკვე არსებული, სხვადასხვა წყაროდან აღებული სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების მოძიებით, ამოჭრითა და ახლებურად დაკავშირებით.

ამ დროს ავტორი თავად კი არ წერს სიტყვებს, არამედ მზა მასალისგან (გაზეთები, წიგნები, რეკლამები, სხვა ლექსები) აწყობს სრულიად ახალ შინაარსსა და ფორმას.

ა) მასწავლებელს შეუძლია თავად შესთავაზოს სხვადასხვა შესიტყვებები, ან ამონარიდები სხვადასხვა ავტორების ტექსტებიდან და დაავალოს მოსწავლეებს მათი შეერთებით შექმნან ახალი ნაწარმოები (ცენტონები -კლასიკური ფორმა, როდესაც ლექსი მთლიანად ან/და ნაწილობრივ აწყობილია სხვა ცნობილი პოეტების ლექსებიდან აღებული სტრიქონებით).

ნიმუში: ვახტანგ ჯავახაძე, „კლასიკოსობანა“

...შინდისი და შირვანი და შირაქი და შირაზი,
ნაწვიმარი სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში.
პოეზია - პოეზეა, რენიე და შენიე,
სიყვარული აგვამაღლებს: იგი ვარდობს, შენ იე.
...
...მე არ ვწერ და როცა არ ვწერ,
მაშინ ვწერ და ლექსი მწერს.

სმენად მხეცნი მოვიდიან: მირბის ჩემი მერანი,
ქრიან ლურჯა ცხენები და კრთიან ეფემერანი.

ბ) ან გამოიყენოს ე.წ. **Blackout** პოეზიის ვერსია, რომლის მიხედვითაც არსებულ ნაბეჭდ ტექსტში (მაგალითად, სტატიაში ან/და სხვა მწერლის ტექსტში) შავი მარკერით იშლება ზედმეტი სიტყვები, ხოლო დატოვებული სიტყვები ქმნის ახალ, ხშირად სრულიად განსხვავებულ პოეტურ სათქმელს.

მოსწავლეები საკუთარ ნამუშევარს კითხულობენ კლასში, ან შეიძლება, თუ საინტერესო ნიმუშები შეიქმნა, შესთავაზოთ მოსწავლეებს, გააფორმონ საკუთარი ლექსები და მოაწყოს გამოფენა - შესიტყვების პოეზია - სკოლის ფოიეში.

აქტივობა 8. სახალისო ინტერაქტიური აქტივობა.
„ჯადოსნური ყუთი“

- მასწავლებელი ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან მაკრატლით ამოჭრის ცალკეულ შესიტყვებებს, რომლებიც თავსდება ერთ ყუთში და კარგად ირევა.
- თითოეული მოთამაშე ბრმად იღებს ყუთიდან 5-6 ფრაზას და ცდილობს მათგან 3 წუთში ააწყოს აზრობრივი ან აბსურდული, მაგრამ რიტმული ლექსი.

აქტივობა 9. აქტივობა: „სინტაქსური კოლაჟი“ .

შესიტყვების გრამატიკული სახეების (შეთანხმება, მართვა, მირთვა) პრაქტიკული გააზრების მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 3 ჯგუფად: „შეთანხმების“, „მართვისა“ და „მირთვის“ ჯგუფებად.

1. დაფაზე იწერება ერთი ძირითადი სიტყვა (მაგალითად: წვიმა, ლომი...);
2. თითოეულმა ჯგუფმა თავისი გრამატიკული წესის მიხედვით უნდა მოუძებნოს ამ სიტყვას შესიტყვებები (მაგ. შეთანხმება: ჟუჟუნა წვიმა; მართვა: წვიმის წვეთები, წვიმა წამოვიდა; მირთვა (ამ შემთხვევაში არსებითი სახელი გადააქციეთ ზმნად და ისე მოუძებნეთ შესიტყვება): ძალიან გაწვიმდა...);
3. საბოლოოდ, სამივე ჯგუფის მიერ შექმნილი გრამატიკული შესიტყვებების გაერთიანებით დაფაზე იწყობა კოლაჟური ლექსი ან/და ერთიანი ფრაზა.

შუალედური მიზნები (3-4 გაკვეთილი)
VI. მარტივი და შერწყმული წინადადების შესახებ ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს; მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად, სათქმელის (ზეპირისა თუ წერილობითის) გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში. **(§9, 10)** **მოსწავლეს შეუძლია:** **შეფასების კრიტერიუმები:** • სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება.

- ✓ **როგორი შეიძლება იყოს წინადადება აგებულების მიხედვით?**
- ✓ **რა იციან მარტივი წინადადებების შესახებ?**
- ✓ **წინადადების რომელი წევრები მონაწილეობენ მის აგებაში?**
- ✓ **წინადადების წევრები, უმეტესწილად, თითო-თითოა წარმოდგენილი მარტივ წინადადევაში, თუ შეიძლება რამდენიმეც იყოს? დაასახელეთ მაგალითები.**
- ✓ **თუ წინადადებაში ორი ზმნა, ან სუბიექტი... იქნება, ის მაინც მარტივად დარჩება? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.**

აქტივობა 2. გაიაზრეთ საკითხი - მარტივი წინადადების ტიპები - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

აქტივობა 3. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები შეგიძლიათ გამოიყენოთ საკლასო აქტივობებისათვის, შინ კი დაავალოთ, რომ თავად შექმნან დიალოგები, ან მოიფიქრონ წინადადებები და განავრცონ, ან ლიტერატურის სახელმძღვანელოს ტექსტების ადაპტირებული ვერსიებიდან ამოიწერონ ერთი აბზაცი და გააანალიზონ. რომელი ტიპის მარტივი წინადადებებისაგან შედგება იგი.

აქტივობა 4. დიალოგები.

ა) დააწყვილეთ მოსწავლეები და შესთავაზეთ მოიფიქრონ და დაწერონ დიალოგი ნებისმიერ თემაზე. შემდეგ კლასის წინაშე ერთ-ერთი მოხალისე წყვილი წარმოადგენს, გაითამაშებს ამ აქტივობას. კლასის დანარჩენი მოსწავლეები აკვირდებიან მათ დიალოგს (მეთოდი „აკვარიუმი“) და ინიშნავენ:

- ✓ რა ტიპის წინადადებებია ძირითადად გამოყენებული დიალოგის დროს?
- ✓ მარტივი წინადადებები ჭარბობს თუ რთული? სრული თუ უსრული?
- ✓ რომელ მარტივ წინადადებებს იყენებენ დიალოგის მონაწილენი?
- ✓ რამდენად გადმოსცემენ დასრულებულ აზრს დიალოგში გამოყენებული უსრული წინადადებები?
- ✓ დიალოგის გარეშე ამ წინადადებების შინაარსი გასაგები იქნებოდა?

ბ) მასწავლებელი სთავაზობს ამონარიდს პოლიკარპე კაკაბაძის პიესიდან „ყვარყვარე თუთაბერი“ და სთხოვს დააკვირდნენ:

- ✓ რომელი ტიპის მარტივ წინადადებებს გამოიყენებენ რემარკებისათვის (**დრამატულ ნაწარმოებში, მოქმედ პირთა სიტყვების გარდა, ავტორი იძლევა მითითებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს სცენა მოწყობილი, რა უნდა ხდებოდეს სცენაზე, ან კულისებში. რა უნდა გააკეთოს ან როგორ იმოქმედოს მსახიობმა, როგორი უნდა იყოს მისი მიმიკა და სხვ.**)?
- ✓ მათი აზრით, რატომაა მნიშვნელოვანი რემარკებში სწორედ ასეთი მარტივი წინადადებების გამოყენება? პასუხი დაასაბუთონ.

ნიმუში.

მოქმედება პირველი

რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზთან სოფლის წისქვილი. შუა ცეცხლთან ზის ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია, და ქექავს ნაცარს. მეწისქვილე ფქვილს მინდავს და ჩუმად ღიღინებს.

ყვარყვარე: კმარა, მუდამ ხომ არ უნდა იღიღინო?!

მეწისქვილე: შენ რას გიშლი?!

ყვარყვარე (თავაუღებლად.): ფიქრს ნუ მაწყვეტინებ (დუმილია).

მეწისქვილე (ხელის მოსათბობად დაიხრება კერასთან და აკვირდება ნაცარს): ეს რა მოგიქარგავს ნაცარში?!

ყვარყვარე: გეგმაა, ხომ გესმის, ბებერო. დახედე აქ, რა ამბავია... ეს არის რკინიგზა, აი, აქ იწყება, ასე მიდის... ა... ასე უხვევს და მიადგება ამ მაღალ მთას, ახლა აქედან გზა სად წავა, შე ძველო, აბა, თუ მიხვდები?!

მეწისქვილე (აკვირდება): რა ვიცი!

ყვარყვარე: აქ გვირაბია საჭირო.

მეწისქვილე: გვირაბი რა საჭიროა?

ყვარყვარე: მაშ, ხომ არ გადაახტება მატარებელი ამოდენა მთას?!

გ) შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი სთხოვს, წარმოიდგინონ, რომ ეს დიალოგი რომელიმე სპექტაკლის ნაწილია და მოიფიქრონ რემარკები ამ სცენისათვის, რომელსაც ასევე წარმოადგენენ კლასის წინაშე.

აქტივობა 4. მასწავლებელი დაფაზე წერს ერთ გაუვრცობელ/გავრცობილ სრულ მარტივ წინადადებას, მაგალითად:

გრიგოლმა ხანძთაში მონასტერი დააფუძნა.

შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს ლიტერატურული ცოდნის გამოყენებით დააზუსტონ ეს ინფორმაცია:

- ✓ **კიდევ ვინ მონაწილეობდა ხანძთის მშენებლობაში?**
- ✓ **ამ შემთხვევაში როგორ ჩამოყალიბდება წინადადება?**
- ✓ **რამდენი პირი მონაწილეობს ზმნით გამოხატულ მოქმედებაში?**

გრიგოლმა და მისმა მეგობრებმა ხანძთაში მონასტერი დააფუძნეს.

- ✓ **გარდა ხანძთისა, კიდევ რომელი მონასტერი ააშენეს?**
- ✓ **ამ შემთხვევაში როგორ ჩამოყალიბდება წინადადება?**
- ✓ **რამდენ საგანს გადაეცემა ზმნით გამოხატული მოქმედება?**

გრიგოლმა და მისმა მეგობრებმა ხანძთასა და შატბერდში მონასტრები დააფუძნეს.

- ✓ **რა შეიცვალა ახლადმოფიქრებულ წინადადებებში?**
- ✓ **შეიძლება, რომ ეს წინადადებები ისევ მარტივად ჩავთვალოთ? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.**

აქტივობა 5. გაიაზრეთ საკითხი - მარტივი წინადადების ტიპები - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით:

- ✓ **უპასუხონ კითხვებს;**
- ✓ **გაეცნონ და გაიაზრონ თეორიული მასალა;**
- ✓ **დააკვირდნენ დიაგრამებსა და სქემებს;**
- ✓ **არსებულ ცოდნაზე ახლის დაშენებით გამოიტანონ სათანადო დასკვნები;**
- ✓ **დაიმახსოვრონ შერწყმულ წინადადებასთან დაკავშირებული მართლწერის წესები.**

აქტივობა 6. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც საკლასო, ასევე საშინაო დავალებებისათვის.

გაითვალისწინეთ, რომ სავარჯიშოებში საკმაოდ ბევრი წინადადებაა წარმოდგენილი, სასურველია, თქვენი შეხედულებით განუსაზღვროთ მოსწავლეებს, სავარჯიშოს რა ნაწილი და რა დროში უნდა შეასრულონ ამ აქტივობის დროს, ან გადაანაწილეთ წინადადებები მოსწავლეთა ჯგუფებზე.

აქტივობა 7. სასვენი ნიშნები შერწყმულ წინადადებაში.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სქემას, რომლის პირველ სვეტში ჩამოწერილია შერწყმული წინადადებები და სთხოვს შეავსონ დავალების პირობის შესაბამისად.

ა) დააკვირდით ქვემოთ მოცემულ შერწყმულ წინადადებებს და განსაზღვრეთ, რა შემთხვევაშია სასვენი ნიშნები მართებულად გამოყენებული და რა შემთხვევაში - უმართებულოდ.

ბ) თქვენი მოსაზრებები შეაჯერეთ მეწყვილესთან და შეავსეთ სქემის საბოლოო ვერსია.

წინადადება	სწორია	არასწორია	ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე
ნეტართა შორის გამობრწყინდა, მადლით სავსე, სიბრძნით სრულქმნილი, დიდი მღვდელი და საქმის კარგად განმგებელი მოღვაწე და დაუსახლებელ ადგილებში მონასტრების აღმშენებელი.			
მათ არ გააჩნდათ ცული, წერაქვი, არც სხვა სამუშაო იარაღები			
ამ კეთილი განზრახვის აღსასრულებლად ნახა მოკეთეები: საბა, დედამისის დისშვილი, თეოდორე, ნეძვის მაშენებელი და წინამძღვარი და ქრისტეფორე, კვირიკეთის მაშენებელი და წინამძღვარი.			
სანატრელი გრიგოლი ... აღმშენებელი ხანძთისა და შატბერდისა - ამ ორი დიდებული მონასტრის.			
ხანძთის მონასტერს ყველა საჭირო ნივთი უბოძეს კურაპალატის შვილებმა ადარნერსემ, ბაგრატმა და გუარამმა			
კლარჯეთის მეუდაბნოეებმა, მამებმა და ეკლესიის სამწყსომ - ყველამ არაერთხელ ამხილა უკეთური ცქირის ბოროტი საქციელი.			
კლარჯეთში, ტაოში, შავშეთსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ცოტა ადამიანიღა სახლობდა აქა-იქ ტყეებში.			

შუალედური მიზნები (5-6 გაკვეთილი)

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება. მცირე ცნობარის შედგენა აგებულების მიხედვით განსხვავებული წინადადებების გამოყენებით.

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

აგებულების მიხედვით განსხვავებული წინადადებების თავისებურებათა ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს ქართული ენის უნიკალურობის გასააზრებლად; წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად; სათქმელის წერილობით გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად; გააზრებული ენობრივი არჩევანის გასაკეთებლად მცირე ცნობარის შექმნის დროს.

მოსწავლეს შეუძლია:

1.1. სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;

1.3. მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება;

1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

დავალების პირობა:

შეადგინეთ მცირე ცნობარი ლიტერატურული ტურიზმისათვის თქვენ მიერ მიმდინარე სასწავლო წელს შესწავლილი/შესასწავლი მწერლებისა და მათი ნაწარმოებების გათვალისწინებით.

ნამუშევარში:

- ❖ გამოიყენეთ აგებულებისა და შინაარსის მიხედვით განსხვავებული წინადადებები;
- ❖ წარმოაჩინეთ ინფორმაცია იმ ადგილების შესახებ, სადაც ცხოვრობდნენ ან/და მოღვაწეობდნენ ეს მწერლები;
- ❖ აღწერეთ ადგილები, სადაც ვითარდება მოქმედება მათს ნაწარმოებებში;
- ❖ დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

კონტექსტმაგალითები და დამხმარე სამუშაო რესურსები:

ძირითადი კონტექსტმაგალითი:

მარტივი წინადადების სახეები (§9)
შერწყმული წინადადება (§10);
წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით (§11).

დამატებითი:

ბიოგრაფიული ლექსიკონი
იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“;
იოანე საბანისძე, „აბო თბილელის ცხოვრება“
გიორგი მერჩულე, „ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება;

დამხმარე სამუშაო რესურსები:

სამუშაო რესურსი 1. ტექსტის ტიპის განსაზღვრა.

სამუშაო რესურსი 2. ინსტრუქცია თითოეულ „გაჩერებაზე” სამუშაოდ.

სამუშაო რესურსი 5 . თვითშეფასების სქემა.

აქტივობა 1. წინა გაკვთილებზე შესწავლილი საკითხების გააქტიურება.

- ✓ აგებულების მიხედვით წინადადების რომელი ტიპები იცით?
- ✓ როგორ დაახასიათებთ თქვენი სიტყვებით მარტივ წინადადებას? შერწყმულს? რთულს?

აქტივობა 2. ტექსტის ტიპის განსაზღვრა.

განსაზღვრეთ, ჩამოთვლილთაგან როდის ვიყენებთ ძირითადად მარტივ, შერწყმულ ან რთულ წინადადებას?

ახსენით თქვენი მოსაზრებები, რატომ ფიქრობთ ასე.

ტექსტის ტიპი	მარტივი	შერწყმული	რთული
მხატვრულ ნაწარმოებებში აღწერითი ტექსტის შესაქმნელად			
ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში			
რეკლამებში, სლოგანებსა და პიარ-ტექსტებში			
სამეცნიერო, აკადემიურ ტექსტებში კლასიფიკაციების, თვისებებისა და ფაქტების ჩამოსათვლელად			
ესეისტიკაში, როდესაც ავტორი ცდილობს მკითხველი რამეში დაარწმუნოს			
კანონებში, ბრძანებებში, ხელშეკრულებებში მოვალეობებისა თუ აკრძალვების ჩამონათვლის დასაფიქსირებლად			
აკადემიურ, სამეცნიერო და ანალიტიკურ ტექსტებში არგუმენტირებული მსჯელობისას			
საბავშვო ლიტერატურაში			

აქტივობა 3. რა იცით ცნობარის შესახებ?

- ✓ **რა და რა ტიპის ცნობარი იცით?**
- ✓ **თქვენ თუ გისარგებლიათ რომელიმე ტიპის ცნობარით?**
- ✓ **რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა სფეროსთვის მცირე თუ მოცულობითი ცნობარის არსებობა?**
- ✓ **რა ინფორმაციას აწვდის მკითხველს ლიტერატურული ცნობარი?**
- ✓ **როგორ წარმოგიდგენიათ ლიტერატურული ტურიზმი და რამდენად მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში მცირე ცნობარის არსებობა?**
- ✓ **იმისთვის, რომ ამ ცნობარით სარგებლობა მარტივი და მოსახერხებელი იყოს, ძირითადად რა ტიპის წინადადებებს გამოიყენებდით?**
- ✓ **რომელი ტიპის ინფორმაციის მისაწოდებლად იქნებოდა მიზანშეწონილი მარტივი წინადადებების გამოყენება? შერწყმულის? რთულის?**

აქტივობა 4. ცნობარის ტექსტზე მუშაობა. ინფორმაციის მოძიება მწერლებზე, რომელთა შესახებაც თქვენს ცნობარში იქნება საუბარი.

ა) მუშაობის დაწყებამდე უპასუხეთ საორიენტაციო კითხვებს:

- ✓ **გაიხსენეთ, რომელი მწერლების რომელი ნაწარმოებები შეისწავლეთ ლიტერატურის გაკვეთილებზე მიმდინარე სასწავლო წელს?**
- ✓ **რა იცით ამ ავტორებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ?**
- ✓ **კიდევ რომელი მწერლების რომელი ნაწარმოებების შესწავლა მოგიწევთ ამ სასწავლო წელს?**
- ✓ **თუ გაქვთ წინა წლების გამოცდილებით მათ შესახებ ინფორმაცია?**
- ✓ **თქვენი ცნობარის შესადგენად თუ დაგჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია ამ მწერლებსა და მათს ნაწარმოებებზე?**

ბ) ცნობარის ტექსტზე მუშაობა სწავლების მეთოდით „სასწავლო გაჩერებები“[4].

მუშაობის დაწყებამდე წინასწარ გაწერეთ გაკვეთილზე მეთოდის განხორციელების

4 სასწავლო გაჩერებების შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ მითითებული ბმულით: სასწავლო გაჩერებები_2615.pdf

ყველა ნაბიჯი და მოამზადეთ რესურსები.

- ✓ აქტივობა ხორციელდება ჯგუფურად, კლასი დაყავით ჯგუფებად და საკლასო სივრცე კი - „გაჩერებებად";
- ✓ გაჩერებები შეგიძლიათ მოაწყოთ მერხებით საკლასო ოთახში არსებული სივრცის, მოსწავლეთა რაოდენობისა და გაკვეთილის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- ✓ მოსწავლეთა თითოეული ჯგუფი თანმიმდევრულად მიდის ყველა გაჩერებაზე, სადაც მათ ხვდებათ შესასრულებელი დავალების ინსტრუქცია და ასევე გარკვეული რესურსებიც საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად (მაგალითად: პირველი გაჩერება იქნება ქვემო ქართლში, ცურტავში, შემდეგი გაჩერება - თბილისი, იოანე საბანისძისა და აბო თბილელის მოღვაწეობის ადგილი...);
- ✓ მოსწავლეები ერთ კონკრეტულ „გაჩერებასთან" ატარებენ მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს და ინსტრუქციით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შემდეგაც გადაადგილდებიან შემდეგ გაჩერებაზე;
- ✓ წინასწარ განუსაზღვრეთ გაჩერებიდან გაჩერებაზე გადაადგილების მარშრუტი, რათა ერთ გაჩერებაზე ერთდროულად არ აღმოჩნდეს რამდენიმე ჯგუფი;
- ✓ შეგიძლიათ შესთავაზოთ ინფორმაციის მაორგანიზებელი სქემებიც.

სასწავლო რესურსი 2. ინსტრუქცია თითოეულ გაჩერებაზე სამუშაოდ.

ჯგუფში:

- ✓ გაიხსენეთ ინფორმაცია კონკრეტული ტექსტის ავტორის შესახებ;
- ✓ ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდის მწერალი პერსონაჟების (ისტორიული პირების) შესახებ;
- ✓ ნაწარმოებში აღწერილი გარემო, სადაც მოქმედება ვითარდება;
- ✓ „გაჩერებაზე" არსებული რესურსის გაცნობა და საჭირო ინფორმაციის ამოკრება;
- ✓ ჯგუფის წევრებს შორის დავალების გადანაწილება.

„სასწავლო გაჩერებები" სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩართოთ სასწავლო პროცესში და მიაღწიოთ დასახულ მიზანს.

აქტივობა 5. მცირე ცნობარისათვის სათანადო ფორმისა და სტილის შერჩევა, მაგალითად:

- ➢ ჯიბის მინი-ბუკლეტი, დაკეცილი, კომპაქტური ქაღალდის საცნობარო გზამკვლევი, რომელიც ლიტერატურული ტურიზმით დაინტერესებულ პირებს მიაწვდის ყველაზე მნიშვნელოვან და აუცილებელ ინფორმაციას;
- ➢ საფოსტო ბარათების ნაკრები: თითოეულ ბარათზე ერთ მხარეს არის ლამაზი ფოტო ან/და ილუსტრაცია, ხოლო მეორე მხარეს — მოკლე საინტერესო ფაქტი;
- ➢ პოსტერი: ერთი დიდი, ვიზუალურად მიმზიდველი ილუსტრაცია და მოკლე ინფორმაცია კონკრეტული მწერლის, ისტორიული პირების და ა.შ. შესახებ;
- ➢ და სხვ.

კლასის შესაძლებლობის გათვალისწინებით შეგიძლიათ შესთავაზოთ ციფრული ცნობარის დამზადებაც მათთვის საინტერესო ფორმით.

აქტივობა 6. მცირე ცნობარის პირველადი ვერსიის შემუშავება.

- ✓ მოძიებული/შეგროვებული ინფორმაციის დახარისხება, შეჯერება და გამთლიანება.
- ✓ მცირე ცნობარისათვის სათანადო სტილის შერჩევა;
- ✓ პირველადი ვერსიის მომზადება.

სამუშაო რესურსი 7. თვითშეფასების სქემა

მცირე ცნობარი	არის	გასაუმჯობესებელია
სტრუქტურულად გამართულია.		
წარმოჩენილი და გაანალიზებულია ცნობარისათვის საჭირო ყველა საკითხი.		
შეიცავს სანდო და აღიარებულ ინფორმაციას.		
იყენებს აგებულების მისედვით სხვადასხვა ტიპის წინადადებებს.		
შეარჩეულია ცნობარისათვის მისაღები მარტივი ლექსიკა და სტილი, შეუძლია მკითხველზე ზემოქმედების მოხდენა.		
დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.		
ცნობარი გაფორმებულია მკითხველისათვის მიმზიდველად.		

აქტივობა. 7. საბოლოო ვერსიის შემუშავება და წარდგენა.

შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკა (სამიზნე ცნების ინდიკატორების გათვალისწინებით)

სამიზნე ცნება	შეფასების ინდიკატორები (სტანდარტი)	მოლოდინები (შეფასების რუბრიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით) მოსწავლეს შეუძლია:
ენის სისტემა (შედეგი 1)	• სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/ დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	• მცირე ცნობარის შედგენისას • შესაბამისი გრამატიკული კონსტრუქციების მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მცირე ცნობარის ტექსტისათვის დამახასიათებელი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

შუალედური მიზნები (1-2 გაკვეთილი)
მოსწავლემ უნდა შეძლოს: **I.** წინადადებათა შინაარსობრივი ტიპების შესახებ ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს, მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად, სათქმელის (ზეპირისა თუ წერილობითის) გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში. **(§9, 10)** **მოსწავლეს შეუძლია:** • სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება.

- გაიხსენეთ, შინაარსის მიხედვით რომელი ტიპის წინადადებებს იცნობთ?
- რა უნდა გვახსოვდეს ამ ტიპის წინადადებების წარმოთქმისა და წერის დროს?
- რა ფუნქციური დატვირთვა აქვს ორატორულ ხელოვნებაში სხვადასხვა მოდალობის წინადადებებს? რა ეწოდება ამ რიტორიკული ფიგურებს?
- რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა მოდალობის წინადადებების გამოყენება ზეპირი თუ წერითი მეტყველების დროს? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

აქტივობა 2. გაიაზრეთ საკითხი - წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით:

- ✓ უპასუხეთ კითხვებს;
- ✓ გაეცანით და გაიაზრეთ თეორიული მასალა;
- ✓ არსებულ ცოდნაზე ახლის დაშენებით გამოიტანეთ სათანადო დასკვნები;

აქტივობა 3. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების მეშვეობით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც საკლასო, ასევე საშინაო დავალებებისათვის, ან შესთავაზეთ, თავად მოიფიქრონ მცირე ტექსტი შინაარსის მიხედვით ყველა ტიპის წინადადების გამოყენებით.

აქტივობა 4. წინადადების მოდალობასთან დაკავშირებით შეძენილი ცოდნა-გამოცდილების გადამოწმება.

ტესტი

1. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ამა თუ იმ მოდალობის გამომხატველ წინადადებათა ტიპს?

ა) თხრობითი წინადადება; ბ) შერწყმული წინადადება; გ) ბრძანებითი წინადადება; დ) კითხვითი წინადადება.

2. დააკვირდით მოცემულ ფრაგმენტს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილიდან „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?" და განსაზღვრეთ, როგორია შედგენილობის მიხედვით მოცემული კითხვითი წინადადებები.

რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვეხოთ და შევირჩინოთ? რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ?

ა) არაკითხვითსიტყვიანი კითხვით წინადადება; ბ) კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება; გ) კითხვით-ბრძანებითი წინადადება; დ) კითხვით-უკუთქმითი წინადადება.

3. რომელი სიტყვათა კლასია გამოყენებული მოცემულ წინადადებებში კითხვით სიტყვად?

რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ა) ნაცვალსახელები; ბ) ზმნიზედები; გ) ნაწილაკები.

4. რომელი სიტყვათა კლასია გამოყენებული მოცემულ წინადადებაში კითხვით სიტყვად?

ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით?

ა) ნაცვალსახელი; ბ) ზმნიზედა; გ) ნაწილაკი.

5. როგორ გამოიხატება კითხვა მოცემულ კითხვით წინადადებებში?

ვართ ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?..

ა) კითხვითი სიტყვით; ბ) მხოლოდ სასვენი ნიშნით; გ) მხოლოდ ინტონაციით.

6. როგორ უნდა წავიკითხოთ მოცემული წინადადება, სად მოუდის კითხვის მახვილი?

ვართ ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?..
ვართ კი ყოველ ამისათვის მზად?

ა) კითხვით სიტყვაზე; ბ) ზმნა შემასმენელზე; გ) წინადადების ბოლოს.

7. რომელ დამხმარე სიტყვათა კლასს იყენებს ბრძანებითი წინადადება ბრძანების შინაარსის გადმოსაცემად?

ა) კავშირს; ბ) თანდებულს; გ) ნაწილაკს.

8. რომელი შინაარსობრივი ჯგუფის წინადადებები გამოხატავს ძლიერ ემოციას, განცდას?

ა) კითხვითი; ბ) ბრძანებითი; გ) თხრობითი.

9. დააკვირდით ქვემოთ წარმოდგენილ წინადადებებს, განსაზღვრეთ, რას გამოხატავს თითოეული მათგანი და შეუსაბამეთ ცხრილის მარჯვენა სვეტით გადმოცემული ბრძანებითი წინადადების რომელიმე დანიშნულებას.

წინადადება	
I. წმიდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ!	ა) თხოვნა ბ) ბრძანება გ) ემოცია
II. წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩვენსა!	
III. ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს!	
IV. ნუ სწყევ მას, არამედ შეუნდვენ დიდნი ბრალნი მისნი!	

I	II	III	IV

10. იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების" წარმოდგენილი ფრაგმენტიდან ამოიწერეთ წინადადებები შინაარსობრივი ჯგუფების მიხედვით:

აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ, ჭეშმარიტად საქებელსა? მნებავს ქებად შენდა, ყოვლად-ქებულო ქრისტჱს მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათნოებათა შენთაჲ. და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტჱსმიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავ-ღა სოფელსა ამას შინა ჩუენსა. აწ ნუუკუე დაყენებითა ენისა ჩემისაჲთა ქებასა შენსა დაეყენოს ჩემთჳსცა მოღუაწებაჲ მეოხებისა შენისაჲ ქრისტჱს მიმართ!

წინადადების ტიპი შინაარსის მიხედვით	ფრაზა ტექსტიდან
თხრობითი წინადადება	არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათნოებათა შენთაჲ.

აქტივობა 5. ქვემოთ მოცემული წინადადებების ბოლოს დასვით, თქვენი აზრით, შესაბამისი სასვენი ნიშანი, შემდეგ შეადარეთ ავტორისეულ ვერსიას და იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ტექსტის სწორად გაგებისათვის წერის დროს სასვენ ნიშანთა მართებულად გამოყენება.

1. **რაჲსათჳს არა მოხვედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო**
2. **იგი ოდენ არს ვარსკულავი მნათობი**
3. **- შვილო, პატივსა მაგას წმიდისა მღდელთმთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა არსენის**
4. **უკეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ მყავ, ვითა არა შენი მოძღვარ ვარ!**
5. **ბრძანე პასუხი, რაჲ ჯერ არს**
6. **- წმიდაო ღმრთისაო, შემინდვე, რამეთუ დაგაბრკოლე**
7. **სიმდაბლე სრული საქმით და არა სიტყვით არსა მონასტერსა თქვენსა შორის ძმათა**
8. **ცუდითა რაჲთმე მიზეზითა საფრხე ქმნულ ხარ დიდისა ხელმწიფისადა**
9. **შვილო ჩემო, წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩვენსა**
10. **უფალმან იცის, რაჲსათვის ჰბრძანე აქა**

შუალედური მიზნები (5-6 გაკვეთილი)

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება. კომიქსის შექმნა სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით.

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

მოდალობის მიხედვით განსხვავებული წინადადებების თავისებურებათა ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს ქართული ენის უნიკალურობის გასააზრებლად; წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად; სათქმელის წერილობით გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად; გააზრებული ენობრივი არჩევანის გასაკეთებლად კომიქსის შექმნის დროს.

მოსწავლეს შეუძლია:

1.1. სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;

1.3. მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება;

1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

დავალების პირობა:

უმცროსკლასელებისათვის შექმენით კომიქსი, რომლითაც მათ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რომელიმე ეპიზოდს გააცნობთ. გამოკვეთეთ კომიქსის სამი ნაწილი: დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული.

კომიქსში:

- ამბის გადმოსაცემად უმეტესწილად გამოიყენეთ საუბრები (დიალოგები) პერსონაჟებს შორის;
- „ღრუბლებში“ მოცემული ტექსტებისათვის - დიალოგებისათვის, ასევე პერსონაჟების ფიქრებისათვის - გამოიყენეთ სხვადასხვა მოდალობის (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, კითხვით-ბრძანებითი) გამომხატველი წინადადებები და სათანადო სასვენი ნიშნები;
- პერსონაჟების დიალოგების გადმოცემისათვის გამოიყენეთ მარტივი, სრული და უსრული წინადადებები;
- დამატებითი ინფორმაციისათვის (მაგ.: პერსონაჟებზე, მომხდარზე, მოქმედების დროსა და ადგილზე), სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით, ძირითადად გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის მარტივი და შერწყმული წინადადებები.

კონტექსტმაგალითები და დამხმარე სამუშაო რესურსები:

ძირითადი კონტექსტმაგალითი:
მარტივი წინადადების სახეები (§9)
შერწყმული წინადადება (§10);
წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით (§11).

დამატებითი:
1. ბიოგრაფიული ლექსიკონი, გიორგი მერჩული - ბიოგრაფიული ლექსიკონი;
2. გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სახელმძღვანელო, ქართული ლიტერატურა, 1-ლი ნაწილი.

დამხმარე სამუშაო რესურსები:
სამუშაო რესურსი 1. ამონარიდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“.
სამუშაო რესურსი 2. შერჩეულ ეპიზოდზე მუშაობა სქემის გამოყენებით.
სამუშაო რესურსი 3. თვითშეფასების სქემა.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება.

- რა ტიპის ტექსტებია უმეტესწილად კომიქსში გამოყენებული?
- პერსონაჟების საუბარი, ფიქრები ან აზრები ძირითადად რა ტიპის წინადადებებითაა გადმოცემული?
- კომიქსი მსუბუქი, ჩვეულებრივ, სათავგადასავლო შინაარსის მქონე პატარა ილუსტრირებული წიგნია, თქვენი აზრით, რამდენად გამოდგება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გასაცნობად ეს ფორმა პატარებისათვის? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

აქტივობა 2. კომიქსის სტრუქტურა.
კომიქსი არის საინტერესო სტრუქტურის მქონე წიგნი, რომელიც აერთიანებს ტექსტსა და ვიზუალს ემოციური და შინაარსობრივი ნარატივის გადმოსაცემად, მათ შორის სხვადასხვა ჟანრსა და კულტურულ კონტექსტში.

მისი სტრუქტურა ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

- პანელები: ნახატები, რომლებიც მოსაყოლი ამბის ნაწილს უჩვენებენ;
- „ღრუბლები“: სივრცეები ტექსტისთვის, რომლებშიც განთავსებულია დიალოგი ან მონოლოგი.
- კადრები და ფონები: ვიზუალური ასპექტები, რომლებიც ატმოსფეროს ან მოქმედების დინამიკას აღწერენ.

იმსჯელეთ: თქვენი კომიქსი სტრუქტურულად რომ სრულყოფილი გამოვიდეს, კიდევ რას დაამატებდით?

აქტივობა 3. ნიმუშის განხილვა.
ნიმუშისათვის შეგიძლიათ შესთავაზოთ ერთ-ერთი მონაკვეთი ტექსტიდან, სასურველია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შედარებით უცნობი ეპიზოდი.

სამუშაო რესურსი 1. ამონარიდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“

რამეთუ ოდესმე იყო ნეტარი გრიგოლ თჳსსა მას საყუდელსა სენაკსა. და სენაკსა მას შინა ცეცხლი არა ოდეს აღგზნებულ იყო, არცა კანდელი აღნთებულ იყო, და არცა სხუათა ძმათასა. და ჟამსა ცისკრისასა დეკანოზმან ჰრქუა მნათესა: „მივედ მამისა და ისმინე, სძინავს-ძი ანუ ჰღჳძავს“. და ვითარცა მივიდა, იხილა ბრწყინვალებაჲ დიდძალი შინაჲთ გამო სენაკსა მას. მსწრაფლ მორბიოდა და ჴმა-ყო, ვითარმედ „ცეცხლი აღდებულ არს სენაკსა შინა მამისასა“. ჰრქუა მას დეკანოზმან: „დუმენ შვილო, და ნუ გეშინინ! არა არს იგი ცეცხლი შემწუველი, გარნა სული ღმრთისაჲ განმანათლებელი“. რამეთუ მრავალ-გზის ეხილვა დეკანოზსა მას ხილვაჲ იგი დიდებული. და მიხოლო-ვიდა სენაკად და შთახედნა კედლისა ნაპრალსა და იხილა წმიდაჲ იგი ჴელგანპყრობით და გუამით მისით გამოვიდოდეს ნათლისა ისარნი ჯუარის სახედ. და დიდებითა შემკულ იყო იგი და ესრჱთ ბრწყინვიდა, ვითარცა მზჱ. ხოლო დეკანოზი იგი სიხარულით ჰმადლობდა ქრისტესა და მყოვარ ჟამ დააცადა ჟამის რეკაჲ, ვიდრემდის შეიცვალა სახილავი იგი.

ა) გადმოეცით თქვენი სიტყვებით ეპიზოდის შინაარსი;

(მოსწავლეები წერენ ეპიზოდის შინაარსს, ერთ-ერთი ჯგუფი კითხულობს პერიფრაზის საკუთარ ვერსიას, დანარჩენები ავსებენ ან/და აზუსტებენ ტექსტს, საჭიროების შემთხვევაში, ერთვება მასწავლებელიც).

ბ) დაყავით მონაკვეთებად შეთავაზებული ტექსტი.

ტექსტის დაყოფის საორიენტაციო ვერსია:

- **დეკანოზისა და მნათეს დიალოგი;**
- **მნათე გრიგოლის სენაკთან და მლოცველი გრიგოლი;**
- **უკან დაბრუნებული შეშფოთებული მნათე;**
- **მნათე და დეკანოზი გრიგოლის სენაკთან;**
- **მლოცველი დეკანოზი.**

გ) თხრობით ტიპის ტექსტის მონაკვეთები გადააკეთეთ დიალოგებად;

- **დიალოგებისათვის გამოიყენეთ შინაარსის მიხედვით განსხვავებული წინადადებები (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი...);**
- **ტექსტის სპეციფიკის გათვალისწინებით დიალოგურ „ღრუბლებში“ გამოიყენეთ მარტივი, სრული და უსრული წინადადებები;**
- **სიტუაციის, სცენის აღსაწერად – მარტივი და შერწყმული წინადადებები;**
- **ლექსიკის შერჩევისას გაითვალისწინეთ სამიზნე აუდიტორია.**

დ) მოიფიქრეთ ილუსტრაციები - ტექსტური ინფორმაცია გადმოეცით არავერბალურად, ნახატის მეშვეობით.

- **მოიფიქრეთ, როგორი იქნება თითოეული კადრი და მისი ფონი, რომლებიც ატმოსფეროს ან მოქმედების დინამიკას აღწერენ;**
- **როგორი იქნება პერსონაჟების ჟესტ-მიმიკა და პოზა;**
- **რა ფერებს გამოიყენებთ საერთო განწყობილების გადმოსაცემად.**

ე) შესავალსა და დასასრულზე მუშაობა.

აქტივობა 4. კომიქსისათვის სასურველი ეპიზოდის შერჩევა.

სასურველია, მოსწავლეებმა თავად გაიხსენონ ლიტერატურის გაკვეთილებზე შესწავლილი ტექსტი და შეარჩიონ სასურველი ეპიზოდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“. მასწავლებელს თავადაც უნდა ჰქონდეს შერჩეული კომიქსის შესაქმნელად მიზანშეწონილი ეპიზოდები, იმ შემთხვევისათვის, თუ ბავშვებს გაუჭირდებათ ამ დავალების შესრულება.

სამუშაო რესურსი 2. შერჩეულ ეპიზოდზე მუშაობა სქემის გამოყენებით.

წიგნის დიზაინი	შესაბამისობა ტექსტთან (აღწერა)	ფრაზები ტექსტიდან
შესავალი ნაწილი		
დანაწევრებული ტექსტი (კადრები)	1.	
	2.	
	3.	
დასასრული		
ილუსტრაციების აღწერა თითოეული კადრისათვის		
ტექსტები თითოეული ილუსტრაციის შესაბამისი		
წიგნის ყდა		

აქტივობა 5. კომიქსის პირველადი ვერსიის შემუშავება.

- ✓ **მოძიებული/შეგროვებული ინფორმაციის დახარისხება, შეჯერება და გამთლიანება.**
- ✓ **კომიქსისათვის სათანადო სტილის შერჩევა;**
- ✓ **პირველადი ვერსიის მომზადება.**

სამუშაო რესურსი 7. თვითშეფასების სქემა

კომიქსი	არის	გასაუმჯობესებელია
სტრუქტურულად გამართულია.		
შერჩეულია კომიქსისათვის საჭირო ვერბალური და ვიზუალური მასალა.		
კომიქსის ტექსტი შესაბამისია ნაწარმოების შესაბამისი ეპიზოდის.		
იყენებს აგებულებისა და მოდალობის მიხედვით სხვადასხვა ტიპის წინადადებებს.		
შეარჩეულია კომიქსისათვის მისაღები მარტივი ლექსიკა და სტილი, შეუძლია მკითხველზე ზემოქმედების მოხდენა.		
დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.		
კომიქსში წარმოდგენილია თემატური, მკითხველისათვის მიმზიდველი ილუსტრაციები.		

აქტივობა. 8. საბოლოო ვერსიის შემუშავება და წარდგენა.

შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკა (სამიზნე ცნების ინდიკატორების გათვალისწინებით)

სამიზნე ცნება	შეფასების ინდიკატორები (სტანდარტი)	მოლოდინები (შეფასების რუბრიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით) მოსწავლეს შეუძლია:
ენის სისტემა (შედეგი 1)	• სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/ დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	• კომიქსის შედგენისას • შესაბამისი გრამატიკული კონსტრუქციების მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • კომიქსის ტექსტისათვის დამახასიათებელი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

შემაჯამებელი დავალების ნიმუში

შემაჯამებელი დავალება ქართულ ენაში N

სკოლა: _____

კლასი: _____

მოსწავლე: _____

თარიღი: _____

ქართული ენის შემაჯამებელი დავალება შედგება რამდენიმე განსხვავებული ტიპის დავალებისაგან: **I. სასვენ ნიშანთა მართლწერა შერწყმულ წინადადებაში; II. დიალოგის შექმნა სხვადასხვა შინაარსისა და აგებულების წინადადებების გამოყენებით; III. 1-აბზაციანი ტექსტის შექმნა სხვადასხვა ტიპის შერწყმული წინადადებების მეშვეობით.**
თითოეულ დავალებას ახლავს მკაფიო მითითება. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული დავალებები, გაითვალისწინეთ თითოეული დავალების პირობა და პასუხები ისე გაეცით. თითოეული დავალება ფასდება განსხვავებული ქულით, დავალების შეფასების მაქსიმალური ქულა ნუმერაციის წინ ფრჩხილებშია მოცემული.
გისურვებთ წარმატებას!

(3)1. ყურადღებით წაიკითხეთ შერწყმულ წინადადებაში სასვენ ნიშანთა ხმარების წესთან დაკავშირებული წესები:

ა) განსაზღვრეთ, დებულება სწორადაა ჩამოყალიბებული, მცდარია, თუ არასაკმარისი ინფორმაციაა;

ბ) ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ შექმენით მცირე სამახსოვრო შერწყმული წინადადების დაწერილობასთან დაკავშირებულ პუნქტუაციის წესებზე.

N	დებულება	ჭეშმარიტია	მცდარია	ინფორმაცია არასრულყოფილია
1	შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებს შორის მძიმე ან „და“ კავშირი იწერება.			
2	თუ ერთგვარ წევრებს წინ უძღვის განმაზოგადებელი სიტყვა, ერთგვარი წევრების წინ ორწერტილი იწერება.			
3	თუ ერთგვარ წევრებს მოსდევს განმაზოგადებელი სიტყვა, ერთგვარ წევრებს შორის მძიმე იწერება, მათ წინ კი - ტირე.			
4	შეუძლებელია შერწყმულ წინადადებაში ერთდროულად მძიმისა და „და” კავშირის გამოყენება.			

სამახსოვრო:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

(4) 2. შექმენით დიალოგი მოდალობისა და აგებულების მიხედვით განსხვავებული ტიპის წინადადებების გამოყენებით.

(მაგალითად, წარმოსახვითი ინტერვიუ მიმდინარე სასწავლო წელს ლიტერატურის გაკვეთილზე შესწავლილი ნაწარმოებების ავტორებთან)

- დაუსვით 4 შეკითხვა რომელიმე ავტორს და მოიფიქრეთ სავარაუდო პასუხებიც;
- დიალოგში შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ შინაარსისა და აგებულების მიხედვით ყველა ტიპის წინადადება.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

(3) 3. შექმენით 1-აბზაციანი აღწერითი ტექსტი თქვენთვის მიმზიდველ თემაზე (მაგალითად: მუზეუმში, სტადიონზე, გასართობ ცენტრში, თეატრში, სოფელში...), რომელშიც გამოიყენებთ სხვადასხვა ტიპის შერწყმულ წინადადებას.

გაითვალისწინეთ, რომ ტექსტი უნდა იყოს მთლიანი და წინადადებები ერთმანეთთან ლოგიკურად და თანმიმდევრულად დაკავშირებული.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება	შეფასების ინდიკატორები (სტანდარტი)	დავალების ტიპი	დავალების შეფასების კრიტერიუმი, მოსწავლეს შეუძლია:	ქულა
ენის სისტემა (შედგი 1)	• სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;	1. (ა) სასვენ ნიშანთა მართლწერა შერწყმულ წინადადებაში	უმეტესწილად არასწორად ამოიცნობს სქემაში მოცემული დებულებების მართებულობას.	0 ქულა
			უმეტესწილად სწორად ამოიცნობს სქემაში მოცემული დებულებების მართებულობას.	1 ქულა
			სწორად ამოიცნობს სქემაში მოცემული დებულებების მართებულობას.	2 ქულა
		1. (ბ) სასვენ ნიშანთა მართლწერა	გაანალიზების შედეგად გამოტანილ დასკვნები არასწორია, ან/და არამიზნობრივადაა გამოყენებული მცირე სამახსოვროს შესაქმნელად.	0 ქულა

სამიზნე ცნება	შეფასების ინდიკატორები (სტანდარტი)	დავალების ტიპი	დავალების შეფასების კრიტერიუმი, მოსწავლეს შეუძლია:	ქულა
ენის სისტემა (შედეგი1)	• სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	2. დიალოგის შექმნა სხვადასხვა შინაარსისა და აგებულების წინადადებების გამოყენებით;	იყენებს შინაარსის მიხედვით მხოლოდ ერთი ტიპის წინადადებას.	0 ქულა
			იყენებს თითქმის ყველა მოდალობის წინადადებას.	1 ქულა
			სუმეტესწილად არ ან უმართებულოდ სვამს სასვენ ნიშნებს სხვადასხვა მოდალობის წინადადებათა ბოლოს.	0 ქულა
			მართებულად სვამს სასვენ ნიშნებს სხვადასხვა მოდალობის წინადადებათა ბოლოს.	1 ქულა
			არ იყენებს აგებულების მიხედვით განსხვავებული ტიპის წინადადებას.	0 ქულა
			იყენებს აგებულების მიხედვით ყველა ტიპის წინადადებას.	1 ქულა
			უმეტესწილად არ იცავს აგებულების მიხედვით სხვადასხვა ტიპის წინადადებასთან დაკავშირებულ მართლწერისა და პუნქტუაციის წესებს.	0 ქულა
			იცავს აგებულების მიხედვით სხვადასხვა ტიპის წინადადებასთან დაკავშირებულ მართლწერისა და პუნქტუაციის წესებს.	1 ქულა
		1-აბზაციანი ტექსტის შექმნა სხვადასხვა ტიპის შერწყმული წინადადებების მეშვეობით.	შერჩეულ თემაზე შექმნილ ტექსტში იყენებს მხოლოდ 1-2 ტიპის შერწყმულ წინადადებას.	0 ქულა
			შერჩეულ თემაზე შექმნილ ტექსტში იყენებს ყველა ტიპის შერწყმულ წინადადებას.	1 ქულა
			არ არის დაცული შერწყმულ წინადადებასთან დაკავშირებული პუნქტუაციის წესები.	0 ქულა
			დაცულია შერწყმულ წინადადებასთან დაკავშირებული პუნქტუაციის წესები.	1 ქულა
			ტექსტში წინადადებები ვერ უკავშირდება ერთმანეთს ლოგიკური თანმიმდევრობით და ვერ ქმნის აბზაცს.	0 ქულა
			ტექსტში წინადადებები ლოგიკური თანმიმდევრობითაა ერთმანეთთან დაკავშირებული.	1 ქულა
	საბოლოო შეფასება			10 ქულა

მოსწავლის პროგრესის შეფასების რუბრიკა

ა	ბ	გ
მოსწავლის ნამუშევარი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმის/ კრიტერიუმების მოთხოვნებს სრულად უპასუხებს. მიცემულ დავალებებს ასრულებს დამოუკიდებლად, სრულყოფილად ითვალისწინებს დავალების შეფასების თითქმის ყველა კრიტერიუმს.	მოსწავლის ნამუშევარი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმის/ კრიტერიუმების მოთხოვნებს ნაწილობრივ უპასუხებს. მიცემული დავალებების შესრულებისას საჭიროებს მცირე დახმარებას (მიზნობრივი შეკითხვები, დამატებითი განმარტებები დავალების შეფასების ზოგიერთ კრიტერიუმზე).	მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკით გათვალისწინებული კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნები უმეტესწილად დასაძლევია. საჭიროებს დიფერენცირებულ, მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ დახმარებასა და დამატებით რეკომენდაციებს.

I თემა - სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები					
შუალედური მიზანი: წერითი ნამუშევრის შექმნა ძველ ქართულში საკუთარი სახელების გამოყენებასთან დაკავშირებით.					
სამიზნე ცნება და მისი მოცულობა	**შეფასების კრიტერიუმები**	**მიღწევის დონე**			**სიტყვიერი კომენტარი**
		ა	**ბ**	**გ**	
ცნება - ენის სისტემა - ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ - სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები; ქართული ანბანი და მისი სახეები.	• სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • ენობრივ- სტილისტიკური საშუალებების ამოცნობა და მათი მნიშვნელობის გააზრება, მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.				

შუალედური მიზანი: წერითი ნამუშევრის შექმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი თავისებურებების შესახებ.					
სამიზნე ცნება და მისი მოცულობა	**შეფასების კრიტერიუმები**	**მიღწევის დონე**			**სიტყვიერი კომენტარი**
		ა	**ბ**	**გ**	
სამიზნე ცნება - ენის სისტემა ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ - სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები; **მართლწერის საკითხები - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენისა და მართლმეტყველების ნორმები, პუნქტუაციის წესები.**	1.1. სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; 1.3. მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; 1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.				

II თემა - წინადადება აგებულების მიხედვით					
შუალედური მიზანი: მცირე ცნობარის შედგენა აგებულების მიხედვით განსხვავებული წინადადებების გამოყენებით.					
სამიზნე ცნება და მისი მოცულობა	**შეფასების კრიტერიუმები**	**მიღწევის დონე**			**სიტყვიერი კომენტარი**
		ა	**ბ**	**გ**	
სინტაქსი - წინადადება მოდალობის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვა-ძახილის, ბრძანებითი); წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; მართლწერის საკითხები - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენისა და მართლმეტყველების ნორმები, პუნქტუაციის წესები.	მოსწავლეს შეუძლია: 1.2. სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; 1.3. მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; 1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.				

შუალედური მიზანი:კომიქსის შექმნა სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით.					
სამიზნე ცნება და მისი მოცულობა	**შეფასების კრიტერიუმები**	**მიღწევის დონე**	**სიტყვიერი კომენტარი**		**სიტყვიერი კომენტარი**
		ა	**ბ**	**გ**	
სინტაქსი - წინადადება მოდალობის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვა-ძახილის, ბრძანებითი); წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; მართლწერის საკითხები - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენისა და მართლმეტყველების ნორმები, პუნქტუაციის წესები.	მოსწავლეს შეუძლია: 1.2. სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; 1.3. მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; 1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.				

ნიმუში

თემა I. სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები											
შუალედური მიზანი: წერითი ნამუშევრის შექმნა ძველ ქართულში საკუთარი სახელების გამოყენებასთან დაკავშირებით.											
სამიზნე ცნება და მისი მოცულობა		**სამიზნე ცნება - ენის სისტემა.** ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ - სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები; ქართული ანბანი და მისი სახეები.									
#	**გვარი, სახელი**	**შეფასების კრიტერიუმი (ინდიკატორები სტანდარტიდან)**									
		სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად			**ენობრივ-სტილისტიკური საშუალებების ამოცნობა და მათი მნიშვნელობის გააზრება, მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება**			**მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.**			**სიტყვიერი კომენტარი**
		ა	**ბ**	**გ**	**ა**	**ბ**	**გ**	**ა**	**ბ**	**გ**	
1											
2											
3											
4											
5											
6											
7											
8											
9											
10											
11											
12											
13											
14											
15											
16											
17											
18											
19											
20											
21											
22											
23											
24											
25											

მასწავლებლის წიგნში მოცემული დამატებითი აქტივობების, ტესტებისა და სავარჯიშოების პასუხები

§ 6. აქტივობა 2.

...[ჰე], ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა;
ერთგულთათვის კარგი ... [ნუ] გშურს, ორგული... [-მცა] შენი კვდების
... [ვერ] დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერ... [-ცა] კლდოვანი
რაც ... [არა] გწადდეს იგი ქმენ, ... [ნუ] სდევ წადილთა ნებასა
შიში ... [ვერ] იხსნის სიკვდილსა,ცუდნი... [-ღა] დაღრეჯანია
კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ ... [თურე] ... [არ] წახდების.“
დიდთა და წვრილთა წყალობა შენ... [-მცა] ... [ნუ] მოგეწყინების!

მე-2 თავი, §3,4, აქტივობა 1. შესაბამისობა

მოსწავლე - კლასი
მოცეკვავე - ანსამბლი
მინისტრი - მთავრობა
მასწავლებელი - პედსაბჭო
მსახიობი - დასი
მეცნიერი -აკადემია
სპორტსმენი - კლუბი
პარლამენტარი - პარლამენტი
მომღერალი - ჯგუფი
ბებია - ოჯახი

აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება და სასტარტო მდგომარეობის შემოწმება პრე-ტესტის გამოყენებით.

1. - ბ
2. - დ
3. - გ
4. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.“
   „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.“

რომელი წევრია	მთავარი წევრები	არამთავარი წევრები	რომელი წევრია
ზმნა-შემასმენელი	სჯობს	ნაზრახი	განსაზღვრება
ირიბი ობიექტი	სიცოცხლესა	სახელოვანი	განსაზღვრება
სუბიექტი	სიკვდილი		
პირდაპირი ობიექტი	გველსა	ხვრელით	გარემოება
ზმნა-შემასმენელი	ამოიყვანს	ტკბილად	გარემოება
სუბიექტი	ენა	მოუბარი	განსაზღვრება

5. - ბ
6. - ბ
7. - ბ

8. - გ

9. დააკვირდით მოცემულ აფორიზმებს და განსაზღვრეთ: რომელია მთავარი წევრი, რომელი - არამთავარი და რომელი - არაწევრი სიტყვა:

1. „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“;
2. „ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი“;
3. „არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა”.

N	მთავარი წევრი	არამთავარი წევრი	არაწევრი სიტყვა
1	კაცი	ბრძენი	ვერ
	გასწირავს	მოყვარულსა	
	მოყვარესა		
2	იამებს	გარდუხდელი	ვერ
	კაცი		
	ლხინთა		
3	შეუდრკების	კარგი	არ
	ჭაბუკი	მახვილთა	
	კვეთასა	ყოლა	

10. მოცემულ აფორიზმში განსაზღვრეთ რომელი სიტყვა წინადადების რომელი წევრია და ჩაწერეთ შესაბამის უჯრაში.

პურად	ავი	მასპინძელი	მოგვეგებვი	ომად	წინა
გარემოება	განსაზღვრება	სუბიექტი	ზმნა-შემასმენელი	გარემოება	გარემოება

§ 5. განსაზღვრებისა და მისი სახეები


აქტივობა 7. ახლად შესწავლილი საკითხის შემოწმება ტესტის გამოყენებით.

1. - დ
2. - ა
3. - გ

როგორი?	რომელი?	რანაირი?	რამდენი?	როდინდელი?	ვისი?	რისა?
ჭრელის	მეორე	ძველებური	თითო	კარგა ხნის	ოთარაანთ	სახლის
დიდი	ამ		ერთი	ძველი		დარბაზის
ლურჯის						
შეძლებული						

5. - ბ
6. - ბ
7. - ბ
8. - გ
9. - ა
10. სუბსტანტიური მსაზღვრელი - ასწით კავკასიის ფარდა;
გათიშული მსაზღვრელი - შლა წიგნების მიყვარს ძველის;
უკანმდგომი მსაზღვრელი - გზა მიხვეულ-მოხვეული;
განსაზღვრების განსაზღვრება - შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.

აქტივობა 8. თავსატეხი.



აქტივობა 7. ე.წ. Blackout პოეზიის ნიმუში

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „მონა"

შავი შტრიხებით წაშალეთ სიტყვების/წინადადებების ნაწილი და დარჩენილი სიტყვები/ფრაზები/წინადადებები აზრობრივად დააკავშირეთ ერთმანეთთან.

ჯვარედინ გზაზე ისმის:

- გასწორდი წელში; ასწიე მაღლა, ამაყათ თავი; მოიღერე კისერი; თავისუფლება მიეც გულ-მკერდს - ჰსუნთქე მსუბუქი ჰაერი; ნუ ჩამოგიშვია ცხვირი; დაიჭირე მზის სხივები, მიაპყარ სმენა გალობას, დასტკბი ვარდთა ჰნოსვით!
- მე მონა ვარ!..
- რა ვუყოთ! იბრძოლე! განთავისფულდები...
- მე სუსტი ვარ...
- თავისუფლების სიყვარული მოგცემს მოსეს კვერთხს და დავითის შურდულს...
- არ მაქვს იმედი...
- არაფერია, ბრძოლაში იმედიც იბადება.
- მეშინია უარესის...
- მონაბაზე უარესი რაღა იქნება?

- სიკვდილი... შიმშილი..
- მონა ხარ მართლაც, ჭეშმარიტად მონა... ნაკლებად საცოდავი, ვიდრე საზიზღარი.

გზაზე ისმის:
- ასწიე ამაყათ თავი; თავისუფლება მიეც გულ-მკერდს. იბრძოლე! განთავისფულდები... სიყვარული მოგცემს კვერთხს... მაქვს იმედი...
- არაფერია სიკვდილი...
ჭეშმარიტად!

აქტივობა 7. სასვენი ნიშნები შერწყმულ წინადადებაში.

წინადადება	სწორია	არასწორია	ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე
ნეტართა შორის გამობრწყინდა: მადლით სავსე, სიბრძნით სრულქმნილი, დიდი მღვდელი და საქმის კარგად განმგებელი, მოღვაწე და დაუსახლებელ ადგილებში მონასტრების აღმშენებელი.		X	არასწორია, რადგან ერთგვარ წევრებს არ უძღვის განმაზოგადებელი სიტყვა მათ წინ სასვენი ნიშანი არ იწერება.
მათ არ გააჩნდათ ცული, წერაქვი, არც სხვა სამუშაო იარა¬ღები	X		სწორია, რადგან ერთგვარ წევრებს არ უძღვის განმაზოგადებელი სიტყვა და მათ წინ სასვენი ნიშანიც არაა საჭირო.
ამ კეთილი განზრახვის აღსასრუ¬ლებლად ნახა მოკეთეები: საბა, დედამისის დისშვილი, თეოდორე, ნეძვის მაშენებელი და წინამ-ძღვარი და ქრისტეფორე, კვირიკეთის მაშენებელი და წი¬ნამძღვარი.	X		სწორია, რადგან ერთგვარ წევრებს წინ უძღვის განმაზოგადებელი სიტყვა „მოკეთეები” და მის შემდეგ ორწერტილი იწერება.
სანატრელი გრიგოლი ... აღმშენებელი ხანძთისა და შატბერდისა - ამ ორი დიდებული მონასტრის.	X		სწორია, რადგან თუ ერთგვარ წევრებს მოსდევს განმაზოგადებელი სიტყვა, მის წინ ტირე იწერება.
ხანძთის მონასტერს ყველა საჭირო ნივთი უბოძეს კურაპალატის შვილებმა ადარნერსემ, ბაგრატმა და გუარამმა		X	არასწორია, რადგან ერთგვარ წევრებს ახლავს განმაზოგადებელი სიტყვა „შვილებმა“, რომლის შემდეგაც ორწერტილი იწერება.
კლარჯეთის მეუდაბნოეებმა, მამებმა და ეკლესიის სამწყსომ - ყველამ არაერთხელ ამხილა უკეთური ცქირის ბოროტი საქციელი.	X		სწორია, რადგან თუ ერთგვარ წევრებს მოსდევს განმაზოგადებელი სიტყვა, მის წინ ტირე იწერება.
კლარჯეთში, ტაოში, შავშეთსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ცოტა ადამიანი დასახლებულიყო აქა-იქ ტყეებში.	X		სწორია, რადგან ამ წინადადებაში არ გვაქვს განმაზოგადებელი სიტყვა და ერთგვარი წევრების შემდეგ არ სჭირდება სასვენი ნიშანი.

აქტივობა 2. ტექსტის ტიპის განსაზღვრა.

ტექსტის ტიპი	მარტივი	შერწყმული	რთული
მხატვრულ ნაწარმოებებში აღწერითი ტექსტის შესაქმნელად		X	
ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში	X		
რეკლამებში, სლოგანებსა და პიარ-ტექსტებში	X		
სამეცნიერო, აკადემიურ ტექსტებში კლასიფიკაციების, თვისებებისა და ფაქტების ჩამოსათვლელად		X	
ესეისტიკაში, როდესაც ავტორი ცდილობს მკითხველი რამეში დაარწმუნოს			X
კანონებში, ბრძანებებში, ხელშეკრულებებში მოვალეობებისა თუ აკრძალვების ჩამონათვლის დასაფიქსირებლად;		X	
აკადემიურ, სამეცნიერო და ანალიტიკურ ტექსტებში არგუმენტირებული მსჯელობისას;			X
საბავშვო ლიტერატურაში	X		

1. - ბ
2. - ბ
3. - ა
4. - ბ
5. - გ
6. - ბ
7. - გ
8. - ბ

წინადადება	B.
V. წმიდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ!	ა) თხოვნა ბ) ბრძანება გ) ემოცია
VI. წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩვენსა!	
VII. ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს	
VIII. ნუ სწყევ მას, არამედ შეუნდვენ დიდნი ბრალნი მისნი!	

I	II	III	IV
ა	ბ	გ	ა

10. იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების” წარმოდგენილი ფრაგმენტიდან ამოიწერეთ წინადადებები შინაარსის ჯგუფების მიხედვით.

წინადადების ტიპი შინაარსის მიხედვით	ფრაზა ტექსტიდან
თხრობითი	არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათნოებათა შენთაჲ.
კითხვითი	და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტჱსმიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავ-ღა სოფელსა ამას შინა ჩუენსა.
ბრძანებითი	აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ, ჭეშმარიტად საქებელსა?
	აწ ნუუკუე დაყენებითა ენისა ჩემისაჲთა ქებასა შენსა დაეყენოს ჩემთჳსცა მოღუაწებაჲ მეოხებისა შენისაჲ ქრისტჱს მიმართ!

შემაჯამებელი დავალების ნიმუში

3) 1. ყურადღებით წაიკითხეთ შერწყმულ წინადადებაში სასვენ ნიშანთა ხმარების წესთან დაკავშირებული წესები:

ა) განსაზღვრეთ, დებულება სწორადაა ჩამოყალიბებული, მცდარია თუ არასაკმარისი ინფორმაციაა;

ბ) ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ შექმენით მცირე სამახსოვრო შერწყმული წინადადების დაწერილობასთან დაკავშირებულ პუნქტუაციის წესებზე.

N	დებულება	ჭეშმარიტია	მცდარია	ინფორმაცია არასრულყოფილია
1	შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებს შორის მძიმე ან „და“ კავშირი იწერება	X		
2	თუ ერთგვარ წევრებს წინ უძღვის განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარი წევრების წინ ორწერტილი იწერება			X
3	თუ ერთგვარ წევრებს მოსდევს განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარი წევრებს შორის მძიმე იწერება, მათ წინ კი - ტირე.	X		
4	შეუძლებელია შერწყმულ წინადადებაში ერთდროულად მძიმისა და „და” კავშირის გამოყენება.		X	

1. **შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებს შორის მძიმე ან „და“ კავშირი იწერება;**
2. **თუ ერთგვარ წევრებს წინ უძღვის განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარი წევრების წინ ორწერტილი იწერება, ერთგვარწევრებს შორის კი - მძიმე;**
3. **თუ ერთგვარ წევრებს მოსდევს განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარი წევრებს შორის მძიმე იწერება, მათ წინ კი - ტირე.**
4. **თუ შერწყმულ წინადადებაში ორზე მეტი ერთგვარი წევრია, ჩვეულებისამებრ, ერთდროულად მძიმე და „და” კავშირი გამოიყენება.**

მოსწავლის წიგნში მოცემული დავალებების სწორი პასუხები

თავი 1. ძველი ქართული

1. როგორ მეტყველებდნენ ძველი ქართველები

დავალება 1. („შუშანიკის წამება“)

უ ხმოვანი	უ ნახევარხმოვანი
ასული ხუცესი მწუხარებითა სარწმუნოებასა სულგრძელ გეგულების უწყოდი მიუგე რამეთუ უმჯობეს	სიყუარულით ჩუენდა ღუაწლსა მრქუა გუხედევდ ხუაშიადადრე სიკუდილი სიტყუასა

დავალება 2.

ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძჳ დაეფინა და თჳთ ფერჴნი დაიდგნის ძეძუსა ზედა. სიმტკიცჱ ღმრთისაჲ და კეთილი მაცნჱ საღმრთოჲსა საიდუმლოჲსა მოიჴსენე დღჱ იგი შაბათი და წმიდა-ჰყავ იგი... ექუს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმჱ შენი, ხოლო დღჱ იგი მეშჳდჱ, შაბათი... დედაკაცი რომელსა ემოსა მზჱ და მთვარჱ იყო ქუეშე ფერჴთა მისთა და თავსა მისსა გჳრგჳნი ვარსკულავთაჲ. და იყო იგი მოწრაფჱ კითხვასა წიგნთა სულიერთასა და ასუმიდა სულსა თჳსსა წყალთა მათგან სულისა წმიდისა განმაცხოველებელისათა... და თქუმულისაებრ წინასწარმეტყუელისა იყო იგი, ვითარცა ხჱ დანერგული თანა-წარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცეს ხილი თჳსი ჟამსა თჳსსა... დაღათუ არნ იგი და დამაშურალ და საჴმარ რაჲმე არნ მსახურებაჲ არავე დაეყენის მისგან და ჟამსა ლოცვისასა უწინარჱს ყოვლისა შევიდის ეკლესიად. და ესრჱთ აღესრულებოდა მას ზედა ნეშტი იგი სიტყჳსაჲ მის, რომელმან გამოსცეს ხილი მისი ჟამსა თჳსსა. და რასა უკუე იტყოდა, არამედ ამას: დიდმე არსა ჩუენდა, რომელთა ესე დაგჳმკჳდრებიეს ბუნებრივი სიმდაბლჱ მიწისა ჩუენისა.

დავალება 3.

1. ხანმეტი ფორმები: ხიჯმნა (სუბ.), მოხიწია (სუბ.), ხაუწყოს (ობ.), წინამოხეგებნენ (ობ.), წარმოხმართა (ობ.), ხრქჳან (ობ.).

2. და რაჟამს შემწუხრდა, მოხუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაჲ, რაჲთამცა მოხიყვანეს წმიდაჲ შუშანიკცა. და ვითარცა მოხიწია ჟამი პურისაჲ, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა ხაჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს. და ვითარცა მეტად ხაიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოჲ არარაჲსაჲ იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიხართუა ღჳნოჲ ჭიქითა და ხაიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა. ხრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ და განყარა ჴელი და ჭიქაჲ იგი პირსა შეხალეწა და ღჳნოჲ იგი დახითხია.

2. წრფელობითი ბრუნვა და საკუთარი სახელების თავისებური ბრუნება ძველ ქართულში

დავალება 1.

წრფ.	გრიგოლ	დავით	ხუცეს	იაკობ	ვარსქენ	პიტიახშ
სახ.	გრიგოლ	დავით	ხუცეს-ი	იაკობ	ვარსქენ	პიტიახშ-ი
მოთ.	გრიგოლ	დავით	ხუცეს-მან	იაკობ	ვარსქენ	პიტიახშ-მან
მიც.	გრიგოლ-ს	დავით-ს	ხუცეს-სა	იაკობ-ს	ვარსქენ-ს	პიტიახშ-სა
ნათ.	გრიგოლ-ის(ი)	დავით-ის(ი)	ხუცეს-ისა	იაკობ-ისი	ვარსქენ-ისი	პიტიახშ-ისა
მოქ.	გრიგოლ-ით[ურთ]	დავით-ით[ურთ]	ხუცეს-ითა	აკობ-ით[ურთ]	ვარსქენ[ით]	პიტიახშ-ით[ურთ]
ვით.	გრიგოლ-ად[მდე]	დავით-ად[მდე]	ხუცეს-ად	იაკობ-ად[მდე]	ვარსქენ [ად]	პიტიახშ-ად[მდე]
წოდ.	გრიგოლ	დავით	ხუცეს-ო	იაკობ	ვარსქენ	პიტიახშ-ო

დავალება 2.

წარემართა ვარსქენ (სახ.) პიტიახში; ძჱ არშუშაჲსი (ნათ.); ასული ვარდანისი (ნათ.); ვარდან (წრფ.); შუშანიკ (წრფ.); ვარსქენისი (ნათ.); ჰრქჳან ცურტავ (წრფ.); სანატრელმან შუშანიკ (მოთ.); წმიდაჲ შუშანიკ აფუცებდა (სახ.); ვარსქენ უვარ-ყო (მოთ.); შუშანიკს (მიც.); უბადრუკი ვარსქენ (სახ.); სახელი ერქუა აფოც (სახ.); იყო ნეტარი შუშანიკ (სახ.); წმიდამან შუშანიკ მრქუა (მოთ.); პავლჱს (ნათ.); მოვიდა ვარსქენ პიტიახში (სახ.) და სხვ.

3. ზმნის უღლების სირთულეები ძველ ქართულში

დავალება 1.

აწმყოს ხოლმეობითი: უცნ, წარუგდებიედ, ისმენნ, ილოცავნ, ფსალმუნებნ, აშინებედ, ეტყჳედ, იკითხავნ, იმარხავნ, განსთქუმედ, განიყოფედ.

მე-2 ხოლმეობითი: დაჯდის, დაიძინის, მიიღის, იხილის, მიდვის, დაიდვის, მოიკლის, მოიპარიან, პატივ-სციან, შეიტყუვნიან.

დავალება 2.

მაგალითად, „აბო თბილელის წამების“ მიხედვით:

1-ლი ბრძანებითი, მე-2 პირი: აღდეგ, ვიდოდე, დაიმარხეთ, ჰყოფდით.

მე-2 ბრძანებითი, 1-ლი პირი: განმინათლე, გამომიბრწყინვე, მეცით, შემიწყალე,

მე-2 ბრძანებითი, მე-2 პირი: 1. წარვედ, უქადაგე, აჩუენე, ყავ, მოიქეცინ, დაიცვენ, მივედ, ევედრენით, მომართუ, იყავნ, დამიცევ, მოგიტევენინ, მიემსგავსე, ყავ.

მე-2 ბრძანებითი, მე-3 პირი: დაგიცვენინ.

4. ძველ ქართულს მყოფადის მწკრივი არა აქვს!

დავალება 1.

მაგალითად, აწმყოს გამოხატავს „შუშანიკის წამების“ ფრაზები: „რაჲსა მკითხავ ამას?“ „და მე გეტყჳ შენ...“ „ვითარ მეტყჳ მე დაჯერებად ჩემდა?“ „ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადედოფლოსა!“ „შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ“. „მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა“. „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?!“ „რამეთუ შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, რამეთუ არარას მიიღებს საზრდელსა.“

დავალება 2.

1. მისცემთ (აწმ.); დაუგებთ (აწმ.); 2. აღადგინებს (აწმ.); 3. განჰკურნო, განგამდიდრო, გყო მკჳდრ (მყოფ.); 4. ეტყჳ (აწმ.); აღმოგიღო (მყოფ.); 5. შეიწყნარებს (აწმ.); 6. წარგიყვანო, აღგაორძინო, განგამრავლო (მყოფ.); 7. განიმართლებთ (აწმ.); 8. შევემთხჳო, განვერე (მყოფ.); 9. იტყჳს, ეტყჳან (აწმ.); 10. დაეცნენ, დაშთეს (მყოფ.); 11. აღიხილვენ, განწმდებიან, აღდგებიან, ეხარების (აწმ.); 12. ედგას, შთავარდეს (მყოფ.); 13. ეკიცხევდენ, ჰნერწყუვიდენ, სტანჯვიდენ, მოკლან, აღდგეს (მყოფ.).14. და ჰპოო (მუოფ.) ვიყო (მყოფ.); 15. იყოს (მყოფ),

სძლო (მყოფ), წარემართოს (მყოფ.), ვიყო (მყოფ.), დაგიტეო (მყოფ.); 16. - შემო-რაჲ-ვიქცე (მყოფ.), ვიძიო (მყოფ.); 17. დაუტეობს (აწმ.), მივალს (აწმ.); 18. მოვაქცინე (მყოფ.); 19. შე-გაგდოს (მყოფ.); 20. მოავლინნეს (მყოფ.), წარგიყვანოს (მყოფ.); 21. შემკრას (მყოფ.), მით-რიოს (მყოფ.), იყოს (მყოფ.); 22. მოგბანო (მყოფ.), დაგდვა (მყოფ), განიკურნო (მყოფ.); 23. იპოოს (მყოფ.), შეიმკოს (მყოფ); 24. მიბრძანოს (მყოფ.), აღვაშენო (მყოფ.) 25. წარიწყმიდოს (მყოფ.), პოოს (მყოფ.).

დავალება 3.

მაგალითად, მყოფადის შინაარსით უნდა გავიგოთ „შუშანიკის წამებისა“ და „აბოს წამე-ბის“ ფრაზები: „იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა სჯულსა...“ „გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ“; „უკუეთუ არა, თრევით მოგითრიო!“ „აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ“; „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და სალბუნი და წამალი დაგდვა...“ „და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო...“ მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“; „რაჟამს დაღამდეს, მოვედ შენ მარტოჲ!“ „რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“; „ამიერითგან არღარა ვიცხო განქარვებადი ესე... ზეთი“; „რამეთუ არღარა მიხილოთ მე საწუთროსა ამას სოფელსა!“ „უკუეთუ მოვკუდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტჱს თანა ვცხონდე“ და მისთ.

5. ყველაზე რთული ცვლილებები პირველი სერიის მწკრივთა წარმოებაში (-ავ და -ამ სუ-ფიქსიანი ზმნები)

დავალება 1.

1. შესწირვიდა (უწყვ.); 2. მკითხავ (აწმ.); 3. ილოცვიდა (უწყვ.); 4. შესწირვიდა (უწყვ.); 5. განვიზრახევდით (უწყვ.); 6. ჰკითხვიდა (უწყვ.); 7. მოგიკითხავ (აწმ.); 8. ჰბაძევდ (1-ლი ბრძ.); 9. გლოცავ (აწმ.); 10. იმარხავნ, ილოცავნ (აწმ. ხოლმ.); 11. იკითხავნ, ისწავებნ (აწმ. ხოლმ.); 12. ბრწყინევდინ (1-ლი ბრძ.); 13. განიწირავ (აწმ.); 14. იმარხავს (აწმ.); 15. ვხედავ (აწმ.); 16. ჰხედვიდეს (უწყვ.); 17. მიითუალვიდა (უწყვ.), განსთქუმედ (აწმ. ხოლმ.).

დავალება 2.

უწყვეტელი:

პირი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	შე-ვ-ს-წირ-ევ-დ	შე-ვ-ს-წირ-ევ-დ-ი-თ
2	შე-ს-წირ-ევ-დ	შე-ს-წირ-ევ-დ-ი-თ
3	**შე-ს-წირ-ვი-დ-ა**	შე-ს-წირ-ვი-დ-ეს

პირი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	ვ-ილოც-ევ-დ	ვ-ილოც-ევ-დ-ი-თ
2	ილოც-ევ-დ	ილოც-ევ-დ-ით
3	**ილოც-ვი-დ-ა**	ილოც-ვი-დ-ეს

პირი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	გან-ვ-იზრახ-ევ-დ	**გან-ვ-იზრახ-ევ-დ-ი-თ**
2	გან-იზრახ-ევ-დ	გან-იზრახ-ევ-დ-ი-თ
3	გან-იზრახ-ვი-დ-ა	გან-იზრახ-ვი-დ-ეს

აწმყოს ხოლმეობითი:

პირი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	- - - - - - -	- - - - - - - -
2	- - - - - - -	- - - - - - - -
3	**იკითხ-ავ-ნ**	იკითხ-ვ-ედ

პირი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	- - - - - - -	- - - - - - - -
2	- - - - - - -	- - - - - - - -
3	გა-ს-თქუ-ამ-ნ	**გან-ს-თქუ-მ-ედ**

პირი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1	გან-ვ-იწირ-ავ	გან-ვ-იწირ-ავ-თ
2	**გან-იწირ-ავ**	გან-იწირ-ავ-თ
3	გან-იწირ-ავ-ს	გან-იწირ-ვ-ენ

1-ლი ბრძანებითი:

დავალება 1.

მაგალითად:

„მტკიცედ სდგაა?“ (შუშან.); „არა მისი განზრდილი ხარა?“ (შუშან.); მიუძღუანოა სამკაული ესე მისი?“ (შუშან.); „უწყია, ხუცეს?“ (შუშან.); „არა გიცნობიესა?“ (აბო); „აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ?.. ვითარ-მე გაქებდე შენ?“ (აბო); სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავლით-მე ანუ დასავლით?“ (ხანძთ.); უწყი-მეა, დედაო, რაჲსათჳს მოვედ აწ? (ხანძთ.) და მისთ.

დავალება 2.

ტექსტში არის	პარალელური ვარიანტი
1. რაჲთა მოკლან	რაჲთამცა მოკლეს
2. უკუეთუ შევიდეს	უკუეთუმცა შევიდა
3. რაჲთამცა ბრძანა განტევებაჲ	რაჲთა ბრძანოს განტევებაჲ
4. რაჲთამცა სათნო-ეყო	რაჲთა სათნო-ეყოს
5. რაჲთამცა ცვალა	რაჲთა ცვალოს
6. რაჲთა აუწყოს, რაჲთა შევიდეს	რაჲთამცა აუწყა, რაჲთამცა შევიდა
7. რაჲთამცა მოიყვანეს	რაჲთა მოიყვანონ
8. რაჲთამცა აჭამეს	რაჲთა აჭამონ
9. რაჲთამცა შესუა	რაჲთა შესუას
10. რაჲთა წარიყვანონ	რაჲთამცა წარიყვანეს
11. რაჲთამცა ჰრქუა	რაჲთა ჰრქუას
12. რაჲთა ვიტანჯო, განვისუენო	რაჲთამცა ვიტანჯე, განვისუენე
13. რაჲთა დაიწეროს	რაჲთამცა დაიწერა
14. სადამცა მიიღო	სადა მიიღოს
15. რაჲთა განუტეოს	რაჲთამცა განუტევა
16. რაჲთა ჰნათობდეს	რაჲთამცა ჰნათობდა
17. რაჲთა უშიშ-ყონ	რაჲთამცა უშიშ-ყვეს
18. რაჲთა უყიდონ, რაჲთა აღანთონ	რაჲთამცა უყიდეს, რაჲთამცა აღანთეს
19. რაჲთა ლოცვა-ყონ	რაჲთამცა ლოცვა-ყვეს
20. რაჲთა განვიძარცო	რაჲთამცა განვიძარცუე
21. რაჲთა განვიღოთ... რაჲთა იხილონ	რაჲთამცა განვიღეთ... რაჲთამცა იხილეს

7. „ვეფხისტყაოსნის“ ქართული
დავალება 1.

„ვეფხისტყაოსნის“ სანიმუშო გრამატიკა	
მოთხრობითი ბრუნვა	ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები.
საკუთარი სახელი წრფელობითის ფორმით	ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების.
კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ?“ მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციით	რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს.
ნართანიანი მრავლობითი	ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა, დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.
ხოლმეობითის მწკრივები	ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად.
გარდაუვალი ზმნების აწმყოს მე-3 პირი	კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი, გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის...
სიტყვათა არქაული წყობა	გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.
ზმნისწინთა ძველი ფორმები	არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

თავი 2. სინტაქსი. შესიტყვება და წინადადება

1. ზმნის პირიანობა (გამეორება)
დავალება 1.

იჯდა (ის), ელოდა (ის მას), უყურებდა (ის მას), ფიქრობდა (ის), გამეშვა (მე ის), გავუძელი (მე მას), ვარ (მე), ავდგები (მე), წავალ (მე), ჩავუვარდები (მე მას), ვთხოვ (მე მას მას), დამიბრუნოს (მან მე ის), [რა] გამაძლებინებს (მე), გაათენე (შენ ის), ელოდა (ის მას), გაიღო (ის), შემოვიდა (ის), დაილოცოს (ის), დავბრუნდი (მე), თქვა (მან ის), ვიცოდი (მე ის), დაბრუნდებოდი (შენ), ჩამოდგა (ის), დაუთბილა (მან მას ის), გაუშალა (მან მას ის), გავიდა (ის), გაიგონა (მან ის), დავწვე (მე), მოდი (შენ), უპასუხა (მან მას ის), მიიწია (ის), მივიდა (ის), შეუწვა (ის მას), მიეკრო (ის მას), გაიფიქრა (მან ის), ჰკითხა (მან მას ის), იცი (შენ ის), მოგიყვანა (მან შენ), უპასუხა (მან მას ის), გეტყვი (მე შენ მას), თქმულა (ის), ლაპარაკობდა (ის), ეძინათ (მათ).

დავალება 2.

შედგება (ის), მოსდო (მან მას ის), გახვევს (ის მას), წაჰყვება (ის მას), ესვრის (ის მას მას), აბნევს (ის მას), მოჰკვეთა (მან მას ის), უყურებდა (ის მას), დართო (მან მას ის), ცეკვავს (ის), ეხვევა (ის მას), მომიტანა (მან მე ის), ირყევა (ის), გაგხვია (მან შენ), დაარტყა (მან მას ის), წაგართვა (მან შენ ის).

დავალება 3.

გხედავს (ის S, შენ O), მელოდება (მე O, ის S), ვეხვევი (მე S, მას O), მახვევს (მას O, ის O, მე O), შემპირდა (მე O, ის S, მას O), წამიკითხე (მე O, შენ S, ის O), მოგიმზადებ (შენ O, მას O, მე S), მიმზერს (მე O, ის S), გერგება (ის S, შენ O), ასხია (ის S, მას O), მაცვივა (მე O, ის S), გგავს (შენ O, ის S), დამრთო (მან S, მე O, ის O), გამოსცა (ის O, მან S), დასდევენ (ისინი S, მას O), ჩამოართვეს (მას O, მათ S, ის O), მოკრიფა (მან S, ის O), შეაყარა (ის O, მან S, მას O), შევაერთებ (მე S, მას O), შეგიდგენ (შენ O, მე S, მას O).

დავალება 4.

ვხვევ

1	ვ	ხვევ	
2		ხვევ	
3		ხვევ	ს

გპირდება

1	მ	პირდებ	ა
2	გ	პირდებ	ა
3	ჰ	პირდებ	ა

ვადგენ

1	ვ	ადგენ	
2		ადგენ	
3		ადგენ	ს

ვრიცხავთ

1	ვ	რიცხავ	თ
2		რიცხავ	თ
3		რიცხავ	ენ

2. ზმნა და წინადადება

დავალება 1.

1. მე გამიკვირდა ეს ამბავი.
2. მთები ბანს ეუბნებიან ამირანს.
3. გოგონებმა მოხუცს წყალი ამოურბენინეს.
4. პაპამ შვილიშვილებს ხეჭეჭურის ნერგი დაურგო.
5. ჩიტი ბარტყებს ბუდეში უზიდავდა საკვებს.

დავალება 2.

1. თენდება. მზე თავის სხივებს ჰფენს მთა-ველს.
2. წვიმს. გოგონას ქოლგა გაუშლია. ავტობუსს ელოდება.
3. თოვს. ბებია ფანჯრიდან იყურება. შვილიშვილს ელოდება.
4. ბნელა. სიჩუმეა. მთვარე მკრთალად ანათებს.
5. ცივა. ქარი უბერავს. ტრანსპორტიც იგვიანებს.

დავალება 3.
ვუახლოვდები (მე მას) = მე სკოლას ვუახლოვდები.
ავსებდა (ის მას) = მძღოლი ავზს ავსებდა.
მოიპოვა (მან ის) = სპორტსმენმა გამარჯვება მოიპოვა.
მიაღწევს (ის მას) = მთამსვლელი მწვერვალს მიაღწევს.
შემოიკრიბა (მან ისინი) = მწვრთნელმა სპორტსმენები შემოიკრიბა.
მიადუღებს (ის მას მას) = ხელოსანი ქვაბს სახელურს მიადუღებს.
დასტიროდა (ის მას) = ხალხი გმირს დასტიროდა.
აუშენა (მან მას ის) = მამამ შვილს სახლი აუშენა.
მიაყოლებს (ის მას მას) = დედა შვილს ლოცვას მიაყოლებს.
დამაინტერესა (მან მე) = მე წიგნმა დამაინტერესა.
ჩამოჰკიდა (მან მას ის) = ბაბუამ შვილიშვილს მხარზე ჩანთა ჩამოჰკიდა.
მიუსაჯეს (მათ მას ის) = მოსამართლეებმა პატიმარს გადასახლება მიუსაჯეს.
გადაუწერეთ (თქვენ მას ის) = მეგობრებმა თეონას დავალება გადაუწერეთ.
შეაჩერებინა (მან მას ის) = მგზავრმა მძღოლს მანქანა შეაჩერებინა.

დავალება 4
1. ურეცხავდა ის მას მას;
2. დააჭირა მან მას ის;
3. მოჰფინოს მან მას ის;
4. ააყოლა მან მას ის;
5. მომბერენ ისინი მე მას;
6. უბურღავდა ის მას მას;
7. ვაფარებ მე მას მას;
8. შეამჩნევდით თქვენ მას მას;
9. შეუხსნა მან მას ის;

3. მარტივი წინადადება და წინადადების წევრები

დავალება 1.
კომისია შედეგებს აცხადებს.
დირექტორი მასწავლებელს მადლობას უცხადებს.
პოეტმა ლექსები წაიკითხა.
პაპამ შვილიშვილს ზღაპარი წაუკითხა.
ექიმმა ავადმყოფი მოინახულა.
მწერალმა მოთხრობა განავრცო.
მწვრთნელი გუნდს შეადგენს.
მასწავლებელი კათედრას ანგარიშს წარუდგენს.
მსაჯმა მოჭიდავეს გდება ჩაუთვალა.
მეზობლებმა თედოს პირობა შეახსენეს.
მოსწავლეებმა აზრი განავითარეს.

დავალება 2.
შებინდდა და წავედი. ჩავიდე ხანჯლისშვილი აექ, შარვლის სალტაში და წავედი სამელეში. ისეთი მივდივარ, ჩემი მგონია ქვეყანა. მივედი ანტონეს ნაბინავართან. პატარა შუქი გამოკრთის. შევიხედე. შევედი. წრუტი ზის, წრუტის მამინაცვალი და ორიც კიდე სხვა. მიიწ-მოიწიეს, აქ დაჯექიო. დავჯექი. ცოტა ხანში კიდევ ხუთნი მოვიდნენ. ბოლოს მოვიდა ტორიანი. ეგაც ხომ გაგიგონია, დიდი მამულების დამკარგავი, ციხეში ნაჯდომი. ტორები ჰქონდა, მართლა რა, ვაშლივით დაიჭერდა ადამიანის თავს. დაჯდა. მუხლებზე დაიწყო ის

ტორები საზარლად. გახსნა კრება, როგორც წესია და რიგი. თვითონვე ილაპარაკა.

4. წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები

დავალება 1.

1.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
სტუმრები	მოსწავლეებს	საჩუქრებს	ურიგებდნენ
(კეთილი)	(გახარებულ)	(ნაირ-ნაირ)	(სათითაოდ)

2.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
ბიჭებმა	თხილამურებს	თოკები	დაახვიეს
(პატარა)	(სამთო)	(წვრილი)	(გულდაგულ)

3.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
მუშები	დედაბერს	მინდორს	უთოხნიდნენ
(გახალისებული)	(უძლურ)	(დაგვალულ)	(გამალებით)

4.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
ყიზილბაშები	ტყეებს	ცეცხლს	უკიდებდნენ
(გაავებული)	(უდაბურ)	(გამანადგურებელ)	(ყველგან)

5.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
სოფელმა	ბოშებს	საჭმელ-სასმელი	გამოუტანა
(კეთილმა)	(უცხო)	(საკუთარი)	(უხვად)

6.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
მლოცველებმა	ხეებს	ნაჭრები	შეაბეს
(ქალაქელმა)	(გზისპირა)	(ფერადი)	(ხალისით)

7.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
სოფომ	დედამისს	საწველელი	გამოურბენინა
(პატარა)	(დაღლილ)	(დიდი)	(საჩქაროდ)

8.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
დებმა	თოჯინა	ჭინჭებში	შეახვიეს
(გახარებულმა)	(პატარა)	(ძველ)	(მზრუნველად)

9.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
მშენებლები	ტაძრისთვის	საძირკველს	ამზადებდნენ
(ახალი)	(მომავალი)	(მტკიცე)	(საგულდაგულოდ)

10.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
სესემ	ბელურას	ბარტყები	ამოუსხა
(ანცმა)	(საწყალ)	(წვრილი)	(მალულად)

11.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
მზემ	მინდვრებს	ბუღი	აადინა
(მცხუნვარე)	(გადამწვარ)	(საშინელი)	(დილიდანვე)

12.

სუბიექტი	ირიბი ობიექტი	პირდ. ობიექტი	ზმნა
მასწავლებელმა	ბავშვებს	დავალება	ჩაანიშვნინა
(უკმაყოფილო)	(ზარმაც)	(გუშინდელი)	(ხელახლა)

დავალება 2.

	დამატება	განსაზღვრება	გარემოება
1		თაკარა	შუადღისას
2	ანკესით		პატარაობაში, ძალიან
3		უფროსი	ქუთაისში, სასწავლებლად
4	მდინარისას	ადიდებული	
5		შენს	მოუთმენლად
6		ამომავალი, ცეცხლის	თბილისისაკენ, უხვად
7		თბილმა, მძიმე	აღმოსავლეთისაკენ
8		პატარა, წნელის, მოზრდილი	
9	ფარაჯაში		მერე
10		მრავალფერ, ჩემი, ქვეყნის	
11		უცხო	ბოლოს, გაუბედავად
12		ტკბილ, მძიმე	
13		პირველ, გრძელი	ღონივრად
14		ამდგარი, დაკეტილ	დილით, ადრე, ჯერ

5. განსაზღვრება და მისი სახეები

დავალება 1.
შემოღობილები – ბინდგადაკრული, გრილი, შეფერდებული.
ხეები – დამრგვალებული, ჩაშავებული.
წყალი – პატარა.
ღამი – სველი.
ნაკელი – ახალი.
სუნი – ნაკელის.
ცა – სუფთა, მოლურჯო-მონაცრისფრო, უძრავი.
[ჩვენ] – თავაწეულები, გახალისებულნი.

დავალება 2.
1. **პირველ წინადადებაში ერთ შემთხვევაში განსაზღვრება გათიშულია მსაზღვრელი-საგან: ფერი ..... ნაზი; მეორე შემთხვევაში წინ უსწრებს მას: ალანძული ხეების;**
2. **„დამაჭრებული“ უშუალოდ უსრებს წინ საზღვრულს (მთვარე);**
3. **„გაფრენილს“ წინ უსწრებს და გათიშულია საზღვრულისაგან (მიმინოს); „ფერადი“ უშუალოდ წინ უსწრებს იმავე საზღვრულს.**
4. **„სილამაზის“ და „ნაზო“ ამ თანამიმდევრობით უსწრებენ წინ საზღვრულს (გრიგალი).**
5. **„ერთი“, „პაწია“ - ამ თანამიმდევრობით უსწრებენ წინ საზღვრულს (ჩიორა).**
6. **„თავჩაქინდრული“ უშუალოდ უსრებს წინ საზღვრულს (მზესუმზირები); „განასკვულ“ უშუალოდ უსრებს წინ საზღვრულს (თავსახვევ[იანი]); „თავსახვევიანი“ წინ უსწრებს და გათიშულია საზღვრულისაგან (ქალი); ხოლო „ახალგაზრდა“ უშუალოდ**

უსრებს წინ საზღვრულს (ქალი); „ცალი“ უშუალოდ უსრებს წინ საზღვრულს (ხელი);

7. „თეთრი“ უშუალოდ მოსდევს საზღვრულს (წყალუკა), ხოლო „კეთილთა“ ასევე მოსდევს საზღვრულს (ნეშტთა);
8. „უბედურში“ უშუალოდ მოსდევს საზღვრულს (დღეში); „ბედკრულნი“ უშუალოდ უსწრებს წინ ორ საზღვრულს (იმერნი, ოდიშარნი); „ღმრთისანი“ უშუალოდ მოსდევს საზღვრულს (მონანი), ხოლო „ხონთქრისანი“ ასევე მოსდევს საზღვრულს (ყმანი);
9. „ვარსკვლავებისა“ უშუალოდ მოსდევს საზღვრულს (დედოფალი); „ღამისამ“ უშუალოდ მოსდევს საზღვრულს (ნისლმა); „გალაქტიკის“ უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (მტვერში);
10. „ჩემთა“ უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (ნათესავთ); „მყივარნი“ უშუალოდ მოსდევს საზღვრულს (სვავნი);
11. „წამიერმა“ უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (ჭირმა), „დროებითმა“ უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (უბედურებამ);
12. „სატრფოს“ უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (ცრემლის), „ოხერსა“უშუალოდ მოსდევს საზღვრულს (მკვდარსა), „ცვარნი“უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (ციურნი);
13. „ვარსკვლავებისა“ უშუალოდ მოსდევს საზღვრულს („დედოფალი“), „ღამისამ“ უშუალოდ მოსდევს საზღვრულს (ნისლმა);
14. „იას“ საზღვრული გათიშულია მსაზღვრელისაგან (ტურფასა):
15. „ვაჟკაცის კარგისა“ უშუალოდ მოსდევს საზღვრულს (გლოვა);
16. „შენს ყოველ“ უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (ლექსს), შენს ყოველ უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (სტრიქონს);
17. ლურჯი საზღვრული გათიშულია მსაზღვრელისაგან კვამლი ბებერ, ლურჯიან ისლებს.
18. თეთრი უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (ძაღლები), მოწყენილი საზღვრული გათიშულია მსაზღვრელისაგან სამრეკლო.
19. მწვანე ზურმუხტოვანი უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (დედამიწა), ლურჯი უღრუბლო უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (ცა);
20. დედაკაცი საზღვრული გათიშულია მსაზღვრელისაგან (გადმოყუდებული), მიმავალ უშუალოდ უსწრებს წინ საზღვრულს (ქალს).

6. გარემოებათა ნაირგვარობა
დავალება 1.

დროის	ადგილის	ვითარების	მიზეზის	მიზნის
ამ დროს	წყალის პირს	მოწყენით	რად	გასართველად
ხვალ	აქ	იდაყვდაყრდნობილ	გამოისობით	განსასვენებლად
ზეგ	აქ	ნელად		სანუგეშოდ
როდისმე	მდელოზედ	სასოწარკვეთილებით		
ყოველთვის	აქაც	რავა		
ხანდახან	ზვირთებში	თავდაუზოგავად		
ახლაც	შორად			
	სახლისკენ			
	ფიქრებში			

დავალება 2.

1. რისთვის; 2. რისთვის; 3. რატომ; 4. რისთვის; 5. რისთვის; 6. რატომ; 7. რისთვის; 8. რატომ; 9. რისთვის; 10. რისთვის; 11. რატომ; 12. რატომ; 13. რატომ; 14. რატომ; 15. რატომ.

7. შესიტყვება

დავალება 1.

1. ბიჭები უთოხნიან. პაპას უთოხნიან. ყანას უთოხნიან. დღეს უთოხნიან. ყოჩაღი ბიჭები. მოხუც პაპას. ნორჩ ყანას.
2. ბავშვები უშვერდნენ. დედას უშვერდნენ. ხელს უშვერდნენ. უმწეოდ უშვერდნენ. მეზობელი ბავშვები. ჩემს დედას. პაწია ხელებს.
3. დამ შეუნახა. ძმას შეუნახა. კვერები შეუნახა. დილისთვის შეუნახა. პატარა დამ. უმცროს ძმას. ტკბილი კვერები.
4. ლეკვები სთხოვდნენ. პატრონს სთხოვდნენ. ლუკმას სთხოვდნენ. წკმუტუნით სთხოვდნენ. უსუსური ლეკვები. დაბნეულ პატრონს. თითო ლუკმას.
5. გოგონებმა დაულაგეს. მამას დაულაგეს. ოთახი დაულაგეს. კოხტად დაულაგეს. კუდრაჭა გოგონებმა. ბუზღუნა მამას. სამუშაო ოთახი.

დავალება 2.

1. ქალაქის აივნებს. ყვავილები ამშვენებდა. აივნებს ამშვენებდა. ფერადი ყვავილები.
2. ახალ მუშებს. მუშებს ამოეტანათ. ლოდი ამოეტანათ. უშველებელი ლოდი. ხევიდან ამოეტანათ.
3. ცალი თვალის. თვალის ქუთუთო. ქვემო ქუთუთო. რაღაც სნეულებას. სნეულებას ამოეჭამა. ულმობლად ამოეჭამა. ქუთუთო ამოეჭამა.
4. ძველი თაობა. თაობა კითხულობდა. მხოლოდ კითხულობდა. რჩეული მწერლების. მწერლების ხელნაწერებს. ხელნაწერებს კითხულობდა.
5. ჩამავალი მზე. უკანასკნელ სხივებს. მზე ესროდა. სხივებს ესროდა. მთას ესროდა. გახრიოკებულ მთას.
6. მოულოდნელად მოჰკრა. მოპირდაპირე ოთახში. ვეება სარკეს. ოთახში მოჰკრა. სარკეს მოჰკრა. თვალი მოჰკრა.
7. უზარმაზარი კალიებივით. კალიებივით ხტოდნენ. კედლებზე ხტოდნენ. ხტოდნენ ლანდები. ჩვენი ლანდები.
8. შავი ზღვის. ზღვის ქარმა. ქარმა ახვეტა. ახვეტა ზვირთები. დაბალი ღრუბლის. ღრუბლის ზვირთები.
9. მან შენიშნა. გზაჯვარედინზე დადგმულ. დადგმულ სარკეში. სარკეში შენიშნა. უზარმაზარ სარკეში. მრგვალ სარკეში. ახალგაზრდები შენიშნა.
10. წვიმამ დაუბრუნა. ნიშანწყალი დაუბრუნა. სიცოცხლის ნიშანწყალი. დაუბრუნა მინდვრებს. გადახრუკულ მინდვრებს.
11. ღამის ბინდში. ბინდში გატრუნულ. გატრუნულ სახლებს. სახლებს აფხიზლებს. აფხიზლებს ხმები. ქარიშხლის ხმები. ახალი ქარიშხლის.
12. ჩვენი კავშირი. კავშირი იწყებს. ახლა იწყებს. იწყებს მშენებლობას. ბინის მშენებლობას. დიდებული ბინის.
13. დამტვერილი ჭადრების. ჭადრების მწკრივიც. მწკრივიც იდგა. თანაბრად იდგა. იდგა კარებთან. ყველა კარებთან.
14. აქა-იქ ბჟუტავდა. ბჟუტავდა ნათურები. მაღალ ბოძებზე. ბოძებზე დაკიდული. დაკიდული ნათურები. პატარა ნათურები.
15. ეს მოძღვარი. ჩვენი მოძღვარი. საყვარელი მოძღვარი. მოძღვარი ასწავლიდა. მხოლოდ ასწავლიდა. კლასამდე ასწავლიდა. ოთხ კლასამდე.
16. მოხუცი ღმერთის. ღმერთის ნათქვამ. აქ ნათქვამ. ნათქვამ ლოცვებს. ლოცვებს იმე-

ორებდა. სამრეკლო იმეორებდა. ღამე იმეორებდა.

17. მეორე ოთახიდან. ოთახიდან მოისმოდა. მოისმოდა ხმა. ფეხის ხმა. კაცის ფეხის. მომავალი კაცის. ნაბიჯით მომავალი. ჩქარი ნაბიჯით.
18. ამ დიდებულმა. დიდებულმა მეფემ. მეფემ მოუყარა. ერთად მოუყარა. მოუყარა თავი. მოუყარა ქართველობას.
19. ხალხი ადევნებდა. გაფაციცებით ადევნებდა. დიდი გაფაციცებით. ადევნებდა თვალყურს. ადევნებდა თავგადასავალს. გმირთა თავგადასავალს. ფათერაკიან თავგადასავალს. წიგნის გმირთა. ამ წიგნის.
20. ამ ბილიკზე. ბილიკზე ამოვიდა. ამოვიდა ქალიშვილი. ჭურჭლებით ამოვიდა. სავსე ჭურჭლებით. წყლით სავსე. ეს ქალიშვილი.

დავალება 3.

1. ისე იქცევა, იქნებ ცხვირპირიც დაიმტვრიოს ამის გამო.
2. სწორედ ამ გაუგებრობის გამო არიდებდა ნოე თავს უფროსთან შეხვედრას.
3. თუ სწავლა არ გინდოდა, რისთვის შემოდიოდი უნივერსიტეტში?
4. ჭკვიანი ღვინოს იმისთვის სვამს, რომ მოილხინოსო.
5. რადგან გონს ვერ მოუყვანიათ, ამიტომ აჰყარეს იარაღი.
6. თუ არ უჭირდა, რატომ დატოვა ამ ხალხმა სამშობლო?!
7. კიდევ იმიტომ მიყვარს ზაფხული, რომ ნიავივით თავისუფალი ვარ მაშინ.
8. ენა იმისთვის მოუცია ღმერთს, რომ სიტყვის თქმა არ გაგიჭირდეს.
9. თუ გაქვს გააზრებული, რატომ განებივრებდა დედა ბავშვობაში?

8. შესიტყვებათა სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა

დავალება 1.

შეთანხმება	მართვა	მირთვა
ძველი გზის თეთრი ნარმით საწერი მაგიდა მაღალმა კარებმა შარშანდელი თოვლივით საზღვაო ბრძოლა ათასმა წვრილმანმა მძლავრი ხმაურით მეორე ღამეს წკრიალა ნაკადულიდან ახალი ნაცნობისაგან აბეზარი ბუზების ფრთხილი ნაბიჯით	სახლს არემონტებს ცხენი შეკაზმეს თავს დაიცავს გვერდს აუვლის სიხარულს ვერ ფარავს ქალები დაასაჩუქრეს წამოიშალა ჯარი ჩაი მომიტანეთ შეპასუხება გაუბედეს ღმერთს შესთხოვეს	აქედან იწყება დღეს იწვიმებს სად გაჩნდა საფუძვლიანად იკვლევს აქეთ მოიხედე მალე მთავრდება მეორედ ჩამოვედი სავარძელში მოკალათდა პირველად გაგონილი რატომ იყურება გვერდით ჩამიარა

დავალება 2.

1. ძველად მართავდნენ - მირთვა. საქართველოში მართავდნენ - მირთვა. ბრძოლასაც მართავდნენ - მართვა. ხარების ბრძოლასაც - მართვა-შეთანხმება.
2. ასფალტზე ციმციმებდა - მირთვა. პატარა გუბეებში - შეთანხმება. გუბეებში ციმციმებდა - მირთვა. შუქის ანარეკლი - მართვა-შეთანხმება. ლამპიონების შუქის - მართვა-შეთანხმება. ანარეკლი ციმციმებდა - მართვა.
3. ოქროსფერი გუმბათი - შეთანხმება. გუმბათი ამოზრდილიყო - მართვა. თითქოს ამოზრდილიყო - მირთვა. ბუნებრივად ამოზრდილიყო - მირთვა. ამოზრდილიყო მთიდან

– მირთვა. მაღალი მთიდან – შეთანხმება.

4. სირცხვილნაჭამმა სულთანმა – შეთანხმება. სულთანმა მოჰკურცხლა – მართვა. მოჰკურცხლა ამალით – მართვა. თავისი ამალით – შეთანხმება.
5. იმ ღამეს – შეთანხმება. დაღლილმა მგზავრებმა – შეთანხმება. (იმ) ღამეს მიუფიცხეს – მირთვა. მგზავრებმა მიუფიცხეს – მართვა. ცეცხლს მიუფიცხეს – მართვა. მიუფიცხეს ტანსაცმელი – მართვა. სველი ტანსაცმელი – შეთანხმება.
6. გუნებაწამხდარი გლეხები – შეთანხმება. გლეხები დაუბრუნდნენ – მართვა. თავიანთ ნაცოდვილარ – შეთანხმება. ნაცოდვილარ ყანებს – შეთანხმება. ყანებს დაუბრუნდნენ – მართვა.
7. ქუჩებში გამოფენილმა – მირთვა. გამოფენილმა მოსახლეობამ – შეთანხმება. ბედნიერ მეფეს – შეთანხმება. მოსახლეობამ უძღვნა – მართვა. მეფეს უძღვნა – მართვა. ქება უძღვნა – მართვა. დიდი ქება – შეთანხმება.
8. ბნელ ოთახს – შეთანხმება. ოთახს აყრუებდა – მართვა. მოსაწყენი კაკუნი – შეთანხმება. მონოტონური კაკუნი – შეთანხმება. კაკუნი აყრუებდა – მართვა.
9. ამ ქვებზე – შეთანხმება. ქვებზე ამოკაწრა – მართვა. პოეტმა ამოკაწრა – მართვა. დანით ამოკაწრა – მართვა. ამოკაწრა ლექსები – მართვა. თავისი ლექსები – შეთანხმება. სევდიანი ლექსები – შეთანხმება.
10. ნარიყალის ბურჯები – მართვა-შეთანხმება. ძველი ბურჯები – შეთანხმება. ბურჯები ინახავს – მართვა. უამრავ ლეგენდას – შეთანხმება. ლეგენდას ინახავს – მართვა. ინახავს ნანგრევებში – მირთვა. თავის ნანგრევებში – შეთანხმება. დახავსებულ ნანგრევებში – შეთანხმება.

დავალება 3.

1. პორტში გამოჩნდა მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი.
2. ბიჭს თავისი ცხენისთვის გადაეხვია მარჯვენა ხელი.
3. ხალხი დიდი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ამ წიგნში გმირთა ფათერაკიან თავგადასავალს.
4. აქა-იქ ბჟუტავდა მაღალ ბოძებზე დაკიდული პატარა ნათურები.
5. წყალმასიცოცხლის ნიშანწყალი დაუბრუნა გვალვისაგან დახრუკულ მცენარეებს.
6. ღამის ბინდში გატრუნულ სახლებს აფხიზლებს ახალი ქარიშხლის ხმები.
7. სერგომ მოულოდნელად მოჰკრა თვალი ახალ გაზეთში დაბეჭდილ ინფორმაციას.

9. მარტივი წინადადების ტიპები

დავალება 1.

1. ტყემ გაზაფხულზე მოისხა ფოთოლი.
2. მეორე დღეს ჩვენც დავახმარეთ ბიჭები ბარნაბას.
3. უცხო ბიჭებმა მოხუცს ნავი ნაპირზე გამოუთრიეს.
4. მონადირეებმა აფრენილ ხოხობს უმალ ქორი დაადევნეს.
5. დებმა სასურველ სტუმარს გემრიელი ვახშამი გაუმართეს.
6. ნახევარმცველმა ბურთი განაპირა თავდამსხმელს სწრაფად გადააწოდა.
7. ქალები დაგვიანებულ მხედრებს საგზალს გზადაგზა აწვდიდნენ.
8. კობამ გამხმარ პურს ყუა ძლივს მოატეხა.
9. ჩვენ წითელ ღვინოს გემო სათითაოდ გავუსინჯეთ.
10. სოფლის მღვდელმა დაწყნარებულ ხალხს ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა.
11. ღვინომ დაუპატიჟებელ სტუმარს გულახდილი ლაპარაკი დააწყებინა.
12. დედაკაცმა მინავლულ ნაკვერცხლებს ნაცარი ფრთხილად გადააცალა.
13. ვაჟამ დაინტერესებულ დამსწრეთ ლექსები აღტაცებით წაუკითხა.
14. მოსწავლეთა ჯგუფებმა უმალვე შეწყვიტეს ერთმანეთთან საუბარი.
15. აღელვებულ ქალს თვალები მდუღარე ცრემლმა დაუსველა.

დავალება 2.

I. – ბიჭო, ეს რა დამმართია მე!
– შენ დაჭრილი ხარ, შვილო.
– სადა ვარ მე?
– შენ ჩემთან ხარ, სენაკში...
– მე წყალი მინდა...
– ა, შენ წყალი, შვილო.
– გმადლობთ მე თქვენ, რამდენი ხანია მათ მე დამჭრეს?
– სამი დღეა, [რაც] მათ შენ დაგჭრეს.
– აბა, გამხსენი შენ მე.
– მე თვითონ ვაპირებდი ეს-ეს არის შენს გახსნას.

II. საიდანღაც გაჩნდა გიორგი.
– ვერ მიცანი შენ მე?
– როგორ არა [გიცანი შენ მე]... დავაჟკაცებულხარ შენ კი! აქ როგორ მოხვდი შენ?
– სახლში გახლდი მე. ახლა ისევ ვბრუნდები თბილისში მე.
– მუშაობ აქ შენ?
– დიახ, რკინის გზაზე ვმუშაობ მე.
– როგორ მოეწყვე შენ?
– ასე მოვეწყვე მე...
– იქნებ მომიხერხო შენ მე ის და მეც წამიყვანო საბარგო მატარებლით შენ.
– ახლავე გავიგებ მე მას და მოგახსენებ მე შენ მას.

III. – წაიკითხეთ თქვენ ის?
– ჯერ არა [წამიკითხავს მე ის].
– იქნებ არა გაქვთ თქვენ ის?
– არა, არა მაქვს მე ის.
– შეიძლება გაჩუქოთ მე თქვენ ის?
– დიდად მადლობელი ვიქნებოდი მე.
– როდის მოგართვათ მე თქვენ ის?
– ძალიან გთხოვთ მე თქვენ, ნუ შეწუხდებით თქვენ!
– ოდნავადაც არ შევწუხდები მე!

10. შერწყმული წინადადება

დავალება 1.

1. ფირუზის, იაგუნდის, მარგალიტის, ლალისა და ქარვის მარცვლებიდან ხან ჯვარს, ხან ფარღულს დააწყობდა (განსაზღვრებებისა და პირდ. ობიექტების მიხედვით შერწყმული).
2. ცოცხლად დავიმახსოვრე ყოველი წვრილმანი, მიხრა-მოხრა, მთელი სურათი (პირდ. ობიექტების მიხ. შერწყმული).
3. ცხენს ლაგამი, სამკერდე, საძუე შავი ჰქონდა (სუბიექტების მიხ. შერწყმული).
4. შევარდენი ჩემზე მეტად გიყვარდათ და გასიამოვნებდათ (ზმნების მიხ. შერწყმული).
5. თმა-წვერი, ულვაში ერთმანეთში მქონდა არეული (სუბიექტების მიხ. შერწყმული).
6. ბრბოს ეს სიტყვები აკვირვებდა, აცინებდა და თან მალამოდ ხვდებოდა დაბე-ჩავებულ გულზე (ზმნების მიხ. შერწყმული).
7. შენი საქციელი არ შორდებოდა გონებას, შენი სახე – ჩემს ოცნებას (სუბიექტებისა და ირიბი ობიექტების მიხ. შერწყმული).
8. რაღაც პატარა ფუთას ორკეცად კანაფის თოკი გადაუჭირა და უბეში წვალე-ბით ჩაიდო (ზმნების მიხ. შერწყმული).

9. ფურცელი მაგიდაზე გაშალა და გარინდებული ჩააცქერდა (ზმნების მიხ. შერწყმული).
10. ელიოზი შეკრთა, უკან დაიხია (ზმნების მიხ. შერწყმული).
11. მოჩხრიკა, ამოხაპა იორი, დაღალა ბადე, ჩანგალი (ზმნებისა და პირდ. ობიექტების მიხ. შერწყმული).
12. აფერებულ ყანებზე დაუდგრომელი ნიავი შლიდა, აფენდა და აქანებდა მზეკაბას (ზმნების მიხ. შერწყმული).
13. ნინიამ ზეგარდიდან დახედა სავსე მინდორს, ხარბად თვალი შემოატარა (ზმნების მიხ. შერწყმული).
14. გაქრა სახლი, კარი, სამყოფელი, სადგური (სუბიექტების მიხ. შერწყმული).
15. ამ დღესასწაულზე საქართველოს ყოველი კუთხიდან იკრიბებოდნენ საუკეთესო მომღერლები და სახალხო მგოსნები (სუბიექტების მიხ. შერწყმული).
16. ისმოდა ქათმების კრიახი, კაკლების ჩახაჩუხი, ჯამ-ჭურჭლის ჩხარუნი (სუბიექტების მიხ. შერწყმული).
17. ხალხში არსებობს ლეგენდა წყნეთელ მაიაზე, წავკისელ თინაზე (დამატებების მიხ შერწყმული).
18. ქარავანიც დაბრკოლდა რაღაც საქმეზე და ჯერ არ აპირებდა ქალაქიდან დაძვრას (ზმნების მიხ. შერწყმული).
19. წამოვდექი, მკლავი მკლავში გავუყარე და დავსვი (ზმნების მიხ. შერწყმული).
20. იატაკზე დაგლეჯილი კარტონები, ქაღალდის ნაგლეჯები და უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ავეჯი დაუხვდა იოსებს (სუბიექტების მიხ. შერწყმული).
21. იაკობმა თვალი ღიმილით გააყოლა, ჯიბიდან გაცრეცილი წიგნაკი ამოიღო და რამდენიმე წუთის განმავლობაში შიგ რაღაცას იწერდა (ზმნების მიხ. შერწყმული).
22. ილიამ თანამშრომლებს თვალი მოავლო, ვიღაცას ეძებდა (ზმნების მიხ. შერწყმული).
23. მინდვრები და ქედები გოლვას სულ მთლად გადაეჭკნო და ფერი ეცვლევინებინა (პირდ. ობიექტებისა და ზმნების მიხ. შერწყმული).
24. ბეჟანმა მაინც კიდევ ყური არ ათხოვა და მოჰყვა ისევ თავისებურად (ზმნების მიხ. შერწყმული).
25. იმ დროულმა კაცმა გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე - მეორესა და ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა პატარა ტიკჭორიდან (ზმნების მიხ. შერწყმული).
26. შვილმა თვალები მოიფშვნიტა, გაიზმორა და წიგნი გამოართვა (ზმნების მიხ. შერწყმული).
27. კარებში ჩოხიანი ბრგე ახალგაზრდა იდგა, თავი ჩაეღუნა, კეთილად იღიმებოდა (ზმნების მიხ. შერწყმული).
28. აი, ვაჟა ცხენიდან ჩამოხტა, ლაგამი წაჰყარა, აღვირი საბლით დაუგრძელა, ბუჩქზე გამოაბა და ჭალაში შეაგდო (ზმნების მიხ. შერწყმული).
29. მდუმარედ მიჰყვნენ სოლოლაკის ქუჩას უცნობი და დიდი იოსები (სუბიექტების მიხ. შერწყმული).
30. ლეკები უკვე აღარ აკეთებენ მოსევადებულ, ზარნიშიან ლეკურებს, ხანჯლებს და ქამრებს (პირდ. ობიექტებისა და განსაზღვრებების მიხ. შერწყმული).

დავალება 2.

1. ქვემოთ, ვენახებში გაფანტული სოფელი მოჩანდა, შორს - ლურჯ-ლილისფრად დაბურული მთები, ზედ - შავად შელანძული ციხის ნაშალი და ძირს - გაშლილი სავსე მინდორი.
2. ყინვას მოერთო ათასნაირი ყვავილებით, არშიებით, რუშებით, ჯინჯილებით.
3. ჯერ პირში წყალი დაიგემოვნა, მერე დაახრიალა, ახლა ზედიზედ იწაფა.
4. მაგიდას მიუჯდა, სამასრიდან რამდენჯერმე გაკეცილი გაცრეცილი რვეულის ფურცელი ამოაძვრინა, ფანქრის ნატეხიც მოიძია.
5. ფშავლებმა დაიჭირეს ჩრდილო ნაწილი შირაქისა და გააშენეს სამი სოფელი: ზემო

ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო.

6. დუშეთისა და თიანეთის მაზრის მთებში მოსახლკარე ქართველობას: ფშავლებს, გუდამაყრელებს, ხევსურებს, მთიულებსა და მოხევეებს 1905 წელს ვაჟა-ფშაველა გაუძღვა შირაქის გულუხვი ველისაკენ.
7. თეთრ მოკლე ნაბადს ქვემოთ მოჩანდა თეთრი გულისპირი და ალვის ხის შტოებივით ნათალი თითები ხელისა.
8. ჩვენი საუბარი ათას რამეს გადასწვდა: ქალთა თანასწორობას, 1905 წლის რევო-ლუციის გრიგალებს, მის მომდევნო რეაქციას, გმირობას და სილაჩრეს, დარსა და მოსავალს...
9. ყველა იმასთან მოდიოდა: მამაკაცი, დედაკაცი, გლეხი, ქვრივი, ობოლი, ავადმყოფი და გაჭირვებული.
10. რიყეზე ოთხნიღა დავრჩით ქვებში ჩაფლული: დათა, გულწასული მოხუცი, დედა, მე და სოფიო.
11. მოიწონა თავი მამალმა, აიბურძგნა, აიფხორა და მტრების გასაგულისებლად, გამო-საჯავრებლად სამჯერ ზედიზედ დაიყივლა.
12. ახლა ორივე იღიმებოდა: ერთი - ჩვეულებრივად, მშვიდად, მეორე - ღვარძლიანად, დაბნეულად, დამცინავად.
13. ირემი სამუდამოდ ტოვებდა თეთრად, ალისფრად, ცისფრად გადაპენტილ სოფელს.
14. ყოველთვის ასე გააცილებდნენ მას: დღესაც, ხვალაც, გაისადაც, ასი წლის შემდეგაც.
15. მას ხშირად ნახავ კინოატელიეებში, თეატრალურ სტუდიებში, მონმარტრის კაფეებში.
16. თითქოს ყველაფერი სიზმარეული ბინდი იყო: სოფელიც, ხალხიც, კითხულის მოვ-ლინებაც და სოფლის მარცხიც.
17. მას მხოლოდ ამ ნაბიჯის გადადგმა შეუძლია, სხვა ყველაფერი დავიწყნია: ოჯახიც, სოფელიც, ეკლესიაც.
18. დიდი და პატარა - ყველა ყურებში ავლებდა ხელს.
19. და ისევ ყველაფრით მომაშტერდა: თვალებით, კბილებით, ყურებით და გულით.
20. რაც რომ მქონდა - სიცოცხლე, ძალ-ღონე, ახალგაზრდობა და ერთი მუჭა ნაშრომი - ყოველივე იმას შევწირე: ინტერნაციონალს, სოციალიზმს, პროლეტარიატის ბრძოლას.
21. ვიტრინაში გამოფენილი ცხენები, ეტლები, დათვები, პაწია ორთქმავლები, ფერადი ბუშტები, ნავები, ურმები, სარებუსო დაფები - ყოველივე ხელუხლებელი დაეტოვებინათ.
22. კარგად ყოფილხართ მოწყობილი... ყველაფერი გქონიათ: სახლი, ბაღი, ოჯახი.
23. ამ ავტომობილებში უწესრიგოდ ეყარა საოჯახო კარადები, მაგიდები, საწოლები, ქვაბები, თავმოკრული ტომრები.

11. წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით
დავალება 1.

თხრობითი	კითხვითი	ბრძანებითი
უმცროსი მოუტრიალდა ძმას უფრო გულამღვრეული და გაჯავრებული, ვიდრე წინად. უთხრა უმცროსმა, თითქო წყრომითაც და ვედრებითაც. ბეჟანმა მაინც კიდევ ყური არ ათხოვა და მოჰყვა თავისებურად. ორის დღის უჭმელები ვართ. ცუდი საქმე დაგვმართა იმ ოჯახდაქცეულმა. უპასუხა ერთმა დროულმა მეურმემ. ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა. პურსაც გაჭმევთ, ღვინოსაც დაგალევინებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევინებთ. ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქარიც არ მოგადინოთ. უმცროსს წარბი გაეხსნა, მოღრუბლულს სახეზედ რაღაც სიამოვნების ფერმა გადაჰკრა. ერთობ მისის სახის მეტყველებამ განცვიფრებული სიხარული გამოსთქვა, თითქო ადამიანის გულკეთილობას პირველად შეხვდაო და უკვირსო. იმ დროულმა კაცმა გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე – მეორესა და ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა პატარა ტიკჭორიდამ. დაიწყო იმავ დროულმა. ეხლა კი ამ მშრალს პურს პურადძვირობაში ნუ ჩამოგვართმევთ, ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს. პეტრემ დაისო ორნივე თავის ურემზედ. წასვლა უთხრეს წინა მეურმესა. დაიძრა ქარავანი ურმებისა.	აბა ეხლა რა უნდა ვქნათ ამ უცხო ქვეყანაში? ვაი ავ-კაცს, რომ თქვენი ცოდვა აუღია, თორემ თქვენ რა გიჭირთ? ჩვენს დალოცვილს ქვეყანაში შიმშილით ლეკიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ?	– ბეჟან, გეყოფა, კარგი! ვაი, ჩემს გამჩენს! უცხო ქვეყანაში რად იქნებით! ვაი შენს პეტრეს! შეექეცით, შვილებო!

დავალება 2.

1. სად ხარ გამოდი ნუ იმალები, თუ რომ გულს გერჩის, ორბელიძეო!
2. ირმის ნაჩლიქარი მკვეთრად ეტყობოდა ქარის ჩამოყრილ ყვავილს.
3. მუდამ შაბათ დღეს ან კვირას მოზარე დედაკაცები იყრიდნენ თავს ბათურის ოჯახში.
4. როგორ გაბედა რეგვენმა ამ სიტყვის გამეორება?!
5. ვაჟკაცნო, მამის ხმალი არ შეარცხვინოთ!
6. ეს დედანი ადრე თუ გვიან უსათუოდ აღმოჩნდება სადმე.
7. სად გადის ზღვარი ადამიანის წარმოსახვასა და რეალობას შორის?
8. ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა!
9. რად ეხვევიან ნისლები ამ მთათა მაღალ მწვერვალებს?
10. ეს ორი სულ სხვადასხვა ხასიათის ადამიანი შემთხვევას ერთმანეთისათვის შესად

არებლად შეუყრია.

11. დედაშვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღვთის გულისათვის, დამანებე თავი!
12. მაშ, წუხელ, განთიადისას, არც საუცხოვო გალობა გსმენია?
13. შვილო, მშობლიურ კერაზე ტკბილო, აქ დარჩი და არ წახვიდე არსად!
14. ძაღლებს სხვა დროსაც უჩხუბიათ და სოფელმა ახლაც ჯოხებით გააშველა.
15. რა წყალში ჩამეყარა მთელი ჩემი ცდა და შრომა!
16. - ახლა ვინაა ცოცხლად დამარხული, მე თუ შენ?
17. ამაზე მყუდრო ადგილს სამუშაოდ სად ნახავთ?
18. ამ შორ გზაზე მარტო არ მიშვებდა დედა.
19. აბა, შეხედე, სად გაგონილა ასეთი რამე?!
20. ცოდო არ იქნება, მაგისი ნიჭი გაზეთის მუშაობაში ჩავკლათ?!

დედამიწაზე ათასობით ენა არსებობს, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს საკუთარი, უნიკალური დამწერლობა. მათ შორისაა ქართული ანბანი - ჩვენი კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი. საუკუნეების წინ შექმნილმა ქართულმა დამწერლობამ განვითარების სამი საფეხური განვლო - ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. განსაკუთრებულია ისიც, რომ სამივე სახეობა დღემდე ცოცხალია და ქართული კულტურის უწყვეტობას გამოხატავს.

სწორედ ამ უნიკალურობის გამო 2016 წელს იუნესკომ ქართული ანბანის სამივე სახეობა კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა. ეს საერთაშორისო აღიარებაა იმისა, რომ ქართული დამწერლობა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი გამორჩეული კულტურული საგანძურია.

ამ სახელმძღვანელოს საშუალებით უკეთ გაიცნობ იმ ენასა და დამწერლობას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა ქართულ კულტურას. შენ იმ ხალხის შთამომავალი ხარ, რომელმაც საკუთარი ანბანი შექმნა და დღემდე შემოინახა. როდესაც ქართულად კითხულობ და წერ, შენ ამ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას აგრძელებ.

ქართული ანბანი მხოლოდ ასოების სისტემა არ არის - ის ჩვენი ისტორიის, კულტურისა და ეროვნული თვითმყოფადობის ნაწილია. გაუფრთხილდი ამ მემკვიდრეობას, იამაყე მისით და სიყვარულით დაწერე თითოეული ქართული ასო და სიტყვა.

